საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
12 ოქტომბერი **შაბათი** 2013
№241 (14 157) ფასი 80 თეთრი




ფოტო: ipn

# ქეცბაიას ანანიძეც დააკლდა

## ნაკრებს ბაჩანა ცხადაძე და შოთა გრიგალაშვილი შეუერთდნენ

3

## დღევანდელ ნომერში



გია ბაღაშვილი

# პიროვნული სიძლიერის მაგალითებს თითქმის ვერ ვხედავ და ეს მაოცებს

2

## ბოლო წუთების შოკი

პორტუგალიამ ავტომატური საგზური ფაქტობრივად დაკარგა




6-7



ბელგია



გერმანია

ევროპამ კიდევ სამი ბილეთი დაჯავშნა



შვეიცარია



# დიდი სერი

8

## პირველად, 30 წლის შემდეგ

ინტერვიუ სერ ალექს ფერგიუსონთან




ჯონ სალივანი

## ვაჟა-ფშაველა და სახელგანთქმული მოკრივე ჯონ სალივანი

10

## ბრაზილია 2014

ჯერჯერობით 14
გაზეთის დაბეჭდვამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| | ავსტრალია | იტალია | ბელგია |
| | ირანი | კოსტა რიკა | შვეიცარია |
| ბრაზილია | ს. კორეა | აშშ | გერმანია |
| იაპონია | ჰოლანდია | არგენტინა | კოლუმბია |



## გია ბალაშვილი

# პიროვნული სიძლიერის მაგალითებს თითქმის ვერ ვხედავ და ეს მაოცებს

## ფეხბურთის დიდი ქომაგი ჯეიმს ირვინის სიტყვებით მოგმართავთ...

**თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებმა „ფეისბუკზე“ კიდევ ერთი მშვენიერი საარქივო მასალა მოიძიეს. 1977 წლის 14 სექტემბერს თბილისის „დინამომ“ „სან სიროზე“ უეფას თასის შეხვედრაში „ინტერს“ 1:0 სძლია. ამ მატჩის შემდეგ იტალიური გაზეთი „პაეზე სერა“ წერდა: „მატჩი იმით დამთავრდა, რომ გაცეცხლებული მაყურებლები თავის საყვარელ გუნდს ერთხმად უყვიროდნენ: „მეორე ლიგაში, მეორე ლიგაში!“ საბჭოთა ფეხბურთელები თერთმეტი უთავო, უინიციატივო ფეხბურთელის პირისპირ აღმოჩნდნენ, რომელთაგან თითოეული ინდივიდუალურად ცდილობდა გუნდის გადარჩენას. პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, როგორ მუსიკას ასრულებდა „ინტერი“. ქართული მელოდია მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ძლიერდებოდა „ინტერის“ კომიკური მელოდიის ფონზე...“**
**რა მუსიკასაც ასრულებენ ქართული ფეხბურთის დღევანდელი „შემსრულებლები“, ამაზე საზოგადოება უკვე ხუმრობს...**
**ჩვენი ფეხბურთი მხოლოდ სპეციალისტებისა და მის გარშემო მოფუსფუსე ხალხის არ არის. დღეს ბევრი ისეთი ადამიანი არ ჩანს, ვისაც ჩვენთვის საყვარელ სახეობაზე გული აუცრუებია, მაგრამ მაინც მის მომავალზე ფიქრობს და ოცნებობს - მალე გადაიაროს ამ კოშმარულმა ეპოქამ და ქართულმა გუნდებმა გამარჯვების გემო გაგვახსენონო...**
**ჩვენს დღევანდელ სენსა და სატკივარზე მოსაზრებებს მუსიკისმცოდნე, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და „იუმორინას“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გია ბალაშვილი გვიზიარებს:**

**- დავიწყოთ რიტორიკული კითხვით: რანი ვართ და საით მივექანებით?**

- სამწუხაროა, რომ წლიდან წლამდე ერთსა და იმავე თემებზე გვიწევს ლაპარაკი, მაგრამ თვალსაჩინო გარდატეხა არ იგრძნობა. არის ცალკეული იმედისმომცემი მიღწევები და თამაშებიც. მაგალითად, ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების ორჯერ გასვლა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ძალიან დიდი მიღწევაა. ასევე დამაიმედებელი იყო გორის „დილას“ თამაში ევროტურნირზე მისი მდგომარეობისა და სასტარტო პირობების გათვალისწინებით. ამბობენ, რომ ჩვენ, ქართველებს, ლოდინი არ გვიყვარს და შედეგს სწრაფად ვითხოვთ. მაგრამ ამ ლოდინში რომ მთელი 30 წელი გაფრინდა?!

**- თქვენი აზრით, რა არის ქართული ფეხბურთის მთავარი პრობლემა?**

- ადრე ეროვნული ნაკრები არ გვყავდა და რუსული შოვინიზმის გამო, არაერთი ქართველი ფეხბურთელი დაჩაგრულა. ეს ბევრი მათგანის კარიერულ ტრაგედიადაც იქცა. გაიხსენეთ მიშა მესხის, დავით ყიფიანისა და ვოვა გუცაევის ისტორიები, რომელთაც საბჭოთა ნაკრებში პრობლემებს უქმნიდნენ და ბლოკავდნენ. მაგრამ პრობლემაზე მეტია, პირდაპირ გულსატკენია ის, რაზეც ახლა მოგახსენებთ - ჩემი და წინა თაობების „დინამოს“ მიმართ ხალხსა და უცხოელ სპეციალისტებს უდიდესი სიყვარული და მოკრძალება ჰქონდათ. ახლა კი, ამას ვინ ჩივის, ჩვენი ფეხბურთელების მიმართ ინტერესი გაქრა. არადა, თუ რამეს ხელს უწყობს გლობალიზაცია, უპირველსად - ფეხბურთისა და ფეხბურთელების პოპულარიზაციას. დღეს მათ თავის გამოჩენისთვის უნიკალური ასპარეზი აქვთ. ეს არის ლანგრით მორთმეული შანსი. აღარაფერს ვამბობ დღევანდელ და მაშინდელ ფინანსებს შორის განუზომელ სხვაობაზე - დღეს დინამოელებს 1981 წლის გუნდის წევრებზე ბევრად მეტი ანაზღაურება აქვთ. ამის მიუხედავად, ვერაფერს აღწევენ და ესაა დამაფიქრებელი.

> **...ჩემი და წინა თაობების „დინამოს“ მიმართ ხალხსა და უცხოელ სპეციალისტებს უდიდესი სიყვარული და მოკრძალება ჰქონდათ...**

**- თუმცა არაერთი პრობლემაა, რაც მათ ხელს უშლის...**

- ესეც კარგად მესმის და ვითვალისწინებ. ვიცი, რომ პრობლემაა ინფრასტრუქტურის მხრივ, დახმარებას საჭიროებს ბავშვთა ფეხბურთი, ტრადიციების წყვეტამ წელშიც გაგვწყვიტა, ჩემპიონატის დონე ძალიან დაბალია და ასე შემდეგ. ზოგადად, ქვეყანაში არსებული მდგომარეობაც ვერ უწყობს ხელს ფეხბურთის წინსვლას. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ინდივიდუალურად თავის გამოჩენისა და პრაგმატული დაინტერესების კუთხით მაინც, თითოეულ ფეხბურთელს დიდი სტიმული უნდა ჰქონდეს, რასაც ამ პრობლემების კომპენსირება შეუძლია. ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენი ფეხბურთი ისე დაჩლუნგდა, როგორც ეს ტაბლოდან ჩანს.

**- უფულობა წინსვლას ხელს უშლის ნებისმიერ სფეროში. ასე არ არის? თუნდაც თქვენი სფერო ავიღოთ...**

- არა მგონია, რომ კოპაკაბანას პლაჟებზე ბრაზილიელ ბავშვებს ისეთი პირობები ჰქონდეთ, როგორც „აიაქსის“, „მანჩესტერისა“ და „რეალ“-“ბარსელონას“ აღზრდილებს, მაგრამ სამხრეთამერიკელები ვარსკვლავებს დღემდე ზრდიან. ეტყობა, არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის ან ფინანსების, არამედ ხასიათის პრობლემასაც ვაწყდებით. ძალიან მენიშნა გიორგი დევდარიანის ნათქვამი - ქართველი ფეხბურთელის მოტივაცია X5-ით მთავრდებაო. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს ქართული ხასიათის პრობლემაა, რადგან მსგავსი რამ წარმატებულ სახეობებში არ ხდება. მეუბნებიან, ეს ყველაფერი იმის ბრალია, სხვა სახეობებში ცოტა ფული რომ ტრიალებსო. მაგრამ მატერიალური ფასეულობის ყველაზე წინ დაყენებაც არასწორია. და თუ ასეა, ჩვენი მართლაც ნიჭიერი ბიჭები ისეთ ძვირფას რამეს კარგავენ, რასაც საერთო-სახალხო სიყვარული ჰქვია. ამის ტოლფასი ოქრო ჯერ არავის მოუჭრია და არც ისეთი რამ მოუგონია, რასაც ამ სიყვარულის გადაწონვა შეუძლია.

> **...ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენი ფეხბურთი ისე დაჩლუნგდა, როგორც ეს ტაბლოდან ჩანს...**

**- ჩვენი ფეხბურთის მდგომარეობას უიმედოდ მიიჩნევთ?**

- ასეც არ მინდა გამიგოთ. ჩვენს ფეხბურთსა და ფეხბურთელებს ხაზს ვერ გადავუსვამ. პირიქით, საკმაოდ დიდ პოტენციალს ვხედავ და მჯერა, ადრე თუ გვიან ამას გამოავლენენ, გარღვევა აუცილებლად მოხდება. პრობლემები ზემოთაც ვახსენე - დიახ, მისახედია ბავშვთა ფეხბურთი. ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც ხელს უნდა გვიწყობდეს და წარმატებული ბიზნესიც უნდა დაინტერესდეს. მაგრამ უფრო მთავარი და პრობლემური - სულისკვეთება მგონია და უპირველესად, ეს არის მისახედი. სასურველია, რომ ფეხბურთელებს, პრაგმატიზმთან ერთად, საკუთარი ქვეყნის ღირსების მოედანზე დაცვის გრძნობაც ამოძრავებდეთ. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს - გულშემატკივარს მონდომებასა და გულგრილობას ვერავინ გამოაპარებს. ჩვენ ყოველთვის ჭარბად გვქონდა საკუთარი ღირსების წარმოჩენის სურვილი და ხშირად ზედმეტებშიც გადავსულვართ. ამის მაგალითია სიმღერა - „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“. მაგრამ დღეს ქართულ ფეხბურთში საკუთარი ღირსების წარმოჩენისა და პიროვნული სიძლიერის მაგალითებს თითქმის ვერ ვხედავ და ეს მაოცებს. არადა, ნებისმიერ სფეროში წარმატების გასაღები სწორედ ღირსების გრძნობაა. შენი მიზანი მხოლოდ X5-ის ყიდვაა კი არა, ფეხბურთში საკუთარი სახელის დამკვიდრება უნდა იყოს. მამაჩემისგან და „ივერიისგან“ გამომდინარე, ურთიერთობა ბევრ ცნობილ ადამიანთან მქონია. ასე გავიცანი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი ჯეიმს ირვინი. ის ერთ-ერთია იმ თორმეტი ასტრონავტისგან, რომელმაც მთვარეზე ფეხი დადგა. მერე კი მოგეხსენებათ, ქრისტიანობის მქადაგებელი მისიონერი გახდა. ჯეიმს ირვინმა მაჩუქა წიგნი და დააწერა სიტყვები, რაც ქართულად ასე ითარგმნება - გია, დაისახე დიდი მიზანი! სწორედ ასე მინდა ჩვენს ფეხბურთელებს მივმართო - ბიჭებო, დაისახეთ, დიდი მიზნები! ასე თქვენც მეტს მიაღწევთ და ჩვენც მეტად გაგვახარებთ!

> **...პრაგმატიზმთან ერთად, ფეხბურთელებს საკუთარი ქვეყნის ღირსების მოედანზე დაცვის გრძნობაც უნდა ამოძრავებდეთ...**



**მერაბ მამულაშვილი**

● ფეხბურთი და სახელმწიფო

# პროექტი 30 მილიონით!

სახელმწიფო რომ საკლუბო ფეხბურთს გვერდში დაუდგება, ასეთი დაპირება რამდენიმე თვის წინათ მოვისმინეთ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრისგან. ლევან ყიფიანი საფეხბურთო მილეთის წარმომადგენელია და წარმოუდგენელია, ასეთი მინისტრის მთავარი საზრუნავი საქართველოში ფეხბურთის განვითარება არ იყოს.

თუმცა ყველაფერი მინისტრის ნება-სურვილზე ვერ იქნება. საქართველოში, ფეხბურთის გარდა, ბევრი პრობლემაა. ესეც რომ არა, ქვეყანაში ყველა ინტერესით ელის ამ ყბადაღებული კოაბიტაციის დასრულებას, რადგან ბევრი საკითხის გადაწყვეტა სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

მოკლედ, საქართველოში ფეხბურთის განვითარების ახალი, კონცეპტუალური პროგრამა ამ ხელისუფლებას ჯერ არ წარმოუდგენია, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამას წინ უკვე ვერაფერი დაუდგება. ყიფიანმა გვითხრა, რომ:

„ამ პროექტის ჩონჩხი უკვე არსებობს, ახლა დეტალების დაზუსტება მიდის. პროექტის სტრუქტურა უკვე ჩამოყალიბებულია - საფეხბურთო სკოლები, პირველი და უმაღლესი ლიგის კლუბები თავიანთი ინფრასტრუქტურული საკითხებით... როცა ეს პროექტი საბოლოოდ დაიხვეწება, ჯერ ფინანსისტებს წარვუდგენთ და ამის შემდეგ გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის, რაც ზამთრის პერიოდში მოხდება. ამ პროექტისთვის წელიწადში, სავარაუდოდ, 30 მილიონი ლარი გამოიყოფა, რომლის 25-30 პროცენტი უმაღლესი ლიგის კლუბებს მოხმარდება“.

მინისტრის ნათქვამი საყურადღებოა, რადგან ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ქართული კლუბები მნიშვნელოვნად მოღონიერდებიან - უმეტესი მათგანისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი თანხა იქნება. პროექტის განხორციელება 2014-15 წლების სეზონიდან უნდა დაიწყოს.

დავით თავართქილაძე



ლევან ყიფიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. ესპანეთი-საქართველო



## დანაკლისი და მატება ეროვნულ ნაკრებში

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები, წლის ბოლო ოფიციალური მატჩისთვის უკვე ორი დღეა ქალაქ ალბასეტეში ემზადება. ესპანეთთან შეხვედრისთვის **თემურ ქეცბაიამ** გუნდი 8 ოქტომბერს შეკრიბა. ამ დროისთვის, გუნდი ალბასეტეში 20-კაციანი შემადგენლობით იმყოფება. ნაკრებმა, გუშინ, საფეხბურთო კლუბ „ალბასეტეს" საწვრთნელ ბაზაზე ორჯერ ივარჯიშა. ესპანეთში მყოფი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონთან მატჩს სრულად მომზადებული ხვდება. სავიზო პრობლემების მოგვარების შემდეგ, გუნდს ბაქოს „ინტერის" ფეხბურთელი **ბაჩანა ცხადაძე** და ფამაგუსტას „ანორთოსისის" წევრი **შოთა გრიგალაშვილიც** შეუერთდებიან.

**ალექსანდრე ამისულაშვილისა** და **თორნიკე ოქრიაშვილის** ტრავმების შემდეგ კი, ნაკრებს კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა. თემურ ქეცბაიას განკარგულებაში ვერც **ჯანო ანანიძე** იქნება. „როსტოვის" ფეხბურთელის არყოფნის მიზეზი არა ტრავმა, არამედ პირადი პრობლემა გახდა. ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან გამართული მატჩის შემდეგ, მას ოჯახთან დარჩენამ მოუნია. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ფეხბურთელმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმარტების გაკეთება და ფედერაციის ვებგვერდს მცირე კომენტარი მისცა.

*„ძალიან რთული ოჯახური ვითარება შემექმნა და ამიტომ, რამდენიმე დღით საქართველოში დარჩენამ მომინია. მე არ მივეკუთვნები იმ კატეგორიას, რომელსაც შეუძლია უმნიშვნელო მიზეზის გამო უარის თქმა ეროვნულ ან ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებაზე. ეს არც აქამდე გამიკეთებია და არც მომავალში ვაპირებ; მით უმეტეს, რომ გულშემატკივრებისგანაც ყოველთვის ვგრძნობ დიდ სითბოს და სიყვარულს. ნაკრების მაისურით თამაში ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება და პატივია, თუმცა, დღეს ჩემი ოჯახი განსაცდელშია და ვალდებული ვარ, მათ გვერდში ვიყო. მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩემი საქართველოში დარჩენის ერთადერთი მიზეზი ოჯახური მდგომარეობაა".*

ესპანეთთან გამოძახებული მოთამაშეების 22-კაციანი სია ამ დროისთვის ასე გამოიყურება:

მეკარეები - **გიორგი ლორია** (დინამო თბილისი), **ნუკრი რევიშვილი** (დილა, გორი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი);

მცველები - **უჩა ლობჟანიძე** (დნიპრო, უკრაინა), **აკაკი ხუბუტია** (მორდოვია, რუსეთი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **გიორგი ხიდეშელი** (ტორპედო, ქუთაისი), **დავით კვირკველია** (დინამო თბილისი), **გულვერდ თომაშვილი, ალექსანდრე კვახაძე** (ორივე დილა, გორი), **გიორგი ფოფხაძე** (იაგელონია, პოლონეთი), **მათე ღვინიანიძე** (სევასტოპოლი, უკრაინა);

ნახევარმცველები - **ლევან ხმალაძე, ირაკლი ძარია, ელგუჯა გრიგალაშვილი** (ყველა - დინამო თბილისი), **ალექსანდრე კობახიძე** (დნიპრო, უკრაინა), **შოთა გრიგალაშვილი** (ანორთოსისი, კვიპროსი), **ავთანდილ ებრალიძე** (ჟილ ვისენტე, პორტუგალია);

თავდამსხმელები - **ვლადიმერ დვალიშვილი** (ლეგია, პოლონეთი), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), **ბაჩანა ცხადაძე** (ინტერი ბაქო, აზერბაიჯანი), **ირაკლი მოდებაძე** (დილა, გორი).

ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე იძულებითი ცვლილება დისკვალიფიკაციის გამოც განხორციელდა. ყვითელი ბარათების გამო, ესპანეთთან მატჩს **ჯაბა კანკავა, დავით თარგამაძე** და **გია გრიგალავა** გამოტოვებენ.

ესპანეთისა და საქართველოს საფეხბურთო დაპირისპირება 15 ოქტომბერს, თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება. შეხვედრის რეპორტაჟს ქალაქ ალბასეტედან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი პირდაპირ ეთერში შემოგთავაზებთ.

მატჩს გერმანელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი მსაჯი - ფლორიან მაიერი.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური*

სტუმარი

# ევროპის ჩემპიონი გაოცებულია...

## რატომ დაბრუნდა მერებაშვილი საქართველოში?

**საქართველოსა და ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრას ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი სერბეთის 19-წლამდელთა ნაკრები სრული შემადგენლობით დაესწრო. მოხდა ისე, რომ სტადიონზე ამ გუნდთან ერთად შევედი. ერთ-ერთი სერბი ახალგაზრდა თანაგუნდელს საკმაოდ ემოციურად ელაპარაკებოდა. ცხადია, სერბული არ ვიცი, მაგრამ მათი ენა რუსულს ჰგავს და ისეთ ფრაზებს ახსენებდა, შინაარსის გაგება ადვილი იყო. მოკლედ, სერბი ლაპარაკობდა გიორგი მერებაშვილზე, რომელიც თავის დროზე ნოვი სადის „ვოევოდინაში" თამაშობდა, მეგობარს კი უხსნიდა, რომ ახლა მერებაშვილი თბილისის „დინამოშია", „ტოპ-კლასის" ფეხბურთელია და ასე შემდეგ... გამოველაპარაკე და ლიტვაში გასულ ზაფხულს ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული სერბეთის ნაკრების წევრი მიატ გაჩინოვიჩი აღმოჩნდა. მან სერბეთის გუნდში სულ 2 შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ნაკრების გაჩემპიონებაში სოლიდური წვლილი შეიტანა - ნახევარფინალში სერბეთი პორტუგალიასთან 1:2 რომ აგებდა, გაჩინოვიჩმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო როცა საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, გადამწყვეტი 11-მეტრიანი სწორედ ჩვენმა რესპონდენტმა გაიტანა და გუნდი ფინალში გაიყვანა. იქ კი სერბებმა ფრანგი თანატოლები 1:0 დაამარცხეს. გაჩინოვიჩთან ინტერვიუ სერბეთის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტის დახმარებით ჩავწერეთ...**

**- გიორგი მერებაშვილს ახსენებდით. ეტყობა, მისი თამაში სერბეთის ჩემპიონატიდან გახსოვთ...**

- კარგად მახსოვს და გიორგის ახლოსაც ვიცნობ.

**- საიდან?**

- ნოვი სადის „ვოევოდინაში" ვთამაშობ, სადაც გიორგი გამოდიოდა. მერებაშვილის მსგავსად, მეც შემტევი ნახევარმცველი ვარ და მის თამაშებს რომ ვუყურებდი, მომწონდა. მისგან ბევრი რამ გადამიღია - ვცდილობდი, ცრუ მოძრაობები და დრიბლინგი ამეთვისებინა. საერთოდ, მერებაშვილს სერბეთში კარგი სახელი აქვს და ბევრს გაუკვირდა, საქართველოში რომ დაბრუნდა - ის ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. მეგონა, კარიერას ევროპის რომელიმე ტოპლიგაში გააგრძელებდა... ძალიან არაორდინარული ფეხბურთელია და, რაც მთავარია, პატარა ბიჭებს კარგად გვექცეოდა, ზოგიერთი ვარსკვლავივით ცხვირაწეული კი არ ყოფილა?! მას ყოველთვის ვგულშემატკივრობდი. ახლა „დინამოში" რას შვრება?.. ისიც, მიკვირდა, რომ საქართველოს ნაკრებში არ თამაშობდა...

**- „დინამომ" მას უკეთესი პირობები შესთავაზა. სერბულ კლუბებს ფინანსურად უჭირთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ ევროპაში ყველაზე ღარიბი სერბული კლუბებია, თუმცა ცხადია, დიდ ქვეყნებს გვარიანად ჩამოვრჩებით. გიორგი კი ლეგიონერი იყო და კარგი პირობებიც უნდა ჰქონოდა...

**- როგორც ჩანს, სერბეთის 19-წლამდელთა ნაკრებში ყველაზე პატარა ასაკის იყავით, რადგან ახალ ციკლშიც თამაშობთ...**

- დიახ, სხვებზე ერთი წლით პატარა ვარ. წინა ციკლიდან ოთხი ფეხბურთელი დავრჩით და მიმაჩნია, რომ ახლანდელი თაობა წინაზე პერსპექტიულია. სხვათა შორის, სერბეთამდე ბოსნიის 17-წლამდელთა ნაკრებში ვთამაშობდი. მაგრამ სერბი ვარ და როცა ჩემი ქვეყნის ნაკრებში მიმიწვიეს, მოქალაქეობის შეცვლაზე არც დავფიქრებულვარ. მიხარია, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი. ყველაზე დიდი სიხარული ხომ სერბეთის ნაკრებმა მომანიჭა - 18 წლისა ევროპის ჩემპიონი გავხდი.

**- სერბეთის ჩემპიონობა დიდი სენსაცია იყო. ეს რის ხარჯზე მოახერხეთ?**

- ეს ჩვენი მთავარი მწვრთნელის ლუბინკო დრულოვიჩის დამსახურებაა. მაგრამ მარტო მწვრთნელობაშიც არ არის საქმე - ის კარგი ადამიანიცაა. ევროპის ჩემპიონატამდე ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში დავმარცხდით და ცუდ ხასიათზე ვიყავით. დრულოვიჩი გასახდელში შემოვიდა და კი არ გაგვაკრიტიკა, მოგვეფერა და გვითხრა - დღეს ვერ გცნობდით, მაგრამ თავს ნუ დახრით, ბევრად მეტი შეგიძლიათ და მუდამ გამარჯვებისთვის იბრძოლეთო. ფეხბურთელისთვის მწვრთნელის დამოკიდებულებას, მის თითოეულ სიტყვასა და გამხნევებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე ფინალში არ მითამაშია, მაგრამ კარგად ამიხსნა, რატომ ერჩივნა სხვისი დაყენება და პრეტენზია არ გამჩენია. ასე მხოლოდ დიდი მწვრთნელები იქცევიან. ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ სერბეთის ნაკრებ გუნდებს, ტრადიციულად, კარგი ფიზიკური მომზადება გამოარჩევდათ და ესეც გამოვიყენეთ. თუმცა არ დავმალავ, რომ თავიდან ჩემპიონობაზე არც ვფიქრობდით, მხოლოდ თავის კარგად წარმოჩენაზე ვოცნებობდით. მერე კი ისე კარგად აეწყო ყველაფერი, მივხვდით, რომ ჩემპიონობაც სავსებით რეალური იყო.

**- საქართველოს ნაკრებზე რას იტყვით?**

- წინა ციკლში, მოსამზადებელ ეტაპსა და ევროპის ჩემპიონატზე, ერთმანეთს სამჯერ შევხვდით და თქვენებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა - ქართველებთან თამაში ძალიან ძნელია. სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ევროპის ჩემპიონატზე საქართველო ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა, მაგრამ... ფორტუნამ ზურგი გაქციათ.

**მერაბ მამულაშვილი**



U 19. ამხანაგური მატჩი

# უფრო თვალსასეირო...

11.10. გორი. თენგიზ ბურჯანაძე. 1000 მაყურებელი

**საქართველო-სერბეთი 4:4**

**1:0 ცინცაძე (21. ჩეჩელაშვილის პასით), 1:1 ზუკანოვიჩი (31), 2:1 კერძევაძე (39. ჩეჩელაშვილის პასით), 3:1 მილოშევიჩი (44-საკ. კარში), 3:2 მილინკოვიჩ-სავიჩი (68), 3:3 გაჩინოვიჩი (75), 3:4 სიმიჩი (79), 4:4 ახვლედიანი (90+3)**

საქართველო (4-2-3-1): **შერმადინი, კაკაბაძე, გურეშიძე, თებიძე (74. ჭანტურია), კუსიანი (86. თევზაძე), ჩეჩელაშვილი (46. აბურჯანია), ცინცაძე, ზარანდია (69. მზევაშვილი), შენგელია (69. ახვლედიანი), ბერიძე, კერძევაძე (76. კიკაბიძე).**

სათადარიგოები: **ქურდაძე, გაბაძე, ჯიქია, გელაშვილი**

მწვრთნელი: **ვ. მაისურაძე**

სერბეთი (4-4-1-1): **რაიკოვიჩი (46. დრობნიაკი), ვიკო, ცვეტკოვიჩი (46. მარასი), ბაბიჩი, მილოშევიჩი (46. ანტონოვი), რისტიჩი (63. სიმიჩი), ზდჟელარი (46. მილინკოვიჩ-სავიჩი), მაქსიმოვიჩი, მანდიჩი (46. გაჩინოვიჩი), პანტიჩი (63. მიხაილოვიჩი), ზუკანოვიჩი (63. ილიჩი).**

სათადარიგო: იოვანოვიჩი

მწვრთნელი: ვ. პაუნოვიჩი

გაფრთხილება: მილოშევიჩი (17), ცინცაძე (22), მიხაილოვიჩი (76), ილიჩი (81), ჭანტურია (83), მაქსიმოვიჩი (85)

არბიტრი: ო. ხეცაძე

სერბეთისა და საქართველოს 19-წლამდელთა გუნდების მეორე დაპირისპირება, პირველისგან განსხვავებით, უხვგოლიანი და თვალსასეირო გამოდგა. ქართველი ფეხბურთელები ევროპის მოქმედ ჩემპიონს გაცილებით უკეთ ეთამაშნენ, ვიდრე ორი დღის წინათ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში.

მატჩის დასაწყისი ამჯერადაც **ვასილ მაისურაძის** შეგირდების უპირატესობითა და გოლით აღინიშნა, თუმცა პირველი სახიფათო მომენტი სერბებმა შექმნეს - კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი **ზუკანოვიჩმა** თავურით კინაღამ **შერმადინის** კარში გადაგზავნა.

„სტანდარტულების" მხრივ, სერბები კიდევ უფრო სახიფათონი იყვნენ და სასიამოვნოა, რომ მათ არც ქართველი თანატოლები ჩამორჩებოდნენ.

ანგარიში 21-ე წუთზე **ცინცაძემ, ჩეჩელაშვილის** კუთხურის შემდეგ თავური დარტყმით გახსნა - 1:0. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა მატჩში „მეორე სართულზე" პირწმინდად დაჩაგრული ქართველები ამ კომპონენტშიც უტოლდებოდნენ მეტოქეს.

ჩვენების გოლს ერთ წუთშივე ლამის გოლითვე უპასუხა **პანტიჩმა**, რომელიც 35 მეტრიდან ძლიერად ურტყამდა და გაიტანდა კიდეც, რომ არა შერმადინის რეაქცია. ხუთ წუთში **ზარანდიას** მიერ ასევე ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო **რაიკოვიჩმა** „ცხრიანიდან" მოხსნა.

სერბებმა საპასუხო გოლი 31-ე წუთზე გაიტანეს - **რისტიჩმა** შორი მანძილიდან შესრულებული საჯარიმო ხარიხას გაარტყა, უკუგდებული ბურთი კი პირდაპირ **ზუკანოვიჩს** მიუვიდა და - 1:1.

ქართველებმა შესვენებამდე კიდევ ორჯერ იხეირეს. 39-ე წუთზე, ისევ კუთხურიდან, ჩეჩელაშვილის ჩაწოდებულზე ყველას **კერძევაძემ** დაასწრო და ფეხის წვერით შეაგდო - 2:1. ამას სერბებმა კიდევ ერთი მძლავრი საჯარიმო დარტყმით (**პანტიჩი**) უპასუხეს, რაც შერმადინმა ძლივს მოიგერია.

44-ე წუთზე ქართველებს სწრაფი კონტრშეტევისას კერძევაძე გაჰყავდათ მეკარესთან პირისპირ და ერთადერთი, ვისაც ამაში ხელის შეშლა შეეძლო, მცველი **მილოშევიჩი** გახლდათ. სერბმა ეს მოახერხა კიდეც, მაგრამ კერძევაძის ფეხიდან აცლილი ბურთი მოექრა და საკუთარ კარში შეუგორდა - 3:1.

შესვენებისას სერბების მწვრთნელმა ხუთი ფეხბურთელი შეცვალა. სტუმრებმა ნელ-ნელა სათავისოდ შემოატრიალეს თამაში, რაშიც მასპინძლებიც „დაეხმარნენ". მაისურაძის გუნდში შეცდომებმა იმატა, დაირღვა ზონებს შორის შეთანხმებული მოქმედება და დაცვაც ზედიზედ რამდენჯერმე ჩავარდა, პლუს ამას, მეკარეც ხშირად არადამაჯერებელად გამოიყურებოდა...

ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ 12-წუთიან მონაკვეთში 3 გოლი გავუშვით, თანაც სხვადასხვა ვითარებაში - საშუალო დისტანციიდან უძლიერესი დარტყმით (**მილინკოვიჩ-სავიჩი, 3:2**), ინდივიდუალური რეიდის საშუალებით (**გაჩინოვიჩი, 3:3**) და გრძელი პასის შედეგად მეკარესთან პირისპირ გასვლით (**სიმიჩი, 3:4**).

დარჩენილ დროში ერთობ ფიცხი პაექრობა გაჩაღდა. ორივე კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ იერიშები ქაოსური იყო, დაიკარგა სათამაშო დისციპლინა, თან ფეხბურთელებმა სიხისტესაც უმატეს.

მატჩის ფინიში საკმაოდ დაძაბული იყო - არბიტრი ხშირად აფრიალებდა ყვითელ ბარათს, უკანასკნელ წუთზე კი **ოთარ ხეცაძემ** პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი - სერბთა საჯარიმოში **აბურჯანიას** წინააღმდეგ უხეშობისთვის დანიშნული 11-მეტრიანი **ახვლედიანმა** გოლად აქცია - 4:4.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კვირის 1000 წუთიანი

# ჯერ შედეგი, მერე ყველაფერი



საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჰოლანდიასთან 0:6 წააგო. მოულოდნელი შედეგი გამოვიდა, რადგან ჩვენს 21-წლამდელებში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს. მატჩის პერიპეტიებიც ისე მიეწყო, რომ ყველაფერი ჩვენი გუნდის საწინააღმდეგოდ მოხდა - უხეში შეცდომები დაცვაში, სათამაშო დისციპლინის მორღვევა, კურიოზული გოლი...

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს **ალექსანდრე ჩივაძე** წვრთნის. ის ორჯერ იყო ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცი და ორივეჯერ საკუთარი ნებით დატოვა თანამდებობა, რადგან ის ზოგიერთზე გაცილებით თავმოყვარე კაცია. ასეთები 0:6-ს სხვაზე მეტად განიცდიან. მწვრთნელობა სტრესია და როცა ამ ხელობას ირჩევ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

მახსოვს, როცა ჩივაძემ პირველად ჩაიბარა საქართველოს ეროვნული ნაკრები, ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა - ჟურნალისტებს გთხოვთ, გულს ნუ ატკენთ ჩივაძესო.

ახალკაცის სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა, ის უმეტეს შემთხვევაში სწორ გადაწყვეტილებებს იღებდა და იმიტომ. ეროვნულ ნაკრებში ჩივაძის დანიშვნაც მისი გადაწყვეტილება იყო და თუ რამდენად გაამართლა, ამაზე ახლაც კამათობენ. როგორც უნდა იყოს, მწვრთნელი ჩივაძე უარყოფით ასოციაციებს არ იწვევს, ალბათ იმიტომ, რომ ჩივაძე, პირველ რიგში, ატმოსფეროს მწვრთნელია.

ახლა კი 0:6 - ჩივაძე ერთხელაც აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში, თუმცა მორიგი მატჩი შორს არ არის. ქართველი 21-წლამდელები 14 ოქტომბერს შოტლანდიას ხვდებიან და სწრაფი რეაბილიტაციის შანსიც ეძლევათ.

ჰოლანდიასთან შეხვედრაში, ჩაფლავების გარდა, ისიც დავინახეთ, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს აქვს ის რესურსი, რითიც ბევრად უკეთ თამაშიც შეუძლია.

**გიორგი ჭანტურია** ძალიან საინტერესო ფეხბურთელი რომ არის, ჰოლანდიასთანაც დაამტკიცა. ფლანგზე მოდრიბლინგე ფეხბურთელი განსაკუთრებულად ფასობს. ჰოლანდიას ძალიან კარგი ახალგაზრდები კი ჰყავს, თუმცა ჭანტურიას დარი გარემარბი არ მოეპოვება. გარემარბს კი ბევრი შეუძლია, თუ თავის ფლანგზე ისეთი მცველიც ჰყავს, შეტევაში თამაში რომ იცის - ასეთ დროს მოწინააღმდეგის დაცვის დანგრევას წინ ბევრი არაფერი უდგას.

მეტს ველოდით **ჯანო ანანიძისგან**, თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში მას ბევრჯერ გამოუჩენია თავი. გუნდის საძირკველი კი მეკარე და დაცვაა. ჰოლანდიამ ამაში გამოიჭირა ჩივაძის გუნდი...

რაც მოხდა, უკვე ჩავლილი ამბავია და ამავე დროს - ჭკუის სასწავლებელიც. ახლახან, „ლელომ" **ალექსანდრე ამისულაშვილს** რომ ჩამოართვა ინტერვიუ, ეროვნული ნაკრების მცველმა გვითხრა - ჩვენთან ჯერ შედეგი უნდათ და მერე ყველაფერი, მაგრამ ასე არ ხდებაო...

ჰოლანდიასთან 0:6-ს მერე ვერც ფეხბურთელებს გავამართლებთ და ვერც მწვრთნელს, მაგრამ ასეთი მარცხი რომ ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობის გამოძახილიცაა, საკამათო არ უნდა იყოს.

■ ■ ■

ერთი მატჩიც და ეროვნული ნაკრები შესარჩევს დაასრულებს. **თემურ ქეცბაიას** გუნდი დანაკლისით ხვდება 15 ოქტომბერს - ესპანეთთან შეხლას დისკვალიფიცირებულები და ტრავმირებულები დააკლდებიან, და კიდევ ანანიძე, ვინც ოჯახური პრობლემების გამო ვერ დაეხმარება ნაკრებს.

ესპანეთთან შეხვედრა ახალს ვერაფერს დაგვანახვებს. **თემურ ქეცბაია** გააგრძელებს თუ არა მუშაობას ნაკრებში, არც ეს არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ანგარიშით დასრულდება ალბასეტეს მატჩი.

ქართულ ფეხბურთს, ჩვენს ნაკრებს ცვლილებები სჭირდება და ეს მხოლოდ მწვრთნელის შეცვლას არ ნიშნავს - ნაკრებში, მწვრთნელის გარდა, ფეხბურთელის ინტერესიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ამ გზით მიდის ყველა, ვისაც აქვს პრეტენზია იმაზე, რომ გუნდია.

დავით თავართქილაძე

● ამხანაგური მატჩი


სპარტაკი-ინტერი. ბურთით გიორგი თექთურმანიძე

# ინტერი ორი მშრალი გოლით

საქართველოში სტუმრად მყოფმა ბაქოს „ინტერმა" გუშინ პირველი საწვრთნელი მატჩი გამართა. **კახა ცხადაძის** გუნდს საქართველოს ჩემპიონატის აუტსაიდერი ცხინვალის „სპარტაკი" დაუპირისპირდა.

„ინტერმა" მატჩი მეორე შემადგენლობით დაიწყო. გუნდში არ იყვნენ აზერბაიჯანის მთავარ და ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული 6 მოთამაშე და პლუს, **ბაჩანა ცხადაძე**, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებშია მიწვეული. მეტოქისგან განსხვავებით, „სპარტაკის" ძირითადს მხოლოდ მეკარე **გიორგი ნადირაძე** და ნახევარმცველი **ნიკა კვეკვესკირი** (ორივე ახალგაზრდულშია) აკლდნენ.

საგურამოს საფეხბურთო სპორტკომპლექსში მატჩს 100-მდე მაყურებელი დაესწრო. „ინტერმა" პირველივე ტაიმში ორი „მშრალი" გოლი გაიტანა. 2:0 - ასეთია მატჩის საბოლოო ანგარიშიც. ცხადაძემ ბოლო 20 წუთი ათამაშა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის - **ალექსანდრე იაშვილი** და **ლაშა სალუქვაძე**. თბილისის „დინამოდან" „ინტერში" გადასული **მიკელ ალვარო** ტრავმის შემდეგ ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვარჯიშობს, მეკარე **გიორგი ლომაია** კი სათადარიგო იყო.

მატჩის ბოლო ნაწილიდან აღსანიშნავია იაშვილის სახიფათო დარტყმა, რომელიც „სპარტაკის" მეკარე **სოსლან ნანიევმა** მოიგერია.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც მოსალოდნელ ტრანსფერს ეხება - „სპარტაკში" სინჯებზეა მარტვილის „მერანის" ყოფილი ფორვარდი, კოტდივუარელი **ტაპე**, რომლის მომავალიც უახლოეს პერიოდში გაირკვევა.

დღეს „ინტერი" საგურამოში კიდევ ერთ საწვრთნელ მატჩს გამართავს. ამჯერად, მისი მეტოქე რუსთავის „მეტალურგი" იქნება. თამაში 4 საათზე დაიწყება.

გია გაგოშიძე

● საქართველოს ჩემპიონატი

## II ლიგა

### დასავლეთი ზონა

#### IV ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი 2 (ხ)-ლაზიკა | 0:1 |
| მერცხალი 2-სამეგრელო | 0:0 |
| საირმე-კოლხეთი 2 (ფ) | 3:0 |
| ეგრისი-საპოვნელა 2 | 4:0 |
| დინამო 2 (ბთ)-რაჭა | 3:1 |
| მარგვეთი-შუქურა 2 | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 5 | 4 | 1 | 0 | 13-0 | 13 |
| 2. მარგვეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-4 | 13 |
| 3. კოლხეთი2 (ფ) | 6 | 4 | 0 | 2 | 14-12 | 12 |
| 4. რაჭა | 6 | 4 | 0 | 2 | 11-11 | 12 |
| 5. საპოვნელა2 | 6 | 3 | 1 | 2 | 14-13 | 10 |
| 6. ეგრისი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-7 | 9 |
| 7. კოლხეთი2 (ხ) | 6 | 2 | 1 | 3 | 11-8 | 7 |
| 8. დინამო2 (ბთ) | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 9. შუქურა2 | 6 | 2 | 1 | 0 | 8-11 | 7 |
| 10. ქუთაისი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-13 | 6 |
| 11. საირმე | 6 | 2 | 0 | 4 | 10-16 | 6 |
| 12. მერცხალი2 | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |
| 13. სამეგრელო | 5 | 0 | 1 | 4 | 2-14 | 1 |

### აღმოსავლეთი ზონა

#### V ტური

| | |
|---|---|
| ივერიონი-ფორვარდი | 3:0 |
| დურუჯი-დუშეთი | 2:0 |
| რუსთავი-ლიახვი | 0:3 |
| აბული-ბორჯომი | 0:3 |
| ივერია-დინამო (სხ) | 10:1 |
| ივერია-ალაზანი | 5:3 |
| გოლეადორი-სასკო 2 | 2:1 |
| საქ. უნივერსიტეტი-იბერია | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარკ სტარი | 5 | 5 | 0 | 0 | 26-4 | 15 |
| 2. ლიახვი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-4 | 11 |
| 3. ბორჯომი | 4 | 3 | 1 | 0 | 16-2 | 10 |
| 4. ივერია | 5 | 3 | 1 | 1 | 14-7 | 10 |
| 5. საქ. უნივერსიტ. | 4 | 3 | 0 | 1 | 14-7 | 9 |
| 6. გოლეადორი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-9 | 9 |
| 7. ივერიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-7 | 8 |
| 8. დუშეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-7 | 8 |
| 9. ალაზანი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 10. დურუჯი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 11. იბერია | 4 | 1 | 1 | 2 | 6-13 | 4 |
| 12. დინამო (სხ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-17 | 4 |
| 13. რუსთავი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-22 | 3 |
| 14. აბული | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |
| 15. ფორვარდი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |
| 16. სასკო 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 3-16 | 0 |

● ინტერვიუ

## მარჩელო ლიპი

# ჩვენ ხომ ამაში ყველაზე მაგრები ვართ...

■ **მარჩელო ლიპი ახლა ჩინეთში („გუანჯოუ ევერგრანდი") მუშაობს, სადაც სხვადასხვა სქემებით ვარირებისთვის ფართო ასპარეზი აქვს. 4-2-3-1, 3-5-2... მატჩის მსვლელობის დროს თამამად გადადის სისტემიდან სისტემაზე. ეს მისი სტიქიაა. შარშან, გუნდის ტაქტიკური მომზადებისას, ლიპის პრობლემები ჰქონდა. ჩინეთში ხომ ამას შეჩვეულები არ იყვნენ, დღეს კი, როგორც ამბობენ, ლიპის გუნდი „დაფრინავს"... „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი სწორედ ტაქტიკურ სიტუაციებსა და ნოვაციებს აანალიზებს...**



**- რატომ არის, რომ სერია A-ს გუნდების ნახევარი აქტიურად იყენებს 3-5-2-ს, მაშინ, როცა ევროპაში ეს სქემა ჯერჯერობით არ არის პოპულარული? ეს უბრალოდ მოდაა, თუ იტალიური მენტალობის ნაწილი?**

- იმიტომ, რომ იტალიელი მწვრთნელები, ტაქტიკური განათლების მხრივ, მსოფლიოში ყველაზე მაგრები ვართ! ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ. ყველამ როდი იცის, როგორც უნდა ათამაშოს გუნდი 3 მცველით. ეს არ არის ადვილი, არადა, თამაშის დროს სამმცველიან სქემას, სიტუაციებიდან გამომდინარე, ხშირად იყენებენ ხოლმე. უბრალოდ, პრობლემა ის არის, რომ ეს ყველაფერი სისტემატიზაციაში ვერ მოჰყავთ, ვარჯიშებისას არ ამუშავებენ. თამაშის დროს ტაქტიკური ცვლილებები სტიქიურად ხდება.

**- ახსენით, როგორ ხდება ეს ყველაფერი მატჩის მსვლელობისას?**

- ორ მაგალითს მოგიყვანთ. ერთ-ერთია „ბარსელონა". ამ გუნდის განაპირა მცველები, დანი ალვეში და ალბა, ძალიან ახლოს თამაშობენ ფორვარდებთან, მაშინ, როცა საყრდენი ნახევარმცველი ბუსკეტსი, ფაქტობრივად, ცენტრალური მცველის ფუნქციებს ითავსებს ხოლმე. მეორე მაგალითია „რომა". ლუის ენრიკეს დროს ანალოგიურ სვლას აკეთებდა დე როსიც.

**- სულ ეს არის? სხვა მაგალითები?**

- აიღეთ ნებისმიერი გუნდი, რომელიც ოთხი ნომინალური მცველით თამაშობს. ახლა წარმოიდგინეთ - იერიშის დროს, ერთ-ერთი განაპირა მცველი მიდის შეტევაში და ეხმარება თავდასხმას, ხოლო მეორე ფლანგის მცველი ცენტრალურ მცველებთან რჩება, რათა აუცილებლობის შემთხვევაში დაცვითი დიაგონალი შექმნას. ესეც თქვენი სამმცველიანი სქემა!

**- ამავე დროს, ეს 3-5-2-ც ხშირად განიცდის მოდიფიკაციას...**

- მართალი ხართ. ხანდახან წინ მიდის არა რომელიმე ფლანგის მცველი, არამედ ნახევარმცველი, ხოლო მის ადგილას ჩადის ფორვარდი. მოკლედ, ყველაფერი დამოკიდებულია შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებზე. ჩემი გუნდის მაგალითზე გეტყვით - შარშან „გუანჯოუს" საბაზო სქემად ავირჩიე 4-2-3-1. მაგრამ, როცა ერთ-ერთმა მცველმა ტრავმა მიიღო და დიდი ხნით დაგვაკლდა, პრობლემის წინაშე დავდექი - ფლანგის მცველი აღარ მყავდა, რომ დანაკლისი შემევსო. სამაგიეროდ, გუნდში იყო ნახევარმცველი, რომელსაც სიღრმიდან შეტევა შეეძლო. ამიტომაც გადავედი 3-5-2-ზე.

**- ნამდვილ 3-5-2-ს ახლა „იუვენტუსი" იყენებს...**

- ეს არ არის პირლოს სახელობის სისტემა. კონტე ბედნიერია იმით, რომ ჰყავს პირლო, რომელმაც კარგად იცის ბურთის დაჭერა ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი, ასევე ორი „ჰავბეკი" - ვიდალი და მარკიზიო, რომელთაც ართმევაზეც შეუძლიათ თამაში, დასარტყმელ პოზიციაზეც გადიან და გოლებიც გააქვთ. ამიტომ, დღევანდელ „იუვენტუსში" 3-5-2-ის გამოყენება გაცილებით ადვილია, ასე ვიტყოდი - ზედგამოჭრილიც კი ამ შემადგენლობისთვის.

**- იტალიაში თანდათან გაქრა 4-4-2, რომელიც თავის დროზე წამყვანი სისტემა იყო. ამას რით ახსნით?**

- მე მგონი, უკანასკნელი გუნდი, რომელიც 4-4-2-ს იყენებდა, დელ ნერის „კიევო" იყო, და სხვათა შორის, „იუვენტუსიც", როცა იქ დელ ნერი მუშაობდა. ახლა უკვე იშვიათად იყენებენ ორ ფორვარდს, რომელიც ფაქტობრივად ერთ ხაზზე თამაშობს და მათი მოძრაობის ტრაექტორია ერთმანეთს კვეთს. ხშირია შემთხვევებიც, როცა ერთ-ერთი ფორვარდი უკან იხევს და ვიღებთ ასეთ სქემას - 4-4-1-1. გნებავთ, ამას 4-2-3-1 დაარქვით.

**- „ტრეკვარტისტას" (ეგრეთ წოდებული „სამი მეოთხედის" მოთამაშე. ამ მეტსახელით იტალიაში მოიხსენიებენ შემტევ ნახევარმცველს, რომელიც ფორვარდთან ახლოს თამაშობს. მაგალითად, ალესანდრო დელ პიერო 90-ანების „იუვენტუსში" - რედ) როლი წარსულში დარჩა?**

- დღესდღეობით, „ტრეკვარტისტა" ფაქტობრივად მეორე ფორვარდია. მაგალითად, სტეფანო პიოლი „ბოლონიას" 4-3-1-2 სქემით ათამაშებს. პრინციპში, აქ დიამანტიც ფორვარდია, მაგრამ მწვრთნელს ის მკაცრად ფლანგზე ჰყავს გამწესებული.

**- თავის დროზე თქვენც იყენებდით 4-3-1-2-ს „იუვენტუსში"...**

- ჰო, მაგრამ მაშინ ზიდანი და ნედვედი მყავდა, ორი უმაღლესი რანგის ფეხბურთელი...

**- შეგიძლიათ, თქვათ, რომ ესა თუ ის სქემა ცუდია, ან სხვა ამ ცუდს რითი სჯობია?**

- არა. იმიტომ, რომ ახლა სპეციალისტების უმრავლესობა ერთდროულად ორ სქემას ამუშავებს, რათა მატჩის დროს, სიტუაციისდა მიხედვით, ცვალოს ერთმანეთში. ვფიქრობ, არაფერია ცუდი 3-4-1-2 სისტემაში, მით უმეტეს, თუ მაღალი კლასის ფლანგელები გყავს, შეიძლება სულაც ოთხი კაცით შეუტიო.

**- სხვათა შორის, სწორედ ეს თქვა კონტემ ამას წინათ - თუ ფლანგზე ერთი გამოკვეთილი მოთამაშე გყავს, 3-3-4 სქემაც კარგად იმუშავებსო...**

- ...და მართალიცაა. და კიდევ ერთი ნიუანსი - როცა 3-3-4-ს იყენებ, აუცილებელია პრესინგი მეტოქის განაპირა მცველებზე. თან, თავად უნდა გყავდეს ისეთი მცველები, რომლებიც თამამად წავლენ შეტევაში და უშუალო მოვალეობის შესრულებაც არ დაავიწყდებათ.

გიორგი გელაშვილი

ინტერვიუ. მესუთ იოზილი

# სამაგალითო ევროპელი ვარ!

## იოზილმა ლონდონში ახალი ცხოვრება დაიწყო

**მესუთ იოზილმა გუშინ, ირლანდიასთან გერმანიის ნაკრებში 50-ე შეხვედრა ჩაატარა. მადრიდის „რეალიდან“ ლონდონის „არსენალში“ გადაბარგებულ 24 წლის ფლეიმეიქერს ამ მატჩამდე გაზეთ „ბილდის“ ჟურნალისტი გაესაუბრა.**

**- ჰერ იოზილ, რაკი გერმანიის ნაკრებზე სალაპარაკო ბევრი არაფერია, საუბარი პირდაპირ „არსენალით“ დავიწყოთ. ლონდონში ახალი ცხოვრება დაიწყეთ. „თევზი და კარტოფილი“ გემრიელია?**

- ალბათ არ დაიჯერებთ, მაგრამ ჯერ არ გამისინჯავს. სპორტსმენს განსაკუთრებული კვება სჭირდება და წესებს მკაცრად ვიცავ. შემიძლია ვთქვა, რომ ლონდონი გენიალური ქალაქი ყოფილა. პირადი ვიზიტით აქ ნამყოფი არ ვიყავი და ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასწაული ქალაქია!

**- მარჯვენასაჭიან მანქანებს როგორ შეეგუეთ?**

- მარცხენა ზოლში მოძრაობა არც ისე რთული ყოფილა. უკვე შევეჩვიე.

**- თქვენთვის და თქვენი მეგობარი გოგონასთვის სახლი უკვე შეარჩიეთ?**

- ჰო, ჰამპსტიდში და სწორედ ახლა გადავდივართ.

**- რაც შეეხება სპორტულ მხარეს?**

- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ლონდონში სრულყოფილი, იდეალური საფეხბურთო გარემოა და მეც ბედნიერი ვარ. „არსენალი“ პრემიერლიგაში ლიდერობს და ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად ვასპარეზობთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ „არსენალში“ გადმოსვლას არ ვინანებდი, ახლა კი ვხვდები, რომ ეს ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო.

**- ბევრი ფიქრობს, რომ „რეალიდან“ „არსენალში“ გადასვლა წინ გადადგმული ნაბიჯი არ არის...**

- მე ასე არ ვფიქრობ. ფაქტია, რომ ჩემი კარიერა კიდევ უფრო საერთაშორისო გახდა. 24 წლის ვარ და უკვე გერმანიაში, ესპანეთსა და ინგლისში მითამაშია. ხუმრობა ხომ არ არის - მსოფლიოს სამ საუკეთესო ლიგაზე ვსაუბრობთ. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ყველგან წარმატებული ფეხბურთელი ვიყავი. ეს იმას ნიშნავს, რომ სამაგალითო ევროპელი ვარ. ამისთვის ყველას მადლობას ვუხდი...

**- „რეალიდან“ წამოსვლა თქვენი სურვილი არ ყოფილა. მადრიდელებმა თავად გადაწყვიტეს თქვენი გაშვება, თუმცა ახლა სინანული ეტყობათ...**

- „რეალი“ უკვე დავივიწყე. ახლა უკვე სულით ხორცამდე არსენალელი ვარ და არსენ ვენგერის ნდობას ვგრძნობ. იმედია, ყველა ხედავს, რომ მოედანზე მაქსიმუმს ვაკეთებ და ლონდონური კლუბისთვის ბოლომდე ვიხარჯები.

**- ესპანელი ჟურნალისტები წერდნენ, იოზილს გართობა უყვარსო...**

- გართობა ძალიანაც მიყვარს, მაგრამ ღამღამობით კლუბებში არ დავდივარ. დააკვირდით, რამდენად ხშირად ვთამაშობ და რამდენად იშვიათად ვარ ტრავმირებული - როგორ ფიქრობთ, ალკოჰოლს და ღამის კლუბებს რომ ვეძალებოდე, მაინც ასე იქნებოდა? როცა ფეხბურთელი ხარ, ბოლომდე ფეხბურთელი უნდა იყო და სპორტის ამ სახეობის პლუსებთან ერთად, მისი მინუსებიც უნდა გაითავისო. სხვანაირად წარმატებას ვერ მიაღწევ.

> **„არსენალში“ რომ გადმოვედი, ჟოზემ მესიჯი მომწერა, კეთილი იყოს შენი მობრძანება ლონდონშიო**

**- გერმანია, ესპანეთი, ინგლისი - სად თამაშობენ საუკეთესო ფეხბურთს?**

- ჩემი აზრით, მსოფლიოში ყველაზე რთული და ძლიერი ინგლისის პრემიერლიგაა. ეს იმის დამსახურებაა, რომ ინგლისში ბევრი თანაბარი და დაახლოებით თანაბარი დონის გუნდია. გარდა ამისა, ამაზე ინტენსიურ ფეხბურთს არსად თამაშობენ. სხვა ლიგებში კი ბევრია ისეთი მეტოქე, რომელიც მხოლოდ დაცვაში ზის და მთელი 90 წუთი სასწაულის იმედი აქვს.

**- „არსენალში“ როგორაა საქმე?**

- აქ ისიც ბედნიერებაა, კუთხურის დროს ორიოდე წამით ამოსუნთქვის საშუალება რომ გეძლევა. აქ ფეხბურთს საშინლად მაღალ ტემპში თამაშობენ, რაც ტელევიზორიდან ან თუნდაც ტრიბუნიდან ნაკლებად იგრძნობა. ტემპის სისწრაფეს რეალურად მაშინ აფასებ, როცა თვითონ ხარ მოედანზე.

**- ჟოზე მოურინიოსთან კავშირი გაქვთ? პორტუგალიელი „რეალში“ თქვენი დამრიგებელი იყო, ახლა კი „ჩელსის“ თავკაცია...**

- ჰო, ერთმანეთს ვეხმიანებით ხოლმე. „არსენალში“ რომ გადმოვედი, ჟოზემ მესიჯი მომწერა, „კეთილი იყოს შენი მობრძანება ლონდონშიო“.

**- კიდევ რა მოგწერათ?**

- ეს უკვე ჩემი და ჟოზეს საქმეა...

**- გერმანიის ნაკრებით დავასრულოთ: ბუნდესგუნდში ყველაზე მეტად ვის ემადლიერებით?**

- რა თქმა უნდა, მწვრთნელს! იოახიმ ლიოვი ყოველთვის მენდობოდა და მაშინაც მხარში მედგა, როცა მიჭირდა. გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებიც კარგი ბიჭები არიან - ამიტომაცაა, რომ ნაკრებში გამოძახება ყოველთვის ისე მიხარია, როგორც მაშინ, ბუნდესგუნდში პირველად რომ გამომიძახეს.



გოტფრიდ ლენცი

ინტერი



დიეგო მილიტო ისევ დაშავდა

# მილიტო ერთ თვეს იუქმებს

## ახალი კონტრაქტი პალასიოს და რანოკიას

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ „ინტერის“ ვარჯიშზე **დიეგო მილიტომ** მორიგი ტრავმა მიიღო და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა ფეხბურთს. 34 წლის არგენტინელ ფორვარდს ექიმებმა დეტალური გამოკვლევა ჩაუტარეს და დადგინდა, რომ დიეგო მინიმუმ ერთ თვეს იუქმებს:

*„იმედია, სარეაბილიტაციო პერიოდი კარგად ჩაივლის და მოედანზე სწორედ ოთხ კვირაში დავბრუნდები. ვწუხვარ, რომ ისევ დავაკლდები გუნდს და კვლავაც ტრიბუნებზე მომიწევს ჯდომა“.*

მოკლედ, **ვალტერ მაცარის** არ უმართლებს - „ინტერის“ თავდასხმა ისედაც არ არის ზე-ვარსკვლავური და ვინც არის, ისინიც ტრავმებმა გატანჯეს. „ნერაძურის“ დამრიგებელი კვლავაც **როდრიგო პალასიოს** იმედზე იქნება, თადარიგში კი **იცხაკ ბელფოდილი** და **მაურო იკარდი** მოიაზრებიან.

„ინტერის“ მესვეურები წამყვან ფეხბურთელებთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებენ. ამ ეტაპზე, როდრიგო პალასიოს და **ანდრეა რანოკიას** ხელშეკრულებები დგას დღის წესრიგში. ორივე 2015 წლის ზაფხულს ხდება თავისუფალი აგენტი და თუ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს, ეს ვადა 2017 წლამდე გადაიწევს. როგორც იტალიელი ჟურნალისტები გვაუწყებენ, ახალი კონტრაქტები გაუმჯობესებული პირობებით იქნება. პალასიომ უკვე გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ „ინტერთან“ დიდი სიამოვნებით გააფორმებს ახალ ხელშეკრულებას.

ლაშა წიკლაური

ამბები

## პლატინიმ იუვეს ტიფოზები დაამშვიდა

უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** განცხადებით, „იუვენტუსის“ გულშემატკივრები მშვიდად უნდა შეხვდნენ საყვარელი გუნდის არცთუ წარმატებულ სტარტს ჩემპიონთა ლიგაზე და იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ ყველაფერი გამოსწორდება. მეტიც, ლეგენდარულ ფრანგ ფეხბურთელს და ამჟამად, ევროპული ფეხბურთის მამას სჯერა, რომ „ვეკია სენიორას“ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე გაჩემპიონებაც კი შეუძლია:



მიშელ პლატინი

*„ტურინულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშება მძიმედ დაიწყო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. წინ ჯგუფური ეტაპის კიდევ ოთხი მატჩია და ვფიქრობ, რომ „ვეკია სენიორას“ მერვედფინალში გასვლის საკმაოდ კარგი შანსი აქვს. „იუვენტუსი“-„რეალის“ შეხვედრები ბევრ საინტერესოს გვპირდება და ჩემი მოსაზრებით, გუნდებს თანაბარი შანსები აქვთ. „იუვენტუსი“ ევროპული ფეხბურთის გრანდია - შესაძლოა, შედარებით სუსტ გუნდს ვერ მოუგოს, მაგრამ შემდეგ „რეალი“ დაამარცხოს. ამ შემთხვევაში, როგორც „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი და არა უეფას პრეზიდენტი, ტურინული გუნდის შანსებს საკმაოდ ძვირად ვაფასებ და ვფიქრობ, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „ბიანკონერის“ წარმატების მიღწევის კარგი შანსი აქვს“.*

## კანდრევას 5-წლიანი კონტრაქტი

„ლაციოს“ მესვეურებმა **ანტონიო კანდრევასთან** შეთანხმებას მიაღწიეს და მას კონტრაქტი 5 წლით გაუხანგრძლივეს. ამრიგად, ხელშეკრულების თანახმად, 26 წლის შემტევმა რომაულ კლუბს ბედი 2018 წლამდე დაუკავშირა. ამან „ლაციოს“ სპორტული დირექტორი **იგლი ტარე** მეტად გაახარა:



ანტონიო კანდრევამ „ლაციოსთან“ ხელშეკრულება გაახანგრძლივა

*„კანდრევამ ბოლო პერიოდში უდიდესი პროგრესი განიცადა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს, გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. ანტონიოსთან ხელშეკრულების გახანგრძლივება ჩვენთვის პრიორიტეტული საქმე იყო და მიხარია, რომ მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდა. ვეცდებით, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრამდე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან გავახანგრძლივოთ ხელშეკრულება, შემდეგ კი გაძლიერებაზე ვიზრუნოთ. დიახ, ზამთარში ორი-სამი ფეხბურთელის გადაბირებას ნამდვილად ვაპირებთ და ამის აუცილებლობა ჩემპიონატის საწყისმა ტურებმაც გვაჩვენა. ფაქტია, რომ კონკურენტები მეტად გაძლიერდნენ და მათთვის ფეხის აწყობაა საჭირო“.*

ლაშა წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. შესარჩევი ეტაპი. ევროპა

# კიდევ სამი გაირკვა: გერმანია, ბელგია და შვეიცარია

## რუსეთიც და ესპანეთიც თითქმის ბრაზილიაში არიან

■ ნუხელ ევროპაში 2014 წლის მუნდიალის მორიგი შესარჩევი მატჩები გაიმართა - „ბებერი კონტინენტიდან" კიდევ სამი ნაკრების ვინაობა გაირკვა, რომლებიც ბრაზილიაში გაემგზავრებიან. ესენია: ბელგია, გერმანია და შვეიცარია. ისინი შეუერთდნენ ჰოლანდიასა და იტალიას. 4 ქვეჯგუფში კიდევ ღიადაა პირველადგილოსნის საკითხი, თუმცა აქედან ორში ეს უფრო სიმბოლურია - რუსეთისა და ესპანეთის ნაკრებს სასწაული თუ შეუშლის ხელს სამშაბათს საგზურების მოპოვებაში. საბრძოლველი დარჩა G და H ჯგუფებში.




### A ჯგუფი

ბელგიის შესანიშნავმა ნაკრებმა მუნდიალის საგზური ერთი ტურით ადრე, ზაგრებში მოპოვებული გამარჯვებით გაინაღდა. მარკ ვილმოტსის გუნდს **რომელუ ლუკაკუმ** მოაგებინა, რომელმაც დუბლი გაიფორმა. ხორვატიის ნაკრები მეორე ადგილზე დარჩება და მუნდიალზე გამგზავრების უფლების მოპოვებას პლეი ოფში ეცდება.

**ხორვატია-ბელგია 1:2**

**გოლები:** 0:1 ლუკაკუ (15), 0:2 ლუკაკუ (38), 1:2 კრანჩარი (83)

**ხორვატია (3-4-2-1):** პლეტიკოშა - სტრინიჩი, ლოვრენი, ჩორლუკა - ვიდა, კოვაჩიჩი (65. ვუკოიევიჩი), მოდრიჩი, ვრსალიკო - რაკიტიჩი (76. კრანჩარი), პერიშიჩი (46. კალინიჩი) - მანჯუკიჩი

**ბელგია (4-2-3-1):** კურტუა - ალდერვეირელდი, ვან ბუიტენი, ლომბერტსი, ვერტონგენი - ვიტსელი, დეფური (84. დემბელე) - დე ბრუინი (65. მირალასი), ფელაინი, აზარი - ლუკაკუ (69. ჩადლი)

**მაყურებელი:** 12 000

**უელსი-მაკედონია 1:0**

**გოლი:** 1:0 ჩერჩი (67)

**უელსი (4-3-3):** ჰენესი - განტერი, ჯონი, კოლინსი, ნ. ტეილორი - ვონი, რემსი, კინგი - ბელამი, რობსონ-კანუ, ჩერჩი (90. ისტერი)

**მაკედონია (4-2-3-1):** პაჩოვსკი - რისტოვსკი, შიკოვი, ნოვესკი, ალიოსკი - დემირი (85. კოსტოვსკი), სტიეპანოვიჩი (75. ტოფილოსკი) - ივანოვსკი (80. ტრაიკოვსკი), რანჯელოვიჩი, იბრაიმი - პანდევი

**გამოუყენებელი პენალტი:** რემსი (85. უელსი)

**მაყურებელი:** 11 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 9 | 8 | 1 | 0 | 17-3 | 25 |
| 2. ხორვატია | 9 | 5 | 2 | 2 | 12-7 | 17 |
| 3. სერბეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 13-10 | 11 |
| 4. უელსი | 9 | 3 | 0 | 6 | 8-19 | 9 |
| 5. შოტლანდია | 9 | 2 | 2 | 5 | 6-12 | 8 |
| 6. მაკედონია | 9 | 2 | 1 | 6 | 6-11 | 7 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **სერბეთი-მაკედონია, ბელგია-უელსი, შოტლანდია-ხორვატია**

### B ჯგუფი

9-კაციან ბულგარეთს სომხეთის ნაკრებმა შეხვედრის ბოლოსკენ გატანილი გოლით მოუგო და მეორე ადგილზე გასვლის მინიმალურზე მინიმალური შანსი შეინარჩუნა. დანიას მეორე ადგილი ჯიბეში ედო, მაგრამ ცვლილებაზე შემოსულმა **ალბერტო აკვილანიმ** ბოლო წუთზე ანგარიში გაათანაბრა და „დანიურ დინამიტს" უმნიშვნელოვანესი ორი ქულა წაართვა. ახლა, დანიამ რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა იმარჯვოს და იმის იმედი ჰქონდეს, რომ ბულგარეთი ჩეხეთს ან ვერ მოუგებს, ან მხოლოდ მინიმალური სხვაობით სძლევს.

**სომხეთი-ბულგარეთი 2:1**

**გოლები:** 1:0 იოზბილიზი (45), 1:1 ი. პოპოვი (61), 2:1 მოვსისიანი (87)

**სომხეთი (4-2-3-1):** ბერეზოვსკი - კ. ჰოვჰანისიანი, არზუმანიანი (12. ალექსანიანი), მქოიანი, ჰაირაპეტიანი - მხითარიანი, მკრტჩიანი - იოზბილიზი (54. პიცელი), სარქისოვი (90. მანოიანი), ლაზარიანი - მოვსისიანი

**ბულგარეთი (4-2-3-1):** სტოიანოვი - მინევი, ი. ივანოვი, ბოდუროვი, ზანევი - გაჯევი, დიაკოვი - მანოლევი (59. ა. ტონევი), მილანოვი (76. ჰრისტოვი), ი. პოპოვი - გარგოროვი (69. ზლატინსკი)

**გაძევება:** ბოდუროვი (44. ბულგარეთი), დიაკოვი (63. ბულგარეთი)

**მაყურებელი:** 14 000

**მალტა-ჩეხეთი 1:4**

**გოლი:** 0:1 პიუბშმანი (3), 0:2 ლაფატა (33), 1:2 მიფსუდი (48), 1:3 ვ. კადლეცი (51), 1:4 პეკჰარტი (90)

**მალტა (4-3-2-1):** ჰაბერი - ა. მუსკატი, დიმეკი, კარუანა (57. აგიუსი), ფაილია (87. რ. ფენეკი) - კამილერი (80. პ. ფენეკი), მინტოფი, ბრიფა - კოენი, რ. მუსკატი - მიფსუდი

**ჩეხეთი (4-3-2-1):** ჩეხი - რაიტორალი, სივოკი, სუხი, მ. კადლეცი - პლაშილი, პიუბშმანი, ჰუსბაუერი (90. ვანეკი) - ლაფატა (85. ირაჩეკი), დოკალი - ვ. კადლეცი (74. პეკჰარტი)

**მაყურებელი:** 6 000

**დანია-იტალია 2:2**

**გოლები:** 0:1 ოსვალდო (28), 1:1 ბენდტნერი (45), 2:1 ბენდტნერი (79), 2:2 აკვილანი (90)

**დანია (4-2-3-1)** ანდერსენი - ლ. იაკობსენი, ბიელანდი, კიაერი, ბოილესენი - ზიმლინგი (82. ანდრეასენი), კვისტი - კრონ-დელი, ერიკსენი, ბრაიტვეიტი (46. ე. ლარსენი) - ბენდტნერი (84. მაკიენოკი)

**იტალია (4-3-2-1):** ბუფონი - დე სილვესტრი, რანოკია, კიელინი, ბალძარეტი - ტიაგო მოტა, მარკიზიო (68. აკვილანი), მონტოლივო (82. ჯილარდინო) - კანდრევა, დიამანტი (77. ჩერჩი) - ოსვალდო

**მაყურებელი:** 42 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 9 | 6 | 3 | 0 | 17-7 | 21 |
| 2. ბულგარეთი | 9 | 3 | 4 | 2 | 14-8 | 13 |
| 3. დანია | 9 | 3 | 4 | 2 | 11-12 | 13 |
| 4. ჩეხეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-9 | 12 |
| 5. სომხეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 10-11 | 12 |
| 6. მალტა | 9 | 1 | 0 | 8 | 5-22 | 3 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **ბულგარეთი-ჩეხეთი, დანია-მალტა, იტალია-სომხეთი**

### C ჯგუფი

ჯგუფში საშინაო მატჩები მოიგეს გერმანიამ და შვედეთმა. ბუნდესგუნდმა პირველი ადგილი გაინაღდა, სკანდინაველებმა კი მეორე პოზიცია და პლეი ოფში თამაშის უფლება მიიღეს.

**ფარერები-ყაზახეთი 1:1**

**გოლები:** 1:0 ჰ. ჰანსონი (41), 1:1 ფინონჩენკო (55)

**ფარერები (4-3-2-1):** გ. ნილსენი - ნესი, ი. დავიდსენი, ბალდვინსონი, ვ. დავიდსენი - ბენიამინსენი, უდსენი (77. ს. ოლსენი), იუსტინუსენი - ჰ. ჰანსონი, ჰოლსტი - ედმუნდსონი (77. კლეტსკარდი)

**ყაზახეთი (4-3-2-1):** სიდელნიკოვი - გორმანი, კისლიცინი, ენგელი, კორობკინი - მულდაროვი (80. ლოგვინენკო), ჟუმასკალიევი (71. ბაიჟანოვი), შომკო - ბოგდანოვი, ხიჟნიჩენკო - ფინონჩენკო (90. შჩეტკინი)

**მაყურებელი:** 2 000

**გერმანია-ირლანდია 3:0**

**გოლები:** 1:0 ხედირა (12), 2:0 შიურლე (58), 3:0 იოზილი (90)

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ბოატენგი, იანსენი - ხედირა, (82. კრუზე) შვაინშტაიგერი - შიურლე (86. გიოტცე), იოზილი, კროოსი - მიულერი (88. სემი)

**ირლანდია (4-2-3-1):** ფორდი - კოულმენი, კლარკი, დელანი, კელი - გიბსონი, უილსონი - უელანი, მაკკარტი, დოილი - სტოუქსი

**მაყურებელი:** 46 237

**შვედეთი-ავსტრია 2:1**

**გოლები:** 0:1 ჰარნიკი (29), 1:1 მარტინ ოლსონი (56), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (86)

**შვედეთი (4-4-2):** ისაკსონი - ლუსტიგი (65. დურმაზი), ჰ. ნილსონი, ანტონსონი, მარტინ ოლსონი - ს. ლარსონი, ა. სვენსონი (81. ვერნბლუმი), რ. ელმი (73. კალსტრომი), კაჩანიკლიჩი - ელმანდერი, იბრაჰიმოვიჩი

**ავსტრია (3-4-3):** ალმერი - პრიოდლი, პოგატეცი, დრაგოვიჩი - გარიჩი, იუნუზოვიჩი (64. ლაიტგები), ალაბა, ფუხსი - ჰარნიკი (74. ვაიმანი), იანკო (80. ივანშიტცი), არნაუტოვიჩი

**გაძევება:** არნაუტოვიჩი (90. ავსტრია)

**მაყურებელი:** 53 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 9 | 8 | 1 | 0 | 31-7 | 25 |
| 2. შვედეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-9 | 20 |
| 3. ავსტრია | 9 | 4 | 2 | 3 | 17-10 | 14 |
| 4. ირლანდია | 9 | 3 | 2 | 4 | 13-16 | 11 |
| 5. ყაზახეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 5-18 | 5 |
| 6. ფარერები | 9 | 0 | 1 | 8 | 4-26 | 1 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **ირლანდია-ყაზახეთი, შვედეთი-გერმანია, ფარერები-ავსტრია**

### D ჯგუფი

ერთ-ერთი ყველაზე საოცარი შედეგი ამსტერდამში დაფიქსირდა - ჰოლანდიამ უნგრეთი მიწასთან გაასწორა, რაც პირველი შემთხვევა არ არის - 2010 წლის მუნდიალის წინ „ორანიემ" მეტოქეს 6:1 მოუგო, პირველ წრეში კი ბუდაპეშტში 4:1 იმარჯვა.

ამ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა.

**ანდორა-რუმინეთი 0:4**

**გოლები:** 0:1 კესერიუ (42), 0:2 სტანჩუ (54), 0:3 ტორიე (62-პენ), 0:4 ლაზარი (85)

**ანდორა (4-2-3-1):** ფერან პოლი - ადრი როდრიგესი (79. ი. ლორენსო), ე. გარსია, მარკ ვალესი (63. სონეიე), მ. გარსია - ხ. აიალა, მ. ვიეირა - კ. მარტინესი, მ. პუიოლი (74. ე. პეპე), ს. მორენო - გ. რიერა

**რუმინეთი (4-4-2):** ლობონტი - მატელი, გოიანი, ჩირიჩეში, ლატოვლევიჩი - ტორიე, მაქსიმი (69. ტანასე), ბურჩეანუ, ლაზარი - კესერიუ (58. მარიკა), სტანჩუ (82. გროზავი)

**მაყურებელი:** 1 500

**ესტონეთი-თურქეთი 0:2**

**გოლები:** 0:1 უმუთ ბულუთი (22), 0:2 ბურაქ ილმაზი (47)

**ესტონეთი (4-2-3-1):** პარეიკო - კამსი (66. კინკი), პიიროია (34. რეინტამი), კლავანი, ტენისტე - ვუნკი, დმიტრიევი - ოიამა (75. პური), ვასილიევი, კრუგლოვი - ზენიოვი

**თურქეთი (4-4-2):** ვოლქან დემირელი - გიოკჰან გიონული, სემიჰ ქაია, ომერ თოფრაქი, ერქინი - თიორე, (83. ფოთუქი) მეჰმეთ თოფალი, ინანი, არდა თურანი (87. ადინი) - ბურაქ ილმაზი (80. შაჰანი), უმუთ ბულუთი

**მაყურებელი:** 9 000

**ჰოლანდია-უნგრეთი 8:1**

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (16), 2:0 სტროოტმანი (25), 3:0 ლენსი (38), 4:0 ვან პერსი (44), 4:1 ჯუჯაკი (47-პენ), 5:1 ვან პერსი (53), 6:1 დევეჩერი (65-საკ. კარში), 7:1 ვან დერ ვაარტი (86), 8:1 რობენი (90)

**ჰოლანდია (4-3-3):** ვორმი - იანმაატი, ბრუმა, ვლაარი, ბლინდი - ნ. დე იონგი, ვან დერ ვაარტი, სტროოტმანი (81. ფერი) - რობენი, ვან პერსი (61. კუიტი), ლენსი

**უნგრეთი (4-4-2):** ბოგდანი - გუზმიჩი, ვანჩაკი, კადარი (46. დევეჩერი), კორჩმარი - ვარგა, ბიოდე, ჰაინალი (46. ელეკი), ჯუჯაკი - კომანი, ნემეტი (79. ნიკოლიჩი)

**გაფრთხილება:** ნ. დე იონგი - დევეჩერი, ნემეტი, გუზმიჩი

**მაყურებელი:** 52 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 9 | 8 | 1 | 0 | 32-5 | 22 |
| 2. თურქეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 16-7 | 16 |
| 3. რუმინეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 17-12 | 16 |
| 4. უნგრეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 19-20 | 14 |
| 5. ესტონეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 6-18 | 7 |
| 6. ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 0-28 | 0 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **უნგრეთი-ანდორა, რუმინეთი-ესტონეთი, თურქეთი-ჰოლანდია**

### E ჯგუფი

შვეიცარიის ნაკრები მუნდიალზეა! **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდს ფრეც ჰყოფნიდა, თუმცა ალბანეთში მისმა შეგირდებმა სულაც მოიგეს. ბედის ირონიით, სტუმართა პირველი გოლის შემოქმედნი ეთნიკური ალბანელები იყვნენ - **გრანიტ ჯაკას** პასით **ჯერდან შაჩირიმ** გაიტანა. მეორე ადგილისთვის კი ისლანდია და სლოვენია იბრძოლებენ, ბოლო ტურში ორივე გუნდი სტუმრად თამაშობს. ამ ჯგუფში სლოვენიელი **მილივოიე ნოვაკოვიჩის** ჰეთთრიკს გამოვყოფთ ნორვეგიელთა კარში.

**ალბანეთი-შვეიცარია 1:2**

**გოლები:** 0:1 შაჩირი (48), 0:2 ლანგი (79), 1:2 სალიჰი (89-პენ)

**ალბანეთი (4-3-3):** ბერიშა - ლილა, კანა, მავრაი, აგოლი - ბულკუ, კაცე, გაში (55. როში) - აბრაში (64. ჰიკა), სალიჰი, რამა (85. მეჰმეტი)

**შვეიცარია (4-2-3-1):** ბენალიო - ლანგი, სხარი, ფონ ბერგერი, როდრიგესი - ბერამი, ინლერი - შაჩირი (54. მეჰმედი), ჯაკა, შტოკერი (68. ფერნანდესი) - სეფეროვიჩი (90. ძემალი)

**მაყურებელი:** 18 000

**სლოვენია-ნორვეგია 3:0**

**გოლები:** 1:0 ნოვაკოვიჩი (13), 2:0 ნოვაკოვიჩი (15), 3:0 ნოვაკოვიჩი (49)

**სლოვენია (4-1-4-1):** ჰანდანოვიჩი - ბრეშკო, ილიჩი, სესარი, სტრუნა - მერტელი - პეჩნიკი (70. ლიუბიანკიჩი), კამპლი (81. კრჰინი), კურტიჩი, კირმი - ნოვაკოვიჩი (92. ბეჟიაკი)

**ნორვეგია (4-2-3-1):** იარსტეინი - ელაბდელაუი, ბიორდალი, ჰანგელანდი, ჰიოგლი - იოჰანსენი, ეიკრემი (73. სტორფლორი) - სკიელბრედი, ბრაატენი (61. კამარა), ელიუნუსი - აბდელაუე (80. იონსენი)

**მაყურებელი:** 11 000

**ისლანდია-კვიპროსი 2:0**

**გოლები:** 1:0 სიგტორსონი (60), 2:0 გ. სიგურდსონი (76)

**ისლანდია (4-4-2):** ჰალდორსონი - საევარსონი, არნასონი, რ. სიგურდსონი, სკულასონი - ბიარნასონი, ა. გუნარსონი (78. დანიელსონი), გ. სიგურდსონი (82. გისლასონი), გუდმუნდსონი - გუდიონსენი (66. ფინბოგასონი), სიგტორსონი

**კვიპროსი (4-3-2-1):** გეორგალიდესი - ხარალამბუსი, მერტაკასი, მერკისი, ვასილიუ - ალონეფტისი, დემეტრიუ, ლაბანი - ხარალამბიდესი (68. ეფრემი), მიტიდისი (81. სოტირიუ) - ალექსანდრუ (84. პავლუ)

**მაყურებელი:** 9 767

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 9 | 6 | 3 | 0 | 16-6 | 21 |
| 2. ისლანდია | 9 | 5 | 1 | 3 | 16-14 | 16 |
| 3. სლოვენია | 9 | 5 | 0 | 4 | 14-10 | 15 |
| 4. ნორვეგია | 9 | 3 | 2 | 4 | 9-12 | 11 |
| 5. ალბანეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-11 | 10 |
| 6. კვიპროსი | 9 | 1 | 1 | 7 | 4-15 | 4 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **კვიპროსი-ალბანეთი, ნორვეგია-ისლანდია, შვეიცარია-სლოვენია**



## F ჯგუფი

რუსეთის ნაკრებმა შეინარჩუნა პოულ-პოზიცია ბოლო ტურის წინ და ამაში გასაკვირიც არაფერია - მეტოქე ხომ უსუსური ლუქსემბურგი იყო, რომელსაც **ფაბიო კაპელოს** ბიჭებმა 4:0 მოუგეს. აქ ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება, თუმცა ფაქტია, სლავებს მუნდიალის საგზურის პირდაპირ მოპოვების უკეთესი შანსები აქვთ, ვიდრე პორტუგალიელებს, რომელთაც შინ ვერ მოუგეს ისრაელის ნაკრებს და ახლა მხოლოდ სასწაული აცილებთ პლეი ოფს.

### აზერბაიჯანი-ჩრდ. ირლანდია 2:0

**გოლები:** 1:0 დადაშოვი (58), 2:0 შუკუროვი (95)

**აზერბაიჯანი (4-2-3-1):** აგაევი - შუკუროვი, რამალდანოვი, სადიგოვი, ალაჰვერდიევი - ქარაევი, ამირგულიევი - აბდულაევი (82. იოზკარა), ალიევი, ნადიროვი (46. ჰუსეინოვი) - დადაშოვი (93. გუსეინოვი)

**ჩრდ. ირლანდია (4-1-3-2):** კეროლი - ქეზქარტი, ნორვუდი, ევანსი, მაკოული - ბრანტი (74. მაკკეი) - ჰოდსონი (66. მაკგინი), დევისი, ფერგიუსონი - პატერსონი, უორდი (84. გრიგი)

**გაძევება:** ევანსი (94)

**მაყურებელი:** 7 000

### ლუქსემბურგი-რუსეთი 0:4

**გოლები:** 0:1 სამედოვი (9), 0:2 ფაიზულინი (39), 0:3 გლუშაკოვი (45), 0:4 კერჟაკოვი (73)

**ლუქსემბურგი (4-4-2):** იუბერტი - ლატერზა, ფილიპსი, იანსი, იანიში - და მოტა (62. ბასტოსი), ჟერსონი, მუტში, ბენსი - ლუისი (76. მარტინო), ტურპელი (31. პაიალი)

**რუსეთი (4-3-2-1):** აკინფეევი - კოზლოვი, ვ. ბერეზუცკი, გრანატი (46. ჟირკოვი (65. ბისტროვი)), კომბაროვი (85. კომბაროვი) - შიროკოვი, გლუშაკოვი, ფაიზულინი - სამედოვი, კოკორინი - კერჟაკოვი

**მაყურებელი:** 5 354

### პორტუგალია-ისრაელი 1:1

**გოლები:** 1:0 რ. კოშტა (27), 1:1 ბენ ბასატი (85)

**პორტუგალია (4-3-3):** პატრისიო - ა. ალმეიდა, პეპე, რ. კოშტა, ანტუნეში - რუბენ მიკაელი (65. ჟოსუე), ველოზო (87. ედერი), მოუტინიო - ნანი, უ. ალმეიდა (70. ნ. ოლივეირა), რონალდო

**ისრაელი (4-1-3-2):** ავატე - მეშუმარი, ბენ ჰაიმი, ტიბი, იენი - ბენ ჰარუში - რადი (67. რაფაელოვი), ნატხო, ზაჰავი (84. დამარი) - ბარდა (60. დავიდაზდე), ბენ ბასატი

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 19-4 | 21 |
| 2. პორტუგალია | 9 | 5 | 3 | 1 | 17-9 | 18 |
| 3. ისრაელი | 9 | 3 | 4 | 2 | 18-13 | 13 |
| 4. აზერბაიჯანი | 9 | 1 | 5 | 3 | 6-10 | 8 |
| 5. ჩრდ. ირლანდია | 9 | 1 | 3 | 5 | 8-16 | 6 |
| 6. ლუქსემბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 7-23 | 6 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **აზერბაიჯანი-რუსეთი, ისრაელი-ჩრდ. ირლანდია, პორტუგალია-ლუქსემბურგი**

## G ჯგუფი

ბალტიურ დერბის სულ 2 ათასი მაყურებელი დაესწრო, რაც ცოტა არ იყოს, საკვირველია. ბოსნიამ კი ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა ჯუჯა ლიხტენშტაინთან, ხოლო ევროპაში მუნდიალის შესარჩევი ციკლის ბომბარდირმა **ედინ ჯეკომ** კიდევ ორი გოლი შემატა აქტივს. მუნდიალის საგზურს ან ბოსნია მოიპოვებს, ანა ც საბერძნეთი.

### ლიტვა-ლატვია 2:0

**გოლები:** 1:0 ჩერნიხი (7), 2:0 მიკოლიუნასი (68)

**ლიტვა (4-4-2):** არლაუსკისი - ვაიტკუნასი, ზალიუკასი, კიანსკასი, ბოროვსკი - კალონასი, ივაშკევიჩიუსი, მიკოლიუნასი (58. რაზულისი), ჩერნიხი (72. ვალსკისი) - პანკა, მატულევიჩიუსი (58. სირგედასი)

**ლატვია (4-4-2):** ვანინგსი - ბულვიტისი, გორკსი, მაკსიმენკო, გაბოვსი (73. კოვალიოვსი) - რაკელსი (66. ლუკიანოვსი), ზიუზინსი, ლაიზანსი, ფერტოვსი - საბალა, ვერპაკოვსკისი (77. ვიშნიაკოვსი)

**მაყურებელი:** 2 000

### ბოსნია-ლიხტენშტაინი 4:1

**გოლები:** 1:0 ჯეკო (27), 2:0 მისიმოვიჩი (34), 3:0 იბიშევიჩი (38), 4:0 ჯეკო (39), 4:1 ნ. ჰასლერი (61)

**ბოსნია (4-4-2):** ბეგოვიჩი - ვრსაევიჩი, ბიკაჩიჩი, სპაჰიჩი, ლულიჩი (62. კვრჟიჩი) - მისიმოვიჩი, პიანიჩი (62. ჰაიროვიჩი), მედუნიანინი (62. იბრიჩიჩი), სალიჰოვიჩი - იბიშევიჩი, ჯეკო

**ლიხტენშტაინი (4-2-3-1):** იეჰლე - ა. კრისტენი, კინტანსი (57. ერნე), შტოკლასა, ოირი - პოლვერინო, კაუფმანი - დ. ჰასლერი (80. ერისი), მ. კრისტენი (64. ილდიზი), გუბშერი - ნ. ჰასლერი.

**მაყურებელი:** 10 000

### საბერძნეთი-სლოვაკეთი 1:0

**გოლი:** 1:0 შკრტელი (44 ს.კ.)

**საბერძნეთი (4-2-3-1):** კარნეზისი - ტოროსიდისი, მანოლასი, პაპასტატოპულოსი, ოლებასი - მანიატისი, ციოლისი - სალპინგიდისი (76. კარაგუნისი), სამარასი, ხრისტოდოლოპულოსი (57. ნინისი) - მიტროგლუ (89. ფეტფაციძისი)

**სლოვაკეთი (4-2-3-1):** მუხა - პეკარიკი, შკრტელი, დურიცა, ჰუბოჩანი - კუჩკა, პეკოვსკი (63. გუედი) - შესტაკი (63. იაკუბკო), სტოხი, ვეისი - ნემეცი (77. დურისი)

**მაყურებელი:** 21 067

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 9 | 7 | 1 | 1 | 29-6 | 22 |
| 2. საბერძნეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 10-4 | 22 |
| 3. სლოვაკეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-8 | 12 |
| 4. ლიტვა | 9 | 3 | 2 | 4 | 9-10 | 11 |
| 5. ლატვია | 9 | 2 | 1 | 6 | 8-18 | 7 |
| 6. ლიხტენშტაინი | 9 | 0 | 2 | 7 | 4-23 | 2 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **საბერძნეთი-ლიხტენშტაინი, ლიტვა-ბოსნია, ლატვია-სლოვაკეთი**

## H ჯგუფი

ევროპაში ყველაზე მეტი მაყურებელი „უემბლიზე" შეიკრიბა - 80 ათასზე მეტ ფანს არც უნანია - ინგლისის ნაკრებმა 4:1 დაამარცხა ჩერნოგორია. ახლა ფეხბურთის სამშობლოს შვილებს მხოლოდ უკრაინის ნაკრები დარჩათ კონკურენტად, რომელსაც იოლი გასეირნება ელის სან მარინოში. თუმცა ყველაფერი **როი ჰოჯსონის** გუნდის ხელშია.

### მოლდოვა-სან მარინო 3:0

**გოლები:** 1:0 ფრუნზა (55), 2:0 სიდორენკო (59), 3:0 სიდორენკო (89)

**მოლდოვა (4-1-4-1):** ჩებანუ - ბორდიანი, გოლოვატენკო, იონიცა, არმაში - გაცანი (86. კოჟოკარი) - სიდორენკო, ანდრონიჩი (68. სუვოროვი), დოროში (46. ანტონიუკი), დედოვი - ფრუნზა.

**სან მარინო (4-1-4-1):** ა. სიმონჩინი - ვიტაიოლი, დ. სიმონჩინი, დელა ვალე, პალაცი - ბერეტი (64. ბატისტინი) - ვალენტინი (80. ლ. გასპერონი), ჩერველინი, ა. გასპერონი, ჩიბელი - რინალდი (82. ბიანკი)

**მაყურებელი:** 5 000

### უკრაინა-პოლონეთი 1:0

**გოლი:** 1:0 იარმოლენკო (64)

**უკრაინა (4-3-2-1):** პიატოვი - ფედეცკი, ხაჩერიდი, რაკიცკი, შევჩუკი - როტანი, ედმარი (92. ბეზუსი), სტეპანენკო - იარმოლენკო (90. გუსევი), კონოპლიანკა - ზოზულია (61. დევიჩი)

**პოლონეთი (4-2-3-1):** ბორუცი - იედრჟეიჩიკი, სუკალა, გლიკი, ვოიტკოვიაკი - კრიჟოვიაკი, მ. ლევანდოვსკი - ბლაშჩიკოვსკი, კლიხი (66. მიერჟიევსკი), სობოტა (61. პეშკო) - რ. ლევანდოვსკი (76. ზიელინსკი)

**მაყურებელი:** 39 126

### ინგლისი-ჩერნოგორია 4:1

**გოლები:** 1:0 რუნი (48), 2:0 ბოშკოვიჩი (62. ს.კ.), 2:1 დამიანოვიჩი (71), 3:1 ტაუნსენდი (78), 4:1 სტარიჯი (93-პენ)

**ინგლისი (4-2-3-1):** ჰარტი - უოლკერი, კეჰილი, იაგიელკა, ბეინესი - ჯერარდი (87. მილნერი), ლამპარდი (65. კერიკი) - ტაუნსენდი (80. უილშირი), რუნი, უელბეკი - სტარიჯი

**ჩერნოგორია (4-4-1-1):** პოლეკშიჩი - პავიჩევიჩი (57. ბეჩირაი), იოვანოვიჩი, სავიჩი, ვოლკოვი (72. ვუკჩევიჩი) - კეჩოევიჩი, ბოშკოვიჩი, დრინჩიჩი, ზვეროტიჩი - იოვეტიჩი (81. კასალიცა) - დამიანოვიჩი

**მაყურებელი:** 83 807

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 9 | 5 | 4 | 0 | 29-4 | 19 |
| 2. უკრაინა | 9 | 5 | 3 | 1 | 20-4 | 18 |
| 3. ჩერნოგორია | 9 | 4 | 3 | 2 | 16-12 | 15 |
| 4. პოლონეთი | 9 | 3 | 4 | 2 | 18-10 | 13 |
| 5. მოლდოვა | 9 | 2 | 2 | 5 | 7-15 | 8 |
| 6. სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 1-46 | 0 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **სან მარინო-უკრაინა, ჩერნოგორია-მოლდოვა, ინგლისი-პოლონეთი**

## I ჯგუფი

ესპანეთის ნაკრები საქართველოს ნაკრებს ალბასეტეში მოგებული დაუხვდება - ახლა **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდს მხოლოდ ქულა აშორებს მუნდიალის საგზურთან. სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონმა არცთუ დამაჯერებლად ითამაშა ბელარუსთან და მხოლოდ 2:1 მოიგო. ბელარუსთა მარცხმა კი ერთი რამ გაარკვია - **თემურ ქეცბაიას** გუნდი ბოლო ადგილზე არ დაასრულებს შესარჩევ ციკლს.

### ესპანეთი-ბელარუსი 2:1

**გოლები:** 1:0 ჩავი (61), 2:0 ნეგრედო (78), 2:1 კორნილენკო (89)

**ესპანეთი (4-3-3):** ვალდესი - არბელოა, ს. რამოსი, პიკე, მონრეალი (46. ინიესტა) - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (84. ი. მარტინესი) - პედრო, მიჩუ (57. ნეგრედო), სილვა

**ბელარუსი (3-4-2-1):** გუტორი - ვერხოვცოვი, ფილიპენკო, მარტინოვიჩი (80. კისლიაკი) - ბალანოვიჩი, ტიგორევი, დრაჰუნი, ბორდაჩევი - კალაჩევი, პუტილო (76. კორნილენკო) - როდიონოვი (55. კრივეცი)

**მაყურებელი:** 21 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 12-3 | 17 |
| 2. საფრანგეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-6 | 14 |
| 3. ფინეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-6 | 9 |
| 4. საქართველო | 7 | 1 | 2 | 4 | 3-8 | 5 |
| 5. ბელარუსი | 8 | 1 | 1 | 6 | 7-16 | 4 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **საფრანგეთი-ფინეთი, ესპანეთი-საქართველო**

**ტატო ბაციკაძე**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

● ბრაზილია. სერია A XXVII ტური



კლარენს ზეედორფმა (მარჯვნივ) მორიგი ლამაზი გოლი გაიტანა

# აუტსაიდერების ტური

**ბრაზილიის ჩემპიონატის 27-ე ტურში ორივე ლიდერმა წააგო, სამაგიეროდ, ბოლო ხუთ ადგილზე მყოფი გუნდებიდან ოთხმა სამი ქულა აიღო და ამის გამო, ცხრილის ქვედა ნაწილში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა...**

მოულოდნელად, საკუთარ მოედანზე დამარცხდა ლიდერი „კრუზეირო", რომელსაც ბოლო 12 შეხვედრაში 11 მოგება და 1 ფრე ჰქონდა. „მელიების" წაქცევა **მურისი რამალიოს** „სან პაულომ" შეძლო, რაც გასაკვირი კი არის, მაგრამ ისტორიულად „სან პაულო" „კრუზეიროსთან" კოლოსალურ უპირატესობას ფლობს. თავად განსაჯეთ - ბრაზილიის ჩემპიონატში გამართული ბოლო 19 მატჩიდან „სამფეროვნებმა" 12 მოიგეს, 6 ფრედ დაასრულეს და მხოლოდ 1 წააგეს! გარდა ამისა, ბელუ ორიზონტიში „კრუზეიროს" მეტოქე 2004 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია (3 ფრე და 6 წაგება).

ლეგენდარული სპეციალისტის დაბრუნება ბრაზილიის 6-გზის ჩემპიონს (აქედან, 3 ტიტული გუნდს სწორედ რამალიომ მოუტანა) აშკარად წაადგა - „სან პაულომ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და კვლავ გასავარდნი ზონის მიღმა დარჩა, თუმცა კონკურენტების ჩამოტოვება ვერ მოახერხა, რადგან 3 ქულა ყველა მათგანმა აიღო.

„ვასკო და გამამ" რიო დე ჟანეიროს დერბიში „ფლუმინენსეს" 1:0 მოუგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი 36 წლის **კრისმა გაიტანა**. „ლიონის" ყოფილმა მცველმა ბრაზილიაში დაბრუნების შემდეგ თავი პირველად გამოიჩინა.

„კრუზეიროს" მსგავსად, წააგო მეორე ადგილზე მყოფმა „გრემიომაც", რომელსაც მე-18 ადგილზე მყოფმა „კრისიუმამ" სტუმრად სძლია, მე-19 ადგილზე მყოფმა „პონტე პრეტამ" კი ლიბერტადორესის თასის მფლობელ „ატლეტიკო მინეიროს" აჯობა.

5-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა „ბოტაფოგომ", რომელმაც სტუმრად ბოლოადგილოსან „ნაუტიკოს" 3:1 მოუგო. ტურის ლოგიკიდან გამომდინარე, წესით, ეს მატჩი „ნაუტიკოს" გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო და თავიდან სწორედ აუტსაიდერი დაწინაურდა, თუმცა **რაფაელ მარკეშმა** და **კლარენს ზეედორფმა** „ფოგო" პირველივე ტაიმში წინ გაიყვანეს, შეხვედრას კი წერტილი 19 წლის **ჟეჟემ** დაუსვა, ვინც პროფესიულ კარიერაში პირველი გოლი გაიტანა.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 11 ტურია დარჩენილი და თუ ჩემპიონისვინაობა პრაქტიკულად ცნობილია, ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის სერიოზული ბრძოლაა მოსალოდნელი. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მე-6 ადგილზე მყოფი „ვიტორია" მე-4 ადგილზე მყოფ „ატლეტიკო პარანაენსეს" უფრო მეტი ქულით ჩამორჩება, ვიდრე გასავარდნ ზონაში, მე-17 პოზიციაზე განლაგებულ „ვასკოს" უსწრებს...

**ტატო ბაციკაძე**

### გრემიო-კრისიუმა 1:2

**გოლები:** 0:1 ველინგტონ პაულისტა (36), 1:1 მაქსიმილიანო როდრიგესი (57), 1:2 სერჟინიო (89)

### კორიტიბა-სანტოსი 1:0

**გოლი:** 1:0 ჟულიო სეზარი (63)

### ბაია-ვიტორია 2:0

**გოლები:** 1:0 რაფაელ მირანდა (17), 2:0 ფერნანდაო (26)

### პონტე პრეტა-ატლ. მინეირო 2:0

**გოლები:** 1:0 ვილიამი (26-პენ), 2:0 ელიასი (79)

**გაძევება:** ჟემერსონი (33. ატლეტიკო მინეირო), როსინეი (80. ატლეტიკო მინეირო)

### ვასკო-ფლუმინენსე 1:0

**გოლი:** 1:0 კრისი (11)

### ნაუტიკო-ბოტაფოგო 1:3

**გოლები:** 1:0 მაიკონ ლეიტე (9), 1:1 რაფაელ მარკეში (26), 1:2 ზეედორფი (40), 1:3 ჟეჟე (90)

### კრუზეირო-სან პაულო 0:2

**გოლები:** 0:1 დუგლასი (77), 0:2 რეინალდო (80)

### პორტუგეზა-გოიასი 1:2

**გოლები:** 0:1 უგო (37), 0:2 ვალტერი (52-პენ), 1:2 ევერტონი (83)

### ფლამენგო-ინტერნასიონ. 2:1

**გოლები:** 1:0 ლეო მოურა (29), 2:0 ერნანი (72), 2:1 რაფაელ მოურა (82)

### კორინთიანსი-ატლ. პარანაენსე 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 27 | 18 | 5 | 4 | 58-23 | 59 |
| 2. გრემიო | 27 | 14 | 6 | 7 | 33-23 | 48 |
| 3. ბოტაფოგო | 27 | 13 | 7 | 7 | 40-31 | 46 |
| 4. ატლ. პარანაენსე | 27 | 12 | 9 | 6 | 45-35 | 45 |
| 5. ატლ. მინეირო | 27 | 10 | 9 | 8 | 32-28 | 39 |
| 6. ვიტორია | 27 | 10 | 7 | 10 | 38-40 | 37 |
| 7. ფლამენგო | 27 | 9 | 10 | 8 | 33-32 | 37 |
| 8. ინტერნასიონ. | 27 | 9 | 10 | 8 | 39-39 | 37 |
| 9. გოიასი | 27 | 9 | 10 | 8 | 30-33 | 37 |
| 10. სანტოსი | 27 | 9 | 9 | 9 | 32-29 | 36 |
| 11. ბაია | 27 | 9 | 9 | 9 | 29-32 | 36 |
| 12. კორინთიანსი | 27 | 8 | 12 | 7 | 22-17 | 36 |
| 13. პორტუგეზა | 27 | 9 | 7 | 11 | 41-40 | 34 |
| 14. ფლუმინენსე | 27 | 9 | 7 | 11 | 31-34 | 34 |
| 15. კორიტიბა | 27 | 8 | 10 | 9 | 30-35 | 34 |
| 16. სან პაულო | 27 | 9 | 6 | 12 | 26-29 | 33 |
| 17. ვასკო | 27 | 8 | 8 | 11 | 36-42 | 32 |
| 18. კრისიუმა | 27 | 8 | 5 | 14 | 34-45 | 29 |
| 19. პონტე პრეტა | 27 | 7 | 5 | 15 | 28-40 | 26 |
| 20. ნაუტიკო | 27 | 4 | 5 | 18 | 18-48 | 17 |

**ბომბარდირები:** 15 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 14 - ვილიამი (პონტე პრეტა); 13 - ჟილბერტო (პორტუგეზა); 12 - ფერნანდაო (ბაია); 11 - ერნანი (ფლამენგო); 10 - ვალტერი (გოიასი), ალექსი (კორიტიბა), ანდრე (ვასკო და გამა)



ინტერვიუ. სერ ალექს ფერგიუსონი

# პაემანი... პირველად 30 წლის შემდეგ

**35-წლიანი ფანტასტიკური სამწვრთნელო კარიერის დასრულებისა და 38 ტიტულის მოგების შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონი პენსიაზე გავიდა და როგორც თავად აცხადებს, კიდევ უფრო მეტად დააფასა ყველაფერი, რაც აქამდე ისედაც გარს ეხვია, მაგრამ დროის უქონლობის გამო სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა. ლეგენდარულმა შოტლანდიელმა ჩარლი როუზს ინტერვიუ ტელეკომპანია PBS-ის ეთერში მისცა, სადაც, ცხადია, უამრავ საინტერესო თემას შეეხო. *„არასოდეს მაღელვებდნენ კლუბები, რომელთაც შეეძლოთ იმდენი ფული დაეხარჯათ, რამდენსაც მოისურვებდნენ. მე სულ სხვა მიზნები მქონდა, თამაშის კონკრეტული ხარისხი შემენარჩუნებინა, ვყოფილიყავი კონკურენტუნარიანი და ცხრილის ლიდერთა შორის დავრჩენილიყავი,“* - აცხადებს ის.**



**- სამწვრთნელო კარიერის დასრულების შემდეგ თითქმის 5 თვე გავიდა. შეგიძლიათ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“?**

- ისტორიას გარკვეულწილად ყოველთვის რომანტიკული ელფერი დაჰკრავს, „იუნაიტედი“ კი დიდი ისტორიის მქონე კლუბია. ამაში შედის როგორც 1958 წლის მიუნხენური ავიაკატასტროფა, რასაც 21 წლის ბიჭები შეეწირნენ და ისიც, რომ მეტ ბასბიმ 10 წლის შემდეგ ჩემპიონთა თასი მოიგო. ამ წარმატებამ კი კლუბის პოპულარობა განაპირობა.

**- ვინ იყო საუკეთესო ფეხბურთელი, ვისი თამაშიც გინახავთ?**

> **არასოდეს მაღელვებდნენ კლუბები, რომელთაც შეეძლოთ იმდენი ფული დაეხარჯათ, რამდენსაც მოისურვებდნენ**

- ბავშვობიდან პელეს ფანატი გახლავართ. ცხადია, მაშინ ჯერ კიდევ არავინ კამათობდა, ვინ უფრო მაგარი იყო, პელე თუ მარადონა. პირველი შთაბეჭდილებების შემდეგ ბრაზილიელის ერთგული დავრჩი. დღეს რაღაც ამის მსგავსი ხდება მესისა და რონალდოს თავს.

**- საუკეთესო ფეხბურთელი როგორი უნდა იყოს?**

- საუკეთესო აუცილებლად მამაცი უნდა იყოს. სათანადოდ მამაცი იმისთვის, რომ თამაში საკუთარ თავზე აიღოს, თანაგუნდელები აიყოლიოს და მეტოქის არ შეეშინდეს. ნებისმიერ სიტუაციაში უნდა ითამაშოს ისე, როგორც იცის და შეუძლია.

**- ეს თვისება გენეტიკურია?**

- შესაძლოა ასეც იყოს. ვარჯიშით ბევრი რამის დახვეწა შეიძლება, მაგრამ არასოდეს მინახავს, რომ ადამიანში გამბედაობა გამოწრთობილიყო. პიროვნებას ეს თვისება აქვს ან არა აქვს. დიდ და უდიდეს ფეხბურთელებში სწორედ ეს არის უმთავრესი სხვაობაც. კალათბურთთან გარკვეული პარალელის გავლებაც შეიძლება. ბოლო 15 წამში ხომ ყოველთვის გინდა, რომ ბურთი საუკეთესოს გადააწოდო.

**- თქვენზე დაიწერა, რომ „ფერგიუსონი შეიძლება მეორე სტივ ჯობსად დავასახელოთ, რადგან მას აქვს არაორდინარული ტალანტი, შეპყრობილია იდეებით და მზადაა, ყველანაირი სტერეოტიპი დაამსხვრიოს, რათა რაღაც განსაკუთრებული შექმნას“. როგორ ფიქრობთ, მოახერხეთ ამ „რაღაც განსაკუთრებულის“ შექმნა?**

- რთული და მრავალწახნაგოვანი შეკითხვაა. საქმე ის არის, რომ მე რაც შევქმენი, ის არა იმდენად ტალანტისა და იდეების დამსახურებაა, რამდენადაც კლუბის ხელმძღვანელების მოთმინების. დროდადრო გულშემატკივრები ჩემს გაშვებას ითხოვდნენ. თუმცა შინაგანი რწმენა ყველაზე რთულ დროშიც კი არ მტოვებდა, მჯეროდა, რომ სასურველ შედეგს მივიღებდით.

**- გასულ წელს „ჰერალდ ბიზნეს რევიევთან“ ერთად კვლევას აწარმოებდით. კონკრეტულად რაზე მუშაობდით?**

- გვაინტერესებდა, ფეხბურთელები უფრო მეტად პატივს მცემდნენ თუ ვეჯავრებოდი და სად იყო ოქროს შუალედი. ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ უმთავრესი პატივისცემა იყო. შეიძლება, ვინმეს ჩემი ეშინოდა კიდეც, თუმცა ყოველთვის ვიცოდი, რომ რამდენადაც არ უნდა გავბრაზებულიყავი, კონფლიქტი სწრაფად უნდა მომეგვარებინა და სამუდამოდ დამევიწყებინა. მხოლოდ ასე თუ შეიძლებოდა მშვიდი თანაცხოვრება.

**- და რა, ნაწყენი არავისზე დარჩენილხართ?**

- არასდროს გავბრაზებულვარ ვინმეზე ისე, რომ მერე ცუდად გამხსენებოდა. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანი თვისებაა. ფეხბურთელებს ესმოდათ, რომ საბოლოო ჯამში ყოველთვის მათ მხარეზე ვიქნებოდი. კვლევის დასრულების შემდეგ მასალა „ფერგიუსონის ფორმულების“ სახელით გამოქვეყნდა. ლაპარაკი იყო, მენეჯმენტში ლიდერის თვისებებზე. ამის გარეშე ხომ მილიონერებით სავსე გუნდის მართვა წარმოუდგენელია. მიუხედავად ნიჭისა, უზარმაზარი შესაძლებლობებისა და მიღწევებისა, ყოველთვის უნდა ეცადო, რომ უკეთესი ადამიანი გახდე. სწორედ ამის მიღწევა მინდოდა ფეხბურთელებთან მუშაობით. მიმაჩნდა, რომ ჩემგან ისინი უკეთესები უნდა წასულიყვნენ, ვიდრე მოსვლისას იყვნენ.

**- შეიძლება ითქვას, ფეხბურთელებს ცხოვრების გაკვეთილებს უტარებდით?**

- დიახ, თანაც ეს ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. მუდმივად ვცდილობდი, მათში ხასიათი გამომეწრთო, ყოველთვის მაქსიმუმს ვდებდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ არასოდეს მიღალატებდნენ. მათ იცოდნენ, როგორ გამკლავებოდნენ ემოციებს დამარცხების შემდეგ, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

**- განაცხადეთ, რომ მაღალი დონის ფეხბურთელებისგან კარგი მწვრთნელი იშვიათად გამოვა.**

- დიახ, ეს ფაქტია. ამ თემაზე ერთხელ ბობი ჩარლტონსაც ველაპარაკე. „პრესტონის“ დამრიგებლად მუშაობისას მას ყოველთვის უკვირდა, რატომ არ ესმოდათ ფეხბურთელებს მისი. ამის გამო პროფესიაზე გული აიცრუა და საკუთარი თავი დააჯერა, რომ მწვრთნელობა მისი საქმე არ იყო. ყველას, ვისაც ამ გზის გავლა უნდა, ვეუბნები, მოემზადეთ, რომ იყოთ მასწავლებლები. დიდი ფეხბურთელებისგან, რომლებიც შემდეგ კარგი მწვრთნელები დადგნენ, შეიძლება მხოლოდ ბეკენბაუერისა და კრუიფის გახსენება. სხვას ორივე ფრონტზე წარმატებულს ნამდვილად ვერავის ვიხსენებ.

**- „იუნაიტედში“ მუშაობის დროს სხვაგან წასვლის შანსი არ გქონიათ? შემოთავაზებები იყო და ამის მიუხედავად არ წახვედით, თუ უბრალოდ მოვლენები განვითარდა ასე და ერთ კლუბში ამდენი ხანი გაატარეთ?**

- მანჩესტერში გატარებულ წლებში 1-2 სერიოზული შემოთავაზება მივიღე სხვა კლუბებისგან. ასეთ დროს ყოველთვის ერთსა და იმავე შეკითხვას ვუსვამდი ჩემს თავს, რაში მჭირდება ახალი სამსახური და ახალი გამოწვევები. ტიტულის მოპოვება ძნელია, შენარჩუნება კიდევ უფრო რთული, აი, სტაბილურობა კი გამოწვევათაგან უმთავრესია. პირველი და მეცამეტე ჩემპიონობა ერთნაირად სასიხარულოა, თუმცა როცა ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ისტორიის გაგრძელება მსურდა თუ სხვაგან ყველაფრის ნულიდან დაწყება, ყოველთვის პირველს ვირჩევდი.

> **დიდი ფეხბურთელებისგან, რომლებიც შემდეგ კარგი მწვრთნელები დადგნენ, შეიძლება მხოლოდ ბეკენბაუერისა და კრუიფის გახსენება. სხვას ნამდვილად ვერავის ვიხსენებ**

**- სამწვრთნელო საქმიანობის პრინციპებს შორის ასახელებდით გუნდის გადახალისებას, მაშინაც კი, როცა ერთი წარმატებული სეზონი მეორეს მისდევდა.**

- ყველაზე საშინელი, თუმცა სასიცოცხლოდ აუცილებელი კომპონენტი მწვრთნელისთვის მოთამაშეებთან განშორებაა. იმაზე ცუდი არაფერია, როცა ფეხბურთელთან იმის სათქმელად მიდიხარ, რომ მას შენი გუნდის ძირითადში ველარ ხედავ და ჯობია, ახალი თავშესაფარი მოძებნოს. სწორედ ამის მერე თუ მოახერხებ გუნდის ხელახლა აშენებას. „იუნაიტედში“ მინიმუმ ხუთჯერ მომიხდა ახალი ფორმაციის კოლექტივის შექმნა. მთავარია, ყოველი ახალი რაც შეიძლება ხანგრძლივ პერსპექტივაზე იყოს გათვლილი.

**- კონტროლი და დისციპლინა...**

> **დევიდ ბექჰემს შეეძლო მეტისთვისაც მიეღწია, მაგრამ ერთ დღესაც დევიდი იმ გოგონას შეხვდა „სპაის გელზიდან“ და ცხოვრებისეული პრიორიტეტები შეეცვალა**

- ის ყოველთვის პირველ ადგილზე უნდა იდგეს. თუნდაც ყველაზე დიდი ვარსკვლავი როცა მწვრთნელზე მაღლა დგება, ეს უკვე აღარ არის გუნდი. „იუნაიტედში“ ბიჭებს ყოველთვის ესმოდათ, რომ უმთავრეს გადაწყვეტილებებს მე ვიღებდი, მაგრამ მეორე მხრივ, ნებისმიერ დროს მათი დასაყრდენი შეიძლებოდა ვყოფილიყავი.

**- ზუსტად ეს მოხდა ბექჰემის ცხოვრებაში.**

- დევიდი უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო. ახალგაზრდობა მასზე ჭკუას კარგავდა. ხალხს ის თავისი ღიმილით აჯადოებდა. შეეძლო მეტისთვისაც მიეღწია, მაგრამ ერთ დღესაც დევიდი იმ გოგონას შეხვდა „სპაის გელზიდან“ და ცხოვრებისეული პრიორიტეტები შეეცვალა. მან სუპერვარსკვლავის სტატუსი შეიფერა. ჩემთვის ეს გაუგებარი იყო, რადგან მე საფეხბურთო სამყაროს კაცი ვარ. ერთ დღესაც იძულებული გავხდი, ბექზისთვის მიმეთითებინა, რომ კონცენტრაციას კარგავდა. ის მუდმივად იმეორებდა, რომ შეყვარებული იყო. ამ შემთხვევაში კი არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო. ის ჩაითრია გლამურულმა ცხოვრებამ, წვეულებებმა, ვარცხნილობებმა, მოდამ, ავტობიოგრაფიულმა წიგნებმა. მადრიდში გადასვლის შემდეგ მის თამაშს თვალს დადევნებდი. საქმეები იქაც კარგად მისდიოდა, შემდეგ კი ამერიკაში წავიდა. დღემდე არ მჯერა, რომ ეს გააკეთა, რადგან ყოველთვის სუპერკლუბებში სურდა თამაში.



დევიდ ბექჰემთან ერთად

> **იმაზე ცუდი არაფერია, როცა ფეხბურთელთან იმის სათქმელად მიდიხარ, რომ მას შენი გუნდის ძირითადში ველარ ხედავ და ჯობია, ახალი თავშესაფარი მოძებნოს**

**- უკეთესი იქნებოდა, თუკი „იუნაიტედში“ დარჩებოდა?**

- უკეთესი ვისთვის? ჩემთვის? მერჩივნა ის უფრო დიდი ფეხბურთელი გამხდარიყო, ვიდრე იმ ქალის გვერდით მენახა, მაგრამ განა რამე შემეძლო ცხოვრების დინების წინააღმდეგ? მან თავისი გზა აირჩია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ძალიან ყოჩაღი აღმოჩნდა.

**- თქვენი პირველი ავტობიოგრაფიული წიგნი 10 წლის წინ გამოვიდა. მას მერე ალბათ კიდევ ბევრი რამ მოხდა და შეიძლება მისი შევსება.**

- ვიფიქრებ ამ თემაზე. აშკარად ვგრძნობ, როგორ იცვლება ჩემი ცხოვრება. ცოტა რთული ასახსნელია, მაგრამ თითქოს ხელახლა შემიყვარდა ჩემი ცოლი. წარმოიდგინეთ, ამას წინათ კინოში წავედით ერთად, პირველად 30 წლის განმავლობაში ნამდვილი პაემანი გვქონდა. დაუვიწყარი საღამო მოვიწყვეთ, ყვავილებიც კი ვაჩუქე.

**- არის შანსი, რომ ფერგიუსონი ოდესმე ფეხბურთში დაბრუნდება?**

- მე უკვე მაქვს სამსახური, ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში, Unisef-ის ელჩი ვარ. ვფიქრობ, რომ თავისუფალ დროს ახლა ამ საქმეს მივუძღვნი. მინდა, რომ ის ვაკეთო, რისი შანსიც წლების განმავლობაში არ მქონია.

**ლევან ბიბილაშვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

## ხოსე კალეხონი
# ნეაპოლში სრული საფეხბურთო საგიჟეთია

„ნაპოლის“ ახალწვეულ **ხოსე კალეხონის** თქმით, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მადრიდის „რეალიდან“ „ნაპოლიში“ გადაბარგდა და ამაში დღითი დღე კიდევ უფრო რწმუნდება. 26 წლის ესპანელი „კორიერე დელო სპორტს“ თავისი მოსაზრებები გაუზიარა, რომელსაც ქვემოთ გაგაცნობთ...

### სერია A

დიდი ხანი არაა, რაც სერია A-ში ვთამაშობ, მაგრამ ამ ჩემპიონატზე გარკვეული წარმოდგენა უკვე შემექმნა. უპირველესად, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ იტალიაში თამაში გაცილებით რთულია, ვიდრე ესპანეთში. მაგალითად, „რეალს“ ლა ლიგაში ხშირად აქვს იოლი მატჩები, სადაც მეტოქის ერთი ხელის მოსმით დამარცხება შეგიძლია. არის თამაშები, რომელიც უფრო ვარჯიშს ჰგავს და ნამატჩევს დაღლილობას ნაკლებად გრძნობ. მესმის, რომ „რეალი“ მსოფლიო ფეხბურთის გრანდია, მაგრამ თუნდაც იტალიაში, ყველაფერი გაცილებით რთულია. თითოეულ შეხვედრაში მაქსიმალურად თუ არ დაიხარჯე, აუცილებლად წააგებ და ასეა ნებისმიერი გუნდი, თუნდაც „იუვენტუსი“.

არის სხვადასხვა პრობლემები, მაგალითად უხარისხო მინდვრის საფარი, მაგრამ მთლიანობაში, იტალიაში თამაში ძალიან სასიამოვნო და საინტერესოა. იმედი მაქვს, „ნაპოლიში“ და შესაბამისად, სერია A-ში კიდევ დიდხანს ვიასპარეზებ.

### ნაპოლი

ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ არჩევანი „ნაპოლიზე“ შევაჩერე და სწორედ ამ გუნდში გადმოვბარგდი. უნდა ვაღიარო, რომ თავიდან ინგლისისკენ მიმიწევდა გული, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორმა აზრი შემაცვლევინა. უპირველესად იმან, რომ ნეაპოლელებმა „რეალის“ ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელთან დაიწყეს მოლაპარაკება და ვიცოდი, რომ დიდი ალბათობით, **გონსალო იგუაინი** და **რაულ ალბიოლი** იტალიაში წამოვიდოდნენ. ამასთან, გუნდს ესპანელი მწვრთნელი, **რაფაელ ბენიტესი** ჰყავს. მოკლედ, ამ ყველაფერმა გადაწონა და ბედნიერი ვარ, რომ დღეს „ნაპოლის“ ღირსებას ვიცავ.

გუნდში საოცრად კარგი ატმოსფეროა და ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, საით მივდივართ და რა გვინდა. მართალია, ნეაპოლში ცხოვრება ცოტა რთულია, რადგან გულშემატკივრები ქალაქში მშვიდად სეირნობის საშუალებას არ მაძლევენ, მაგრამ მთლიანობაში, მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ.

### საკუთარ თავზე...

ვერ ვიტყვი, რომ საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ვარ, რადგან შვიდ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა და ოთხი გოლი გავიტანე. სეზონის წინ, რაფაელ ბენიტესმა მითხრა, რომ შესანიშნავი იქნებოდა თუ ჩემპიონატში 12 გოლს გავიტანდი. ჯერჯერობით, გეგმას გადაჭარბებით ვასრულებ და იმედია, ასეც გაგრძელდება. ამასთან, რაფამ ზუსტად ის პოზიცია შემირჩია, სადაც თამაში ყველაზე მეტად მსიამოვნებს. ფლანგზე თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში, თუნცა გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა პოზიციაზეც სიამოვნებით გავირჯები. მთავარია, აწყობილ მექანიზმში, ერთ მუშტად შეკრულ გუნდში ჩემი ადგილი მეკავოს და ჯერჯერობით, ეს ასეც ხდება.



ხოსე კალეხონი ნეაპოლში ბედნიერია

### სან პაოლო

„სტადიო სან პაოლოზე“ ბევრი მსმენოდა, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ატმოსფერო სხვა არც ერთ სტადიონზე არ არის, თვით „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ კი. დიახ, ნეაპოლში სრული საგიჟეთია და ამად არის, რომ საკუთარ არენაზე პრაქტიკულად არ ვმარცხდებით. თუ სხვა ქალაქებში ულტრასები მხოლოდ კარის უკან სხედნან, „სან პაოლოზე“ მთელი სტადიონი ულტრასებით არის სავსე. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი გულშემატკივრებისთვის მიწევს თამაში - სეზონი გრძელია, წინ კიდევ უამრავი მატჩია და მსურს, ჩვენმა ტიფოზებმა მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ.

**ლაშა წიკლაური**

სიახლე

# უეფა ერთა ლიგის შექმნაზე ფიქრობს

ინგლისური „გარდიანის“ ცნობით, უეფა ახალი ტურნირის პროექტს განიხილავს, რომელმაც ამხანაგური მატჩები უნდა შეცვალოს. ამ ნაბიჯით, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო სანაკრებო მატჩების მიმართ გულშემატკივართა ინტერესს გაზრდის და ყველა საერთაშორისო შეხვედრას სატურნირო დატვირთვას მისცემს.

ეს იდეა ნორვეგიულმა გაზეთმა Daqbladet-მა წამოაყენა. პროექტის მიხედვით, უეფას წევრი 54 ქვეყანა 9 დივიზიონში გადანაწილდება, სადაც აღზევების და დაქვეითების სისტემა იმოქმედებს. პირველი დივიზიონის გამარჯვებული ევროპის ერთა ლიგის ჩემპიონი გახდება და საკმაოდ მსუყე თანხასაც მიიღებს, ბოლო ადგილზე გასული კი მეორე დივიზიონში დაქვეითდება. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ერთა ლიგის პირველი გათამაშება 2018 წელს უნდა დაიწყოს.

უეფამ ამ იდეის შესახებ, ერთი თვის წინ, ხორვატიაში გამართული აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე იმსჯელა. ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ინგვე ჰალენმა**, რომელიც კომიტეტის წევრიც არის, „გარდიანს“ შემდეგი რამ უთხრა: *„ამ მოდელზე მართლაც ვიმსჯელეთ, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ამ ტურნირს შესარჩევი ეტაპი არ ექნება - მასში მონაწილეობის უფლება უეფას წევრ ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, ფორმატი საკმაოდ მარტივი და ყველასთვის გასაგები უნდა იყოს“.*

შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **კარლ-ერიკ ნილსონმა** ამ იდეას მხარი დაუჭირა: *„ამხანაგური მატჩები დიდ ინტერესს არ იწვევს. ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება 2020 წლისთვის ამ ტურნირის და შესარჩევი ეტაპის მატჩების შეთავსება. ზოგადად, ეს არ არის ცუდი იდეა, მაგრამ საკვალიფიკაციო მატჩები პრიორიტეტულია და ამ თუ რომელიმე სხვა ფორმატის ტურნირით, მუნდიალის თუ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს საფრთხე ნამდვილად არ დაემუქრება“.*

საინტერესოა, რომელ დივიზიონში და ვისთან ერთად მოხვდებოდა საქართველოს ნაკრები, ევროპის ერთა ლიგა დღეს რომ იწყებოდეს. თუ გუნდები დივიზიონებში რეიტინგის მიხედვით გადანაწილდებიან, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ:

**I დივიზიონი:** ესპანეთი, გერმანია, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, პორტუგალია

**II დივიზიონი:** რუსეთი, საბერძნეთი, ხორვატია, შვედეთი, საფრანგეთი, ბოსნია

**III დივიზიონი:** უკრაინა, დანია, შვეიცარია, ბელგია, უნგრეთი, ჩეხეთი

**IV დივიზიონი:** ირლანდია, სერბეთი, ნორვეგია, სლოვაკეთი, თურქეთი, ისრაელი

**V დივიზიონი:** სლოვენია, ავსტრია, რუმინეთი, ჩერნოგორია, პოლონეთი, ფინეთი

**VI დივიზიონი:** შოტლანდია, სომხეთი, ბულგარეთი, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსი

**VII დივიზიონი:** უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია, ალბანეთი, ისლანდია, ლიტვა, მაკედონია



**VIII დივიზიონი:** საქართველო, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, კვიპროსი, ყაზახეთი

**IX დივიზიონი:** ლიხტენშტაინი, ფარერები, მალტა, ანდორა, სან მარინო, გიბრალტარი

ისე, ამ გადანაწილებით, საკმაოდ კარგად და მკაფიოდ ჩანს, თუ რა მდგომარეობაშია დღესდღეობით საქართველოს ნაკრები და ზოგადად, ქართული ფეხბურთი...

არსებობს მოსაზრება, რომ ნაკრებები დივიზიონებში არა რეიტინგის მიხედვით, არამედ გეოგრაფიული პრინციპით უნდა გადანაწილდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო ძლიერი და უფრო სუსტი დივიზიონი არ იარსებებს, შესაბამისად, სატურნირო მოტივაციაც დიდი არ იქნება.

გარდა ამისა, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ამ იდეის განხორციელდება საკმაოდ რთული იქნება, რადგან მსგავსი ტურნირის შექმნის შემდეგ, წამყვან ევროპულ გუნდებს სამხრეთამერიკულ გრანდებთან ამხანაგურად გაჯიბრების შანსი აღარ ექნებათ, ასეთ თამაშებზე კი უარის თქმა, როგორც ევროპელებს, ასევე სამხრეთამერიკელებს ძალიან გაუჭირდებათ.

**ტატო ბაციკაძე**

ხელბურთი



# სტუ და ბათუმი დაწინაურდნენ

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა 2013 წლის ეროვნულ ჩემპიონატში რვა გუნდი მონაწილეობს, რომლებმაც სასპორტო კომპლექს არენაში მოიყარეს თავი. გუშინ აქ მე-2 ტურის 4 პაექრობა გაიმართა. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ქუთაისისა და თბილისის „პეგასის" მატჩი. დედაქალაქელებს ტრავმირებული მოთამაშე მწვრთნელი **ლევან გელაშვილი** აკლდათ, რიონისპირელებს კი ვეტერანი **ალექსანდრე ბოყოჩაძე** დაემატათ. თავიდან „პეგასი" დაწინაურდა - 21:16, მაგრამ შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა წონასწორობის აღდგენა შეძლეს. ყველაზე დრამატული ბოლო წუთი აღმოჩნდა: ჯერ თბილისელთა მეკარე **ზურაბ ცინცაძემ გიორგი კვერნაძის** (17 გოლი) შვიდმეტრიანი მოიგერია, „პეგასმა" კი ბოლო შეტევისას გოლის გატანის შანსი გაანიავა და მატჩიც ფრედ - 37:37 დამთავრდა.

**პეგასი-ქუთაისი 37:37**

**პეგასი:** ცინცაძე - ტ. კალანდაძე (9), დიხამინჯია (8), ლობჟანიძე (7), ქუთათელაძე (4), ბაძალუა (4), დემეტრაშვილი (3), კოხრეიძე (2), ა. ცხვარაშვილი, აბულაძე, სახვაძე (მწვრთნელი გელაშვილი).

**ქუთაისი:** გულეიშვილი, შიშინაშვილი - გ. კვერნაძე (17), ბოყოჩაძე (7), ჟვანია (5), ჯულელი (4), მათნაძე (3), მამასახლისი (1), ჩიხლაძე, კობახიძე, ი. კვერნაძე, ლომიძე, ახალაძე, ბახტურიძე, (თავხელიძე).

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი.

**თელავი-ბათუმი 24:33**

**თელავი:** ა. სამიტაშვილი, წვერიკმაზაშვილი - გ. სვიმონიშვილი (9), დიდებაშვილი (4), გიორგელაშვილი (4), ანდრიაშვილი (3), მლებრიშვილი (2), ნ. სვიმონიშვილი (2), ი. სამიტაშვილი, იაგორაშვილი, (ანდრიაშვილი).

**ბათუმი:** სამყურაშვილი - ჯორბენაძე (6), ნივნივაძე (6), ხუნჯუა (4), გამზარდია (3), ქარდავა (3), ი. ნარსია (3), ვინოგრადსკი (3), ჭელიძე (2), მაისურაძე (2), გოგიჩაიშვილი (1), ყაველაშვილი, ჭანტურია, ქავთარაძე, ნიტაიშვილი (ჭანტურია).

**მსაჯები:** ზურაბ ქოქოსაძე, გია ბროლაძე.

**სამტრედია-იმედი 34:24**

**სამტრედია:** ხონელიძე - თევზაძე (9), გ. ნიკურაძე (7), წითელიშვილი (6), ავალიანი (6), გაგლოშვილი (3), ელგანდაშვილი (1), ხვიჩია (1), ჯ. ნიკურაძე (1), ხაჟომია, ზურაბიანი (ხელისუფალი).

**იმედი:** მლებრიშვილი, ლორია - გ. იობაშვილი (8), ალანია (4), გიორგაძე (4), ბეჟანიშვილი (2), გ. ხანდოლიშვილი (2), მძელური (2), თაბაგარი (1), ჩიკვილაძე (1), რუსტამოვი, ნიკლაური, გოთოშია, ი. კალანდაძე, ჩაკვეტაძე, აბაშიძე (მარანგია).

**მსაჯები:** ზურაბ ქოქოსაძე, გია ბროლაძე.

**ჭაბუკთა ნაკრები-სტუ 18:21**

**ჭაბუკები:** ა. ხანდოლიშვილი, ზურაბიშვილი - კბილაშვილი (9), ბულბულაშვილი (4), ზ. იობაშვილი (2), არსენაშვილი (2), გაწერელია (1), ბაინაზაშვილი, ნაზღაიძე, მაისურაძე, გოგავა, ფერაძე, ბიბილეიშვილი, ჰუსეინოვი (აბესაძე).

**სტუ:** ტორონჯაძე, ცერცვაძე, ხიდეშელი - გრიშიკაშვილი (4), სიმონია (4), ამირანაშვილი (3), სტურუა (3), გოგალაძე (3), სურმავა (2), გოგოლაძე (1), არსენიშვილი (1), აბრამიშვილი, მსხვილიძე, ორჯონიკიძე (კეკელიძე).

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 2 | 0 | 0 | 74-55 | 4 |
| სტუ | 2 | 0 | 0 | 62-52 | 4 |
| ქუთაისი | 1 | 1 | 0 | 67-63 | 3 |
| სამტრედია | 1 | 0 | 1 | 68-65 | 2 |
| იმედი | 1 | 0 | 1 | 59-64 | 2 |
| პეგასი | 0 | 1 | 1 | 68-78 | 1 |
| ჭაბუკები | 0 | 0 | 2 | 48-56 | 0 |
| თელავი | 0 | 0 | 2 | 50-63 | 0 |

**დღეს მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართება:** პეგასი - ჭაბუკთა ნაკრები, ბათუმი - იმედი, სამტრედია - თელავი, სტუ - ქუთაისი.

**ვაჟა დანელია**

# ვაჟა-ფშაველა და სახელგანთქმული მოკრივე ჯონ სალივანი

შეხვედრა წარსულთან

ამ ზაფხულს, აგვისტოში სტამბოლში გახლდით და სწორედ მაშინ, როდესაც იქვე ჩამოსული ტურისტები ქალაქგარეთ, ელიტურ პლაჟებზე მზეს ეფიცხებოდნენ, მე ოსმალეთის სამხედრო არქივში ვიჯექი და კისრამდე ჩაფლული ვიყავი ათასგვარ ძველ, ფრიად ღვლარჭნილი არაბულ-ოსმალური ანბანით ნაწერ დოკუმენტებში. თავისუფალი დრო მხოლოდ საღამოობითღა მქონდა და რადგან სტამბოლური ღამის ცხოვრება არ მიტაცებდა, სასტუმროს ბოლო სართულზე — უშველებელ რესტორანში ვიჯექი ხოლმე და ოსმალეთის ყოფილ სატახტო ქალაქს ზემოდან გადავყურებდი.

ჰოდა, ქართველი კაცი რომ რესტორანში შევა და დაჯდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ან ძმაკაცები უნდა ახლდეს იქ, რათა ქუდი ჭერსა ჰკრან, ან მანდილოსანი, ცხოვრების არსზე სასაუბროდ — სხვანაირად ვერ იქნება იმიტომ, რომ ჩვენს მამაპაპას უთქვამს: მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. ჩემს შემთხვევაში ისე გამოვიდა, რომ იმ რესტორანში ძმაკაცებთან ერთად შევედი და მანდილოსანთან კი დავჯექი მაგიდაზე. ის მანდილოსანი პორტუგალიელი მომღერალი ანა მოურა იყო, რომლის სახელი ყველას სმენია, ვინც კი ფადუს თაყვანისმცემელია. ანაც ჩემს სასტუმროში ცხოვრობდა და ერთ მაგიდაზე კი კიდევ იმიტომაც აღმოვჩნდით, რომ მხოლოდ მე ვიცოდი მისი მშობლიური ენა. ისე, კარგი სანახავი ვიქნებოდით — შავგვრემანი, ეშხიანი მომღერალი ქალი და წვეროსანი ჟურნალისტი სტამბოლში, თაქსიმზე, მრავალსართულიანი სასტუმროს ბოლო სართულზე, რესტორანში.

ფადუ პორტუგალიური ხალხური სიმღერის ჟანრია — ჩვენში დარჩეს და, ძალზე ნაღვლიან-რომანტიკული. ანა მოურაც, რომელსაც იმ დღეს დაესრულებინა გასტროლები სტამბოლში, ასეთივე ხასიათისა გახლდათ: გამომიტყდა, რომ არ მოსწონდა თანამედროვე ევროპული მუსიკა და ფადუს ამჯობინებდა — მასში ჩემი ხალხის სული ირეკლებაო. მერე მითხრა: იყო დრო, როდესაც პორტუგალიელთა სახელი მთელ მსოფლიოში ქუხდაო და, იქვე მოაყოლა — თქვენს ხალხზე რაღას იტყვითო?

მე საკმაოდ მრავალმნიშვნელოვნად გავიღიმე და ვუპასუხე: სენიორა, ჩვენც ისეთი ერი ვართ, რომ თამამად შეგვიძლია, ჩვენი სახელიც მთელ მსოფლიოში დავაქუხოთ, მაგრამ სულ მტრებთან ბრძოლა და ჩვენი მეობის დაცვა გვიწევს და, მაგ მხრივ უფრო ვართ ცნობილნი-მეთქი. მერე კი ავდექი და ის ამბავი მოვუყევი, თუ როგორ გალახეს ვაჟა-ფშაველამ და მისმა ძმამ ბაჩანამ სანქტ-პეტერბურგში ჩასული ერთი საკმაოდ ცნობილი მოკრივე, რომელსაც თავის შერცხვენის ამბავი, ცხადია, არსად მოუყოლია. ჩვენც არაფერი გვეცოდინებოდა, ვაჟა-ფშაველას რომ ფელეტონი არ გამოექვეყნებინა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში.

ვაჟა და მისი ძმები — ბაჩანა და თედო რომ კარგი ვაჟკაცები ყოფილან, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია და ისიც ვიცით, რომ კრივი მეტად ჰყვარებიათ. აქ, რაღა თქმა უნდა, ქართულ კრივზეა საუბარი და არა ბრიტანულზე, რომელიც სწორედ ძმების ყმაწვილკაცობის დროს იყო პოპულარული ევროპა-ამერიკაში და, რახანღა სანქტ-პეტერბურგიც ევროპულობაზე დებდა თავს, მასაც ხშირ-ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე იმ დროის ცნობილი მოკრივენი — იმხანად ხომ სპორტული ფედერაციები და ასოციაციები ჯერ არ არსებობდა და, მოკრივეებიც თავიანთ იმპრესარიოებს დაჰყავდათ მთელ მსოფლიოში — ნახეთ, რა მაგარი ვინმეა, აბა თუ ვინმე გამოუჩნდება ტოლ-სწორიო. სწორედ ამგვარად ეწყობოდა მატჩებიც — ცირკის არენაზე, ან სხვაგან სადმე მსგავს ადგილას, სახელდახელოდ მოწყობილ რინგებზე. მოკრივეებს კი „ათლეტები" ერქვათ და 1882 წლამდე უხელთათმნოდ ერკინებოდნენ ერთმანეთს. იმ წელს კი, ლონდონის ერთ-ერთ რინგზე ერთ-ერთი „ათლეტი" უხელთათმნოდ კრივისგან ისე დამახინჯდა, რომ მისი მოწინააღმდეგის იმპრესარიოს სასამართლოშიც მოუწია საქმის გარჩევამ. ჰოდა, საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ დიდ ბრიტანეთში საყოველთაოდ დაადგინეს: ამიერიდან ვინც კი რინგზე ხელთათმანებით არ იკრივებს, სამუდამო დისკვალიფიკაციით დაისჯება და ამას ვინლა ჩივის — ავსტრალიაშიც გადავასახლებთ, როგორც მეამბოხესო. ამიტომ, იქაურმა მოკრივეებმა სასწრაფოდ მოირგეს ხელთათმანები.

საქართველო კი იმხანად რუსეთის უღელქვეშ იყო, ამიტომაც აქაურებს არ მოურგიათ ხელთათმანები — კრივი ჩვენში დასაბამიდანვე პრაქტიკული მიზნებით გამოიყენებოდა და არა სატინგიცოდ, როგორც ევროპაში. სწორედ ამის გამო, ჩვენში ყოველი კაცი, რომელსაც იარაღის ხელში ჭერა შეეძლო, კარგი მოკრივეც იყო, თუმცა კრივს ევროპელებივით პროფესიად არ იხდიდა — დღესასწაულებზე გაგიხარია, გვარიანად იქნევდა მუშტებს, სხვა დროს კი ოჯახს უძღვებოდა და ცხოვრობდა მამა-პაპასავით.

ვაჟა და მისი ძმებიც, რა თქმა უნდა, ასევე იყვნენ. გადმოცემით, ჩვენი მთის მგოსანი შიშველი მუშტით გოჯის სიმსხო ფიცარს ამტვრევდა, მისი შუათანა ძმა ბაჩანა კი კიდევ უფრო მაგარი მოკრივე ყოფილა: ყველიერის კვირაში საგანგებოდ ჩამოდიოდა თურმე თბილისში და აქაურ მოკრივეებს ცხვირ-პირს უერთიანებდა. ევროპაში რომ ეცხოვრა, ალბათ იმპრესარიოები კარსაც აუტალახებდნენ, მაგრამ ფშავს ვერ ელეოდა და იქამდე კი იმპრესარიოები რას მიაღწევდნენ, გზაც არ იყო წესიერი თბილისიდან ჩარგლამდე. მიუხედავად ამისა, ერთხელ ისე მოხდა, რომ ვაჟა და ბაჩანა ბედმა მაინც შეახვედრა ერთ სახელგანთქმულ მოკრივეს, თანაც სანქტ-პეტერბურგში.

1883-1884 წლებში, ვაჟა-ფშაველა რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში იყო და იქაურ უნივერსიტეტშიც, ხელმოკლეობის გამო „თავისუფალ მსმენელად" ირიცხებოდა. რადგანაც ასე იყო, საცხოვრებელიც და საკვებიც სტუდენტური ყაიდისა ექნებოდა და ათასში ერთხელ მოუწევდა სანქტ-პეტერბურგის განთქმულ სალონებში (იმ დროს ასე ეძახდნენ რესტორნებს, სადაც კეთილშობილი ხალხი იკრიბებოდა) პურობაც, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად. ჰოდა, იმ დღესაც, როცა ეს ამბავი მომხდარა, ერთ-ერთ სალონში მსხდარან ქართველები. ვაჟასთან ერთად კი მისი ძმა ბაჩანაც ყოფილა.



ბაჩანა (მარცხნიდან მეორე) და ვაჟა (მარჯვნიდან მეორე)

მოვლენები კი ერთი შეხედვით, ძალზე ბანალურად განვითარებულა: გვერდით მაგიდასთან მსხდარ ყოყოჩა უცხოელებს რაღაც არ მოსწონებიათ ჩვენებისა და უკმეხადაც მიუმართავთ. ვაჟა უკმეხად მიმართვას ვის შეარჩენდა და კაი გვარიანი ჩხუბიც ატეხილა — იმდენად მაგარი, რომ სულ მილეწილ-მოლეწილა იქაურობაც და იმ უცხოელთა ცხვირ-პირიც. მერე, როგორღაც მოგვარებულა ყველაფერი და ქართველებს თავიც დაუძვრენიათ ჟანდარმერიისგან. რუსული ჟანდარმერია კი, ჩვენებურებს ოდითგანვე ძალიან მტრობდა და მისგან თავის დაძვრენა ბაჩანასა და ვაჟას რა და რამდენი დაუჯდებოდათ, მკითხველმა წარმოიდგინოს.

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ მეორე დღეს, ბაჩანა რომ სამშობლოში გამობრუნდა, ვაჟასთან სასტუმროში ვიღაც ახმახი, დაკუნთული უცხოელი ჯეელი მოსულა და თავი ამგვარად წარუდგენია: მე ბატონო, ის კაცი გახლავართ, გუშინ ამა და ამ სალონში, თქვენს გვერდით მაგიდაზე რომ ვიჯექი და ჩემდა დიდად სამწუხაროდ, თქვენგან მოქნეულმა მუშტებმა დამაზარალაო. ეს უცნობი ბაჩანას ვინაობით ინტერესდებოდა და ითხოვდა, გამაცანითო.

ვაჟა-ფშაველამ ახედ-დახედა უცხოელ ახმახს და მიხვდა, რომ სულაც არ ჰგავდა შურის საძიებლად მოსულს — უფრო, ინტერესი ამოძრავებდა. თქვენ ვინ ბრძანდებითო, უკითხავს სიმკაცრეშეპარული თავაზიანობით და პასუხად მიუღია: ჩემპიონი ვარ კრივში, თანაც საკმაოდ ცნობილი და ჯერ ჩემი მომრევი, ემაგ კაცის გარდა, არავინ მინახავს და მეგონა, ვერც ვნახავდიო. გამოიყვანეთ, ერთი კაი პური უნდა ვჭამო მაგასთანო — ერთი სიტყვით, კი ეტყობოდა, რომ ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცობის ფასიც ესმოდა. ამიტომაც, ვაჟამ არ გაანბილა და მასთან ერთად პურიც გატეხა, ღვინოც დალია და ისიც უთხრა, ის თქვენი მომრევი ჩემი ღვიძლი ძმააო. ალბათ, სტუმარმა ისიც სთხოვა — ჩემი სირცხვილი არ გაამხილო, ისე კი ვწუხვარ, რომ ჩხუბის მიზეზი ჩვენ მოგეცითო. ვაჟამაც აღუთქვა — მაგაზე არ იდარდოო. ამიტომაც არ ახსენა მისი სახელი იმ თავის ფელეტონში, რომელიც მოგვიანებით გამოაქვეყნა.



ცნობილი მოკრივე ჯონ სალივანი

არქივები კი მოწმობენ, რომ სწორედ იმ დროს, სანქტ-პეტერბურგში ტურნეს ატარებდა ირლანდიური წარმოშობის ცნობილი ამერიკელი მძიმეწონოსანი მოკრივე — ჯონ ლოურენს სალივანი. სხვა რომელიმე მოკრივე იქ იმ დროს არავინ იყო, რადგანაც კრივი რუსეთის იმპერიაში იმდენად პოპულარული არ იყო და, რომ გამხდარიყო, სწორედ იმიტომაც იყო ჩასული ჯონ ლოურენს სალივანიც. ის კი მაშინ მართლაც იყო ამერიკის კონტინენტის ჩემპიონი და ევროპაში ძალის საცდელად ჩამოსულიყო, თავის იმპრესარიოსთან ერთად. მაშინ მისდარი კი არა, საერთოდ მოკრივეებიც კი იშვიათი სანახავი იყო ბრიტანეთს გარეთ. ამიტომაც, მინდა მჯეროდეს, რომ ვაჟამ და ბაჩანამ სწორედ ჯონ სალივანი გალახეს, თუმცა აშკარა დამამტკიცებელი საბუთი ამისა არ არსებობს — როგორც ვთქვი, ვაჟამ ნამუსი შეუნახა გალახულ უცხოელს. სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, ვაჟაც ხომ არ იქნებოდა?

მაგრამ, ჯონ სალივანი კი ერთადერთი ჩემპიონი იყო, რომელიც იმხანად — 1884 წელს სანქტ-პეტერბურგში იმყოფებოდა...

**მიხეილ ლაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის იქით და ლის აქეთ...



# თერჯოლა

ბ/რ ჭიდაობა

თერჯოლის სპორტული სკოლის (დირექტორი **რამინ რობაქიძე**) ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ადგილობრივ სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მოჭიდავეთა მრავალი თაობის და მათ შორის სახელგანთქმული ფალავნის **მირიან გიორგაძის** აღმზრდელი **შაქრო ბერძენიშვილის** სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში ჩაება ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და რაიონების 12 ნაკრების გუნდის 120 სპორტსმენი (მთავარი მსაჯი **დიმიტრი გურგენიძე**).

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს**

2000-2002 ø ɫ -

**20 კგ.** 1. გიორგი რაზმაძე (ქუთაისი); 2. ნიკა ბერიძე (ხარაგაული); 3. გიორგი ბოჭორიშვილი (ქუთაისი); 3. დაჩი კვინიკაძე (ხარაგაული). **23 კგ.** 1. სანდრო კუპრაშვილი ; 2. ლაშა მაჭარაშვილი; 3. საბა კუპრაშვილი; 3. ლუკა მაჭარაშვილი (ოთხივე — თერჯოლა). **26კგ.** 1. გიორგი თოხაძე (ოზურგეთი); 2. რეზო გიორგაძე (ოზურგეთი); 3. გიორგი ბრეგვაძე (თერჯოლა); 3. რომეო ბერიძე (ბათუმი). **29კგ.** 1.გიორგი წერეთელი (ჭიათურა); 2. ნიკა გვიანიძე (ქუთაისი); 3. ლუკა კოვზირიძე (თერჯოლა); 3. ნუკრი ბენიძე (ბათუმი). **32კგ.** 1. ლუკა ოჩიგავა (სენაკი); 2. ვალერი კობახიძე (ზესტაფონი); 3. ლაზარე კვარაცხელია; 3. ნიკა ტყებუჩავა (ორივე — სენაკი). **35კგ.** 1. გიორგი ჩხიკვაძე (სენაკი); 2. გიორგი კონჯარია (ხობი); 3. თამაზ ოთხმეზური (ოზურგეთი); 3. კობა კაკულია (სენაკი). **38კგ.** 1. კოტე სოფრომაძე (თერჯოლა); 2. დათო ცეცხლაძე (ბათუმი); 3. გივი ლოლაძე (ქუთაისი); 3. ედიშერ ჭალალიძე (ბათუმი). **+38კგ.** 1. შოთა გავაშელაშვილი (თერჯოლა); 2. ნიკა შამათავა; 3. ზაზა ტყემალაძე (ორივე — სენაკი); 3. ლაშა ბოლქვაძე (ბათუმი).

1998-1999 ø ɫ -

. **42კგ.** 1. გიორგი ჩხაიძე; 2. ვანო თოხაძე (ორივე — ოზურგეთი); 3. ლაშა გუბელაძე (წყალტუბო); 3. გია ირემაძე (ბათუმი). **47კგ.** თემურ გოგია (სენაკი); 2. ირაკლი აბულაძე (ბათუმი); 3. ნუკრი შეყილაძე (ჭიათურა); 3. გიორგი მეფიშვილი (სენაკი). **53კგ.** 1. გიგა ბუცხრიკიძე (თერჯოლა); 2. ჯონი ხეცურიანი (ხობი); 3. გიორგი ტუსკაძე (წყალტუბო); 3. გიორგი ნოზაძე (ჭიათურა). **59კგ.** 1. დათო ბაკურაძე (ოზურგეთი); 2. თორნიკე ჯანელიძე (ქუთაისი); 3. სოსო შურღაია (ხობი); 3. გოგა ცუცქირიძე (ჭიათურა). **66 კგ.** 1. ბადრი ჯანელიძე (ქუთაისი); 2. ნოდარ შავაძე (ბათუმი); 3. გიორგი კაპანაძე; 3. დავით სამხარაძე (ორივე — ჭიათურა). **73 კგ.** 1. ლევან გოგუა (ბათუმი); 2. გიორგი ობოლაძე (თერჯოლა); 3. დავით კელენჯერიძე (ქუთაისი); 3. გიორგი ურუშაძე (ოზურგეთი). **100კგ.** 1. ბექა მაკარიძე (თერჯოლა); 2. ლუკა ლორთქიფანიძე (ბათუმი); 3. ოთარ ლოლაძე (ქუთაისი); 3. ნიკა ლომიძე (ხაშური).

შაქრო ბერძენიშვილის სახელობის პრიზები გადაეცათ უმცროს ასაკში **შოთა გავაშელაშვილს** (თერჯოლა), უფროს ასაკში **ბადრი ჯანელიძეს** (ქუთაისი).

გუნდურ პირველ ადგილზე გავიდა თერჯოლის ნაკრები (მწვრთნელები: **კახა მაკარიძე** და **დიმიტრი გურგენიძე**); მეორე იყო ოზურგეთის ნაკრები (მწვრთნელები: **ზურაბ** და **ვალერი ზურაბიანები**); მესამე — სენაკის ნაკრები (მწვრთნელები: **ვალერი მურღულია** და **რამაზ კოკაია**).

**ტატო ჩარექიშვილი**

თერჯოლიდან

# ახმეტა

ძიუდო

ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი გუნდურ და სამგზის მეორე პრიზიორი პირად შეჯიბრებაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი ფარნაოზ ჩიკვილაძე 25 წლისა დაიღუპა ავტოკატასტროფაში მოსკოვში 1966 წელს. მშობლიური ახმეტა არ ივიწყებს ჩაბინაანელ რაინდს და ყოველი წლის ოქტომბერში ტარდება მისი სახელობის ტურნირი. წლევანდელ ასპარეზობაში 1997-1999 და 2000-2002 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ თბილისიდან, ახმეტიდან და თელავიდან.

**წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს**

1997-1999-ø **46კგ.** 1. სოსო ხალათაძე (ახმეტა), 2. ზაქრო იჩუაძე (თბილისი), 3.გიორგი ნიაზაშვილი (თბილისი), 3. ზურაბ ბაჩიაშვილი (ახმეტა); **50კგ.** 1. ხვიჩა მესაბლიშვილი, 2. უშანგი ქიტესაშვილი, 3. გუგა ტუგულაშვილი (სამივე — ახმეტა); **55კგ.** 1 ·ელგუჯა ორკოდაშვილი, 2. პაატა ებელაშვილი (ორივე — თელავი), 3. დათო ჩოკოლაშვილი, 3. რობი მღებრიშვილი (ორივე — ახმეტა); **60კგ.** 1. ნიკო ჭიკაიძე(ახმეტა), 2. გაგა მახნიაშვილი(თელავი), 3. გიორგი ნახუცრიშვილი, 3. ლევან ლომიაშვილი (ორივე — ახმეტა); **66კგ.** 1. ფირუზ ქეთიაშვილი (ახმეტა), 2. გიორგი დიდებაშვილი (თბილისი), 3.გიორგი ქიბრონაშვილი, 3. ბექა ფიცხელაური(ახმეტა); **73კგ.** 1. ვასილ ბალაბანაშვილი, 2. გოგა ქევხიშვილი (ორივე — თბილისი), 3. ფიკო ტუგულაშვილი (ახმეტა).

**2000-2002 წლიანები.**

**30კგ.** 1. თემურ აბრამიშვილი (თელავი), 2. ანრი რეხვიაშვილი (თბილისი), 3. გიორგი ქიტესაშვილი, 3. თორნიკე მაზიაშვილი (ორივე — ახმეტა); **34კგ.** 1.ედო აქიმიშვილი (თბილისი), 2.მაგამედ ქავთარაშვილი, 3. მახმუდ მაჩალიკაშვილი (ორივე — ახმეტა), 3. დავით ბახბახაშვილი (თელავი); **38კგ.** 1. დავით ნინიაშვილი (ახმეტა), 2. ვაჟა გუჯეჯიანი (თბილისი), 3. მიხეილ შათირიშვილი (ახმეტა), 3. გიორგი წამალაიძე (თბილისი); **42კგ.** 1. გიორგი ახალაური (ახმეტა), 2. დავით ჩუტკერაშვილი, 3 .გიორგი კაპანაძე, 3. კობა ბიჩნიგაური (სამივე — თბილისი); **46კგ.** გიორგი შერაზადიშვილი (თბილისი), 2. რობი ტერტერაშვილი, 3.საბა ლომიძე (ორივე — ახმეტა), 3. გიგა მოსიაშვილი (თელავი); **50კგ.** 1. მიხეილ ბახბახაშვილი (თელავი), 2. როლანდ ლობჟანიძე (თბილისი), 3. დავით სიმონიშვილი (ახმეტა), 3. ჯონი ბუცხრიკიძე (თბილისი); **+50კგ.** 1. დემნა გავაშელიშვილი, 2. ლუკა ღვინიაშვილი (ორივე — თბილისი).

**ლელა ხეჩოშვილი**

იუბილარი

# რობერტ მიქაძე 75 წლისაა



გასული საუკუნის 60-იანი წლების ცნობილ ტანმოვარჯიშეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების მედლის კავალერს, სპორტის ოსტატ **რობერტ მიქაძეს** ხვალ, 13 ოქტომბერს, დაბადების 75 წელი უსრულდება.

სკოლის ასაკში დაიწყო ტანვარჯიშში მეცადინეობა. 1956 წელს დაამთავრა თბილისის 25-ე ვაჟთა საშუალო სკოლა. დაოსტატებას აგრძელებდა ცნობილ მწვრთნელ კონსტანტინე (ძია კოსტა) გრომოვთან.

1955 წელს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში ჩარიცხეს. 1957 წელს საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ბჯენით ხტომასა და ტაიჭზე ვარჯიშში ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა და ქართველი ტანმოვარჯიშეების ყულაბას 2 ოქროს მედალი შემატა. შემდეგში იყო საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი და ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებული. ჩვენი ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო ტურნირში. წარმატებით ასპარეზობდა ჩინეთის, კუბის, ვიეტნამის, პოლონეთის და აშშ-ის ტანმოვარჯიშეებთან. სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს ნაკრები გუნდის შემადენლობაში ამ სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობებზე ცალკეულ იარაღებზე მრავალი გამარჯვება აქვს მოპოვებული. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სამ სპარტაკიადაში.

1970 წელს თბილისის საავიაციო ქარხნის სპორტული კომპლექსის დირექტორად დაინიშნა. პარალელურად ასრულებდა სპორტული კლუბის „განთიადის" თავმჯდომარის მოვალეობას. 1978 წელს სათავეში ჩაუდგა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების ტანვარჯიშულ სკოლას, სადაც აღიზარდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ნინა დრონოვა, საკავშირო ჩემპიონატებში გამარჯვებულები ელენე ბოგოლიუბოვა, ანაიდა ბაბასიანი, მარინე სებუა, ლევან სისაური, ნუგზარ ლვინიაშვილი, პავლე ლეონტიევი, პაატა ჩხიკვაძე, კონსტანტინე (კოტე) ლაშხი, აკაკი ცინცაძე და სხვები. ამ სკოლაში 100-ზე მეტი სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი ჰყავს მომზადებული.

2006-2008 წლებში რობერტ მიქაძე მუშაობდა თბილისის მერიის სპორტის სამსახურის სპორტის სახეობათა სპეციალიზებული ცენტრის „ავიამშენის" დირექტორის მოადგილედ. ხოლო 2008 წლიდან დღემდე არის შპს "სასკო"-ს სპორტკომპლექსის დირექტორი.

ასეთია ამ დაუღალავი და ღვაწლმოსილი ადამიანის შრომითი მოღვაწეობა, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული სპორტის განვითარების საქმეს, კერძოდ ტანვარჯიშს მიუძღვნა.

საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია, ყოფილი თანაგუნდელები, მწვრთნელები, მის სკოლაში დაფრთიანებული სხვადასხვა თაობის ტანმოვარჯიშეები რობერტ მიქაძეს, ამ უბერებელ ვაჟკაცს ულოცავენ დაბადების 75 წელს და უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

*საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია*

®

საჭადრაკო ეტიუდი

**დავით გურგენიძე, იური აკობია ეტიუდების შედგენის კონკურსი, რეზვოვი 85**

**2007 წელი**



**ყაიმი**

1.e7 ლe5+ 2.მფh4! g2 3.e8ლ! ლxe8 4.ლb6+ მფf3 5.ლf6+ მფe3 6.ლb6+ მფd3 7.ლb3+ მფe4

8.ლxb2 ლd8+ [8...g1ლ 9.ლg2+! მფf4 (9...ლxg2 პატი) 10.ლf1+ ლxf1 პატი] 9.მფh3 g1ლ 10.ლe5+ მფxe5 პატი.

სპორტული მედიცინა

# სემინარი

დღეს სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე მორიგი სემინარი იწყება თემაზე: „მაღალი მიღწევების სპორტის სტრატეგიული საკითხები". ესაა ადგილობრივი მნიშვნელობის სემინარი, რომელსაც ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია და „მაღალი მიღწევების სპორტის კავშირი" ატარებენ. სემინარი იქნება როგორც თეორიული, ასევე – პრაქტიკული ხასიათისა. თეორიულ ნაწილს თბილისში, სამედიცინოს ბაზაზე, პრაქტიკულ მეცადინეობებს კი გორში, ბორჯომსა და დუშეთში ჩაატარებენ, სადაც სპორტის სხვადასხვა სახეობების ნაკრებები გადიან შეკრებას. შეგახსენებთ, რომ გორში ახალგაზრდა ძიუდოისტები ვარჯიშობენ, ბორჯომში – სამბისტები, დუშეთში – ძალოსნები. სემინარი ძირითადად განკუთვნილია მწვრთნელებისთვის, რადგან ყურადღება გამახვილდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა წონის დაკლება, დოპინგის სიაში შეტანილი ახალი პრეპარატები, პირადი ჰიგიენის დაცვა და სხვა... ამჯერად ლექციებს მხოლოდ ადგილობრივი სპეციალისტები წაიკითხავენ, უცხოელები მოწვეულები არ არიან.

**ირაკლი თავაძე**

ვიქტორინა

1. საქართველოს ძიუდოისტები საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობენ...

ა — 1958 წლიდან
ბ — 1960 წლიდან
გ — 1962 წლიდან

2. ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატში რამდენი გოლი აქვს გატანილი რამაზ შენგელიას?

ა — არც ერთი
ბ — ერთი
გ — სამი

3. სპორტული ჟურნალი „შევარდენი" თბილისში გამოვიდა...

ა — 1908 წელს
ბ — 1911 წელს
გ — 1922 წელს

4. რომელ წელს და სად ჩატარდა ქალთა მსოფლიო პირველი საჭადრაკო ოლიმპიადა?

ა — 1957 წელს ემენში (გერმანია)
ბ — 1994 წელს რიგაში (ლატვია)
გ — 1996 წელს მანილაში (ფილიპინები)

5. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი „იბერიასა" და ფოთის „კოლხეთს" შორის იმსაჯა...

ა — კარლო ყრუაშვილმა
*ბ — მევლუდ მიმინოშვილმა
გ — ანატოლი მილჩენკომ

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-ბ.

კროსვორდი



**თარაზულად:** 1. საფეხბურთო მწვრთნელი დელ...; 3. ესპანეთის საფეხბ. კლუბი; 5. ძველი ბერძნების სახელი; 6. სპორტნაწარმის ცნობილი ბრენდი; 8. კასიუს...; 9. იტალიის საფეხბ. კლუბი; 11. სუფთა მოგება ძიუდოში; 13. ავტოსპორტის საერთაშ. ფედერაცია (შემოკლებით); 14. კრივის არენა; 15. მეკარე ... ბალაძე; 16. კობიაშვილის მეტსახელი; 18. ოლ. თამაშების (2004) მასპიძელი ქალაქი; 20. რბოლის მონაკვეთი; 21. იაპონური ჭიდაობა; 23. ჩოგბურთელი ნასტასე ...; 25. საჭიდაო ხალიჩა.

**შვეულად:** 1. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 2. თავისუფალი სამწვრთნელო ბრძოლა; 4. „დინამოს" ვეტერანი ბერძენი ფეხბურთელი; 7. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 8. არგენტინელი ფეხბურთელი, ერნარ ...; 10. ოჩამჩირის საფეხბ. გუნდი; 12. გერმანიის საფეხბ. კლუბი; 13. გულშემატკივართა კლუბი...; 17. ფრე ჭადრაკში; 19. ... ლასკერი; 22. ინგლისელი ფეხბურთელი მაიკლ ...; 24. მოჭადრაკე... ჩაიკოვსკაია; 26. კალათბურთელ ცინცაძის მეტსახელი.

*პასუხები შემდეგ ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თუ სერბეთის ნაკრები?

# იგორ კოკოშკოვი: სერბეთის განვრთნა ჩემთვის დიდი პატივია




საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს ჩვენს ეროვნულ ნაკრებთან ორწლიანი ხელშეკრულების ვადა ამოეწურა. შესაბამისად, გაჩნდა კითხვა - გააგრძელებს იგი თანამშრომლობას ფედერაციასთან?

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: საქართველოს ნაკრებმა ისტორიაში საუკეთესო შედეგებს სწორედ იგორ კოკოშკოვის ხელში მიაღწია, ორჯერ ითამაშა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რაშიც მწვრთნელსაც დიდი წვლილი მიუძღვის.

თავის მხრივ, ჩვენი ნაკრები დაეხმარა კოკოშკოვს ევროპაში სახელის მოხვეჭაში. ჯერ კიდევ 2011 წელს, როცა „პანათინაიკოსის" მთავარ მწვრთნელად ბატონი იგორის კანდიდატურა განიხილებოდა, ბერძნები წერდნენ: ამერიკაში ასისტენტია, მაგრამ მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილებაც აქვს - საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მეორე რაუნდში ათამაშაო. გავიდა კიდევ ორი წელი და ევრო-2013-ის შემდეგ თანამდებობიდან სერბეთის დამრიგებელი დუშან ივკოვიჩი რომ გადადგა, მის შემცვლელად, ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად სწორედ საქართველოს ნაკრების თავკაცს ასახელებენ. ამ საქმეში ჩვენმა მწვრთნელმა დიდი პლუსი აგვისტოში დაიწერა, როცა ქართველებმა სერბეთი ამხანაგურად დაამარცხეს.

იგორ კოკოშკოვს სერბული გამოცემა „ჟურნალის" კორესპონდენტი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ესაუბრა. აი, რა უთხრა ამერიკაში მომუშავე სპეციალისტმა:

*- ჩემთვის დიდი პატივია ნაციონალურ გუნდში მუშაობა, მაშინაც კი, როცა სხვა ქვეყანას წარმოვადგენ. ხოლო, როცა საქმე საკუთარ სამშობლოს ეხება, ყველა კითხვა მოხსნილია. სერბეთის ნაკრების განვრთნა ჩემთვის დიდი გამოწვევა იქნება.*

ამ პასუხიდან ნათელია, რომ კოკოშკოვი სერბეთიდან წინადადებას თუ მიიღებს, დათანხმდება კიდეც. მით უმეტეს, მომავალ წელს ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატი ელის, რომლის საგზური დუშან ივკოვიჩის გუნდმა წლეულს მოიპოვა.

საკითხავია, რას უპასუხებს სერბი სპეციალისტი საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, ნაკრების გაძღოლა კიდევ ორი წლით რომ შესთავაზოს? როგორც პოლონელ ჟურნალისტებს უთხრა, ბატონი იგორი ფედერაციასთან დალაპარაკებას ელის. თავის მხრივ, ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ზესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, რომ იგორ კოკოშკოვმა საქართველოს ნაკრებში თავისი საქმე უკვე გააკეთა და ახალი დამრიგებელი გვჭირდება. შემცვლელზე კი ფედერაციის არჩევნების შემდეგ მოსულმა ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოსო.

ითქვა: არჩევნები 14 დეკემბრამდე გაიმართებაო და საქმე ისე იწელება, შესაძლოა საარჩევნო ყრილობა სწორედ 13 დეკემბერს ჩატარდეს. შემდეგ, ფედერაცია ვიდრე დალაგდება, ვიდრე მწვრთნელის საკითხზე საბოლოოდ ჩამოყალიბდება... იგორ კოკოშკოვთან საქმის გარკვევას ვინ ჩივის, ისე არ მოხდეს, 2014 წლის შესარჩევი მატჩებისთვის ნაკრების შესაფერის მწვრთნელთან შეთანხმება ვერ მოესწროს. საამისო გამოცდილება გვაქვს: მოლაპარაკებები ხშირად 3-4 თვე გაგრძელებულა. სულელები კი არ იყვნენ გერმანელები, სვეტისლავ პეშიჩი ნაკრების თავკაცად 2011 წელს გამართული ევრობასკეტის დასრულებისთანავე რომ დანიშნეს. კარგ სპეციალისტებს დროულად უნდა შესთავაზო ხელშეკრულება.

ახალ მწვრთნელს ხომ დრო დასჭირდება ქართული კალათბურთის რესურსის შესასწავლად როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუ ახალი დამრიგებელიც იგორ კოკოშკოვს მიჰბაძავს და შიდა ჩემპიონატის თუნდაც ერთ თამაშზე დასასწრებად არ ჩამოვა?!

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი

# გამგეობა და თემიდა

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობა დღეს სასტუმრო „რედისონში" კალათბურთის ვეტერან და მოქმედ მსაჯებს, კომისრებს და მსაჯ-მდივნებს შეხვდა. საუბარი ეხებოდა ფედერაციის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს და იმ წესდებას, რომლითაც ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს. 1-ელ ოქტომბერს გამართულ გამგეობის სხდომაზე ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, საკალათბურთო სამყაროს ყველა ფენის წარმომადგენლებს შეხვდეს და მათთან კონსულტაციის შემდეგ შეიმუშაოს წესდება და განსაზღვროს არჩევნების თარიღი.

მსაჯებთან, კომისრებთან და მსაჯ-მდივნებთან დღევანდელმა შეხვედრამ საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. გამგეობის წევრებმა დამსწრეთ გააცნეს ფედერაციის გეგმები, მსაჯ-კომისრებმაც თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს და აქცენტი არჩევნებში მათ თანამონაწილეობის გაზრდაზე გააკეთეს. მსაჯებმა, კომისრებმა და მსაჯ-მდივნებმა გამგეობის წინაშე დააყენეს საკითხი, რომ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებმა არჩევნებზე ხმის უფლება მიიღონ.

კალათბურთის ფედერაციაში ოფიციალურად ჯერჯერობით არც ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი არ დაფიქსირებულა. გამგეობის წევრები საკალათბურთო სამყაროს წარმომადგენლებთან შეხვედრებს განაგრძობენ და მორიგი შეხვედრა 16 ოქტომბერს, ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს საკალათბურთო წრეებთან შედგება.

www.gbf.ge



თავისუფალი ჭიდაობა. ბერდის ტურნირი

# ექსცესები და გამარჯვება ბერდში

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრები წარმატებით გამოვიდა სომხურ ბერდში საერთაშორისო ტურნირში, სადაც მასპინძლებს ნამდვილი ომი გაუმართა და პირველობა კბილებით გამოჰგლიჯა ხელიდან.**



ესაა გუნდური შეჯიბრება, რომელშიც ამჯერად 8 სომხური და ორი ქართული გუნდი გამოდიოდა – აჭარისა და საქართველოს ნაკრებები.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა – **ემზარ ბედინეიშვილმა, გიორგი იანტბელიძემ** და **გელა სალირაშვილმა** ეს შეჯიბრება საგაისო სეზონისთვის მოსამზადებლად გამოიყენეს და მთავარ გუნდში მოხვედრის, პრაქტიკულად, ყველა კანდიდატი წაიყვანეს. მით უფრო, რომ სომხეთი ახლოსაა და ფინანსურად იაფი ჯდება. მათ ორი წონა გააორეს კიდეც და 12 ნორჩი ფალავანი იახლეს: **გიორგი ხაჩიძე** (42), **თემურ ვანიშვილი** (46), **ალექსანდრე კილაძე** და **გაიოზ გონგლაძე** (ორივე - 50), **შმაგი თოდუა** (54), **გიორგი ყაზარაშვილი** (58), **მამუკა ჩაჩუა** (63), **მირზა სხულუხია** (69), **მურად თოფჩიშვილი** (76), **მოგელი მეზვრიშვილი, ზაურ ბერაძე** (ორივე – 85) და **გივი მაჭარაშვილი** (100). შეჯიბრებამაც გაამართლა და მოზარდებმა იქ გამართულ მართლაც ფიცხელ ბრძოლებში თავი არ შეირცხვინეს. ბრძოლა კი მასპინძლებს ისეთი გაუმართავთ, უფროსთა ტურნირებშიც რომ არ ხდება, მაგრამ არც ჩვენები ჩამორჩნენ და ლეიბზე თუ მის მიღმა გამართულ ჯახში საბოლოოდ აჯობეს კიდეც.

ორგანიზატორებმა ეს 10 გუნდი ორად გაჰყვეს. საქართველოს ნაკრებმა პირველი სამი ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და ფინალში გავიდა, სადაც კვლავ მასპინძელთა გუნდი ელოდა. ოღონდ სომხებმა, თურმე ჩვენების წინა შეხვედრები რომ იხილეს და მათი ძალა ირწმუნეს, სასწრაფოდ გადააადგილეს თავიანთი ფალავნები – ყველა გუნდის საუკეთესოს ფინალში მოუყარეს თავი და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჩვენებს ნაკრები დაუპირისპირეს. ვერც ამან უშველა და მაინც აგებდნენ, აი, მაშინ კი მიულებელ მეთოდებზე გადასულან. როგორც ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემ გვითხრა, ჯერ მურად თოფჩიშვილის შეხვედრისას დაძაბულა ვითარება, როცა საქმე წევ-გამოწევამდე მისულა, მაგრამ ჩვენებურმა მაინც სუფთად იმარჯვა და საბოლოო წარმატებაც სწორედ ამან მოგვიტანა. მოგვიანებით მასპინძლებმა ქულების დაკლებაც კი სცადეს და ჩვენს მსაჯ **ელგუჯა ქობესაშვილს** თურმე პირდაპირაც სთხოვეს, ამ ქულებზე თვალი დახუჭე, რომ თასი ჩვენ დაგვრჩესო, მაგრამ ამანაც შორს დაიჭირა... საბოლოოდ დიდი წევ-გამოწევის შემდეგ ქულებზე შეჯერდნენ და სამართლიანობაც აღდგა – ჩვენებმა 24:22 იმარჯვეს. როგორც გითხარით, გადამწყვეტი თოფჩიშვილის წმინდა მოგება გამოდგა.

ამ უსიამოვნო ეპიზოდების გარდა, მასპინძლებს თავი ვერც ორგანიზებით გამოუჩენიათ და სტუმრებს ძალიან ცუდი საცხოვრებელი პირობები დაახვედრეს. ჩვენებს საყვედურიც გამოუთქვამთ, იქაურ ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს კი ბოდიშიც მოუხდია. ასეთი ექსცესები ძალზე საწყენია, რადგან სომხებთან ჩვენებს, ტრადიციულად, კარგი ურთიერთობა აქვთ – ხშირად მიმოდიან ერთმანეთის ტურნირებზე და მსგავსი ადრე არასოდეს მომხდარა. სომხები ახლაც იყვნენ ჩვენთან ჩამოსულები და მასპინძლებმა კომფორტული პირობებიც შეუქმნეს, ნოემბრის დასაწყისში კი ისევ ეწვევიან სომხეთს მორიგ შეჯიბრებაზე. იმედია, იქ მსგავსი ექსცესები აღარ მოხდება.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი



# ნაკრები დაწინაურდა

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ გრძელდება 1996-2000 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ხუთი მასპინძელთა და ერთი ჰანოვერის გუნდი მონაწილეობს. გუშინ ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. დილით „ლიგამუსმა“ სტუმრებს — ჰანოვერელებს 5 ბურთის სხვაობით სძლია - 14:9, „ივერიამ“ ქუთაისი დაამარცხა, ხოლო 1998-2000 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს ნაკრებმა „აკადემია“-„არენის“ გაერთიანებულ გუნდს აჯობა - 12:8.

საღამოს შეხვედრები ასე დამთავრდა: ქუთაისი-„ლიგამუსი“ 9:24, „არენა“-„ივერია“ 4:11, ნაკრები-„ჰანოვერი“ 10:9.

— დიდი ხანია ქართველ წყალბურთელ კახა კინწურაშვილთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. სწორედ, მისი მოწვევით ჩამოვედით თბილისში, — გვითხრა „ჰანოვერის“ მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ ბარტელსმა**. — ბევრი რამ მსმენია საქართველოზე, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ალარაფერს ვამბობ თქვენს ცნობილ სტუმართმოყვარეობაზე, რამაც ჩვენს ბიჭებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საქართველოს წყალბურთის ფედერაციისა და საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ მესვეურებმა ვარჯიშისა და აქტიური დასვენების ყველა პირობა შეგვიქმნეს. კარგი ტურნირიც გამოვიდა, რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ორ კვირაში გერმანიის ჭაბუკთა პირველობის ფინალური შეხვედრები დაიწყება და თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მიღებული გამოცდილება დიდ სამსახურს გაგვიწევს. კარგი ბიჭები გყავთ. დარწმუნებული ვარ, ისინი სულ მალე ევროპის საწყალბურთო ქვეყნების წარმომადგენლებს საერთაშორისო სარბიელზე პრობლემებს შეუქმნიან. მივესალმები ჩვენი მეგობრული ურთიერთობა მომავალშიც თუ გაგრძელდება. ქართველი კოლეგები ჰანოვერში მივიწვიეთ. მჯერა, რომ კახა კინწურაშვილის დახმარებით ჩვენი კონტაქტები გაღრმავდება...

სატურნირო მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაკრები | 4 | 4 | 0 | 0 | 43:31 | 12 |
| 2. ლიგამუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 61:33 | 9 |
| 3. ჰანოვერი | 4 | 2 | 0 | 2 | 55:32 | 6 |
| 4. ივერია | 4 | 2 | 0 | 2 | 35:35 | 6 |
| 5. ქუთაისი | 4 | 1 | 0 | 3 | 27:64 | 3 |
| 6. არენა | 4 | 0 | 0 | 4 | 23:49 | 0 |

**დღეს ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართება:** ნაკრები-ქუთაისი, არენა-ჰანოვერი, ივერია-ლიგამუსი.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# ანა ნახევარფინალში



ანა ტატიშვილი

მაკონში (აშშ) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მეოთხედფინალში გუშინ **ანა ტატიშვილი** (იგი მე-4 ნომერია) მე-6 ნომერ მასპინძელს - ნიკოლ გიბსს დაუპირისპირდა. პირველი სეტი ანამ იოლად მოიგო - 6:1, მეორეში 6:3 გაიმარჯვა. ქართველი ჩოგბურთელი დღეს ნახევარფინალში მე-7 ნომერ ალი კიიკს (აშშ) გაუწევს მეტოქეობას. მეორე ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილი აილა ტომლიანოვიჩი (ხორვატია) და მედისონ ბრინჯლი შეხვდებიან, რომლებმაც, შესაბამისად, ამერიკელები - იულია ბოსერუპი (6:2, 7:5) და ჟაკლინ კაკო (6:2, 6:1) ჩამოიშორეს გზიდან.

ანტალიის 10.000-იან ტურნირში ცდიდა ძალებს მე-8 ნომრად განთესილი **ეკატერინე გორგოძე**, რომელმაც ორ მეტოქეს სძლია, მაგრამ გუშინ მეოთხედფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტ მარტინა კუბიჩიკოვისთან (ჩეხეთი) სამ სეტში დამარცხდა - 0:6, 6:4, 0:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# კეკელიძე ლიდერებში

არლინგტონში (ვირჯინიის შტატი) დაიწყო დიდი საჭადრაკო ფესტივალი Continental Class 2013, რომლის საპრიზო ფონდია 40.000 დოლარი. ოსტატთა სექციაში მთავარი პრიზისთვის (4.000 დოლარი) სხვადასხვა ქვეყნის 33 წარმომადგენელი იბრძვის, მათ შორისაა ქართველი დიდოსტატი **მიხეილ კეკელიძე**. სამი ტურის შემდეგ 2.5 ქულით იგი (დენის სტენჟვილკი და მიხაელ ბურკე დაამარცხა, გრეგორი მარზინს (სამივე-აშშ) კი დაუზავდა) პირველ-მეექვსე ადგილებს იყოფს.

**ვაჟა დანელია**

● რაგბი. ევროთასები

# მამუკა გორგოძე დაბრუნდა

ევროთასების გათამაშება გუშინ დაიწყო. გამორიცხული არ არის „ჰაინეკენის თასისა“ და „ემლინ ჩელენჯ კაპის“ ტურნირები წლეულს ბოლოჯერ ჩატარდეს, რადგან ინგლისური და ფრანგული კლუბების ინიციატივით, შესაძლოა, ახალი ევროპული საკლუბო შეჯიბრება „ჩემპიონთა ლიგა“ დაფუძნდეს.



მოლში პირველი დავით ქუბრიაშვილი

ერთი სიტყვით, ეს მომავლის ამბავია. ამჯერად კი, ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა შვიდი ფრანგული და ერთი შოტლანდიური გუნდი ასპარეზობს. ორი გუნდით არიან წარმოდგენილი ქართველი მორაგბეები „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში.

პირველი მატჩი სწორედ „ემლინ ჩელენჯ კაპზე“ გაიმართა. პარიზში **ზურაბ ჟვანიასა** და **დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსემ“, რომელიც E ჯგუფის ბინადარია, ტურნირის დებიუტანტს, პორტუგალიურ „ლუზიტანოსს“ უმასპინძლა და დიდი ანგარიშით დაამარცხა - 61:3. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელებმა ეს გუნდი სახელდახელოდ შეაკოწიწეს, რადგან ესპანურმა გუნდმა, რომელიც ამავე შეჯიბრებაში შარშან ასპარეზობდა, ფინანსური პრობლემების გამო ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა.

პარიზელთა უპირატესობა ცხადია, საგრძნობი იყო და მეტოქეს ცხრა ლელო გაუტანეს. ჟვანია ძირითად შემადგენლობაში გახლდათ და 56-ე წუთზე შეცვალეს, ხუთი წუთით ადრე თამაშში ქუბრიაშვილი ჩაერთო. ამავე ჯგუფში ინგლისური „ლონდონ აირიში“ იტალიურ „პრატოს“ უმასპინძლებს.

**გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივი“ C ჯგუფში ითამაშებს. ჩვენებურთა ეს გუნდი პირველ შეხვედრას სტუმრად გამართავს იტალიაში „კალვიზანოსთან“. შველიძე ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს, ასეიშვილს მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს.

ამავე ჯგუფში, რუმინეთის „ბუქარესტი“ შინ მიიღებს ინგლისურ „ნიუკასლს“.

| ემლინ ჩელენჯ კაპი |
|---|
| I ტური |
| A ჯგუფი |
| სეილ შარქსი (ინგ)-ბიარიცი (საფ) 33:10, ოიონაქსი (საფ)-ვორსტერი (ინგ) |
| B ჯგუფი |
| ნიუპორტი (უელ)-მოლიანო (იტ), ბორდო (საფ)-ბასი (ინგ) |
| C ჯგუფი |
| ბუქარესტი (რუმ)-ნიუკასლი (ინგ)ს, კალვიზანო (იტ)-ბრივი (საფ). |
| D ჯგუფი |
| ბაიონი (საფ)-გრენობლი (საფ), ვიადანა (იტ)-ვოსფსი (ინგ) |
| E ჯგუფი |
| სტად ფრანსე (საფ)-ლუზიტანოს (პორ) 61:3, ლონდონ აირიში (ინგ)-პრატო (იტ) |

როგორც უკვე ვთქვით, „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა რვა გუნდი იასპარეზებს. A ჯგუფში პირველ ტურში საფრანგეთის ჩემპიონი, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“ შინ ითამაშებს ინგლისურ „ნორსჰემპტონთან“. აღსანიშნავია, რომ ეს ჯგუფი სხვებთან შედარებით თანაბრად ძლიერი გუნდებითაა დაკომპლექტებული. ფეიქრიშვილი ინგლისური კლუბის წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ამავე ჯგუფში უელსური „ოსფრიზი“ შინ მიიღებს ირლანდიურ „ლენსტერს“.

B ჯგუფში ითამაშებს „ჰაინეკენის თასის“ ამჟამინდელი მფლობელი **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“, რომელიც პირველ შეხვედრას შინ გამართავს შოტლანდიურ „გლაზგოსთან“. შეხვედრა ძალზე საინტერესო უნდა გამოდგეს, რადგან გლაზგოელები „კელტთა ლიგაში“ შესანიშნავად ასპარეზობენ და პირველ ადგილზე არიან. „ტულონი“ მატჩს სერიოზულად უდგება და სტუმრებს საბრძოლო რაზმით დაუპირისპირდება. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ არიან.

C ჯგუფის ბინადარია **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი“, რომელიც პირველ ტურში შინ მიიღებს იტალიურ „ზებრეს“. ცხადია, ამ შეხვედრაში ფავორიტი ჩვენებურთა გუნდია, თუმცა ტრავმების გამო ქართველი მორაგბეები ვერ ითამაშებენ. ამავე ჯგუფში ირლანდიური „ქონოთი“ შინ ითამაშებს ინგლისურ „სარასენზთან“. სავარაუდოდ, ჯგუფში პირველი ადგილისთვის „ტულუზთან“ ერთად სწორედ „სარასენზი“ იბრძოლებს.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი ფრანგული გუნდია. პირველ ტურში სწორედ ისინი დადგებიან ერთმანეთის პირისპირ. **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი“ პარიზში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს“ უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების შერკინების ორივე ბურჯი ძირითად შემადგენლობაშია.

ჩვენებურთა გუნდებს საკმაოდ სერიოზული კონკურენცია ელის ჯგუფის სხვა წევრებისგან. ინგლისური „ჰარლიქვინზი“ პირველ ტურში უელსურ „ჰლანეჰლის“ უმასპინძლებს. ამ ჯგუფში გამარჯვებულის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.

E ჯგუფის ბინადარი იქნება **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“, რომელიც პირველ ტურში სტუმრად დაუპირისპირდება იტალიურ „ბენეტონს“. გორგოძემ ტრავმა მოიშუშა და ტრევიზოში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, ნარიაშვილი განაცხადში არ არის.

მონპელიეს მთავარი მეტოქეები ამ ჯგუფში ირლანდიური „ალსტერი“ და ინგლისური „ლესტერ ტაიგერზი“ იქნებიან. პირველ ტურში ამ გუნდებს შორის შეხვედრა ირლანდიაში გაიმართება.

ორი „ქართული გუნდი“ ითამაშებს F ჯგუფშიც. **დიმიტრი ბასილაიას** შოტლანდიური „ედინბურგის“ მეტოქე საკუთარ არენაზე ირლანდიური „მანსტერი“ იქნება. ბასილაია ძირითად შემადგენლობაშია და ფლანკერის პოზიციაზე ითამაშებს. **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი“ კი, ინგლისში „გლოსტერს“ შეხვდება. შერკინების ქართველი ბურჯი სათადარიგოთა შორისაა.

| ჰაინეკენის თასი |
|---|
| I ტური |
| A ჯგუფი |
| კასტრი (საფ)-ნორსჰემპთონი (ინგ), ოსფრიზი (უელ)-ლენსტერი (ირლ) |
| B ჯგუფი |
| ექსეტერი (ინგ)-კარდიფი (უელ), ტულონი (საფ)-გლაზგო (შოტ). |
| C ჯგუფი |
| ქონოთი (ირლ)-სარასენზი (ინგ), ტულუზი (საფ)-ზებრე (იტ). |
| D ჯგუფი |
| ჰარლიქვინზი (ინგ)-ჰლანეჰლი (უელ), მეტრო რასინგი (საფ)-კლერმონი (საფ). |
| E ჯგუფი |
| ალსტერი (ირლ)-ლესტერ ტაიგერზი (ინგ), ბენეტონი (იტ)-მონპელიე (საფ). |
| F ჯგუფი |
| ედინბურგი (შოტ)-მანსტერი (ირლ), გლოსტერი (ინგ)-პერპინიანი (საფ). |

**ბესიკ ჯანგავაძე**




მარცხნივ ზურაბ ჟვანია

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ბოიკოტები ყოველთვის იყო

ოლიმპიური მოძრაობა და პოლიტიკური პროტესტი - ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენებია. ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ან თამაშების მიმდინარეობის დროს საჯარო პოლიტიკური პროტესტის გამოხატვა აუცილებლად იპყრობს მსოფლიოს საზოგადოების ყურადღებას და ცვლის პოლიტიკურ დღის წესრიგს. ბარონ პიერ დე კუბერტენის მიერ შედგენილი თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ქარტიის ძირითადი პრინციპია - სპორტისა და პოლიტიკის გამიჯვნა. ოლიმპიური ქარტიის მიხედვით, "ყველა ქვეყნის სპორტსმენს აერთიანებს პატიოსანი და თანაბარუფლებიანი თამაშები. ქვეყნებისა და ცალკეული პირების მიმართ არ დაიშვება არანაირი დისკრიმინაცია რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური მოტივებით".

ამავდროულად, თავად დე კუბერტენი არ უარყოფდა, რომ ოლიმპიური თამაშები მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო მიზნებით (ეროვნული ეგოიზმის გადალახვა, მშვიდობისთვის ბრძოლა, საერთაშორისო ურთიერთგაგება) არ აალორძინა. ბარონს ეროვნული პოლიტიკური მოტივებიც ამოძრავებდა. მისი აზრით, სწორედ ფრანგი ჯარისკაცების სუსტი ფიზიკური მდგომარეობა გახდა ფრანკო-პრუსიულ ომში (1870-71) საფრანგეთის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი. დე კუბერტენის ჩანაფიქრით, ეს სიტუაცია უნდა შეცვლილიყო ფრანგების ფიზიკური კულტურის გაუმჯობესების გზით.

ოლიმპიადის დროს პოლიტიკური პროტესტი ერთ-ერთი გზაა თამაშების ორგანიზატორებზე სერიოზული მორალური ზეწოლისთვის. ეს არის ერთ-ერთი ხერხი პროტესტის ინიციატორებისთვის, თავიანთი პრობლემები მიიტანონ საზოგადოებამდე. ასეთი ჟესტი მოწოდებულია საერთაშორისო დისკუსიის გააქტიურებისკენ, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის გალვივებისკენ და მისი დახმარებით ხელისუფლებაზე ზემოქმედებისკენ.

### ზაფხულის VII თამაშები
(1920 წელი, ანტვერპენი)

სწორედ ეს ოლიმპიადა უნდა ჩაითვალოს პირველ მაგალითად, თუ როგორ შეიძლება სპორტული მოვლენის პოლიტიკურად შეფერადება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ანტვერპენის თამაშებზე არ მიიწვიეს გერმანია და მისი მოკავშირეები პირველ მსოფლიო ომში. ეს იყო სასჯელი საომარი მოქმედების გაჩაღებისთვის.

გარდა ამისა, თამაშების ორგანიზატორებმა დემონსტრაციულად არ შეიმჩნიეს საბჭოთა რუსეთის არსებობა და 30-იანი წლების შუა რიცხვებამდე, ოლიმპიური კომიტეტი რუსეთის წარმომადგენლად მეფის რეჟიმის ემიგრანტებს, კერძოდ კი თავად ლევ ურუსოვს მიიჩნევდა.

### ზაფხულის VIII თამაშები
(1924 წელი, პარიზი)

ოთხი წლის წინანდელი დემარშის გამო, საბჭოთა მთავრობამ პასუხად უარი თქვა პარიზის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. ოფიციალური უარის მიზეზი იყო შემდეგი: საბჭოთა მხარეს ოლიმპიადაზე მიწვევა გადასცა საფრანგეთის მუშათა სპორტულ-სატანვარჯიშო კავშირმა. სსრკ-მა მიუღებლად მიიჩნია შუამავლის მეშვეობით საორგანიზაციო კომიტეტთან ურთიერთობა. შედეგად, საბჭოთა სპორტსმენები პირველად ზაფხულის თამაშებზე მხოლოდ 1952 წელს, ჰელსინკიში გამოჩნდნენ.

### ზაფხულის XVI თამაშები
(1956 წელი, მელბურნი)

ეს იყო კიდევ ერთი წმინდა წყლის პოლიტიკური ბოიკოტი, თანაც არა ერთი, არამედ სამი. ეგვიპტემ, რომელსაც მხარი დაუჭირეს ერაყმა, ლიბანმა და კამბოჯამ, თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა იმ აგრესიის გამო, რომელიც მას თავს დაატყდა სუეცის კრიზისის დროს.

ჰოლანდიამ, ესპანეთმა და შვეიცარიამ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადეს საბჭოთა კავშირის ჯარების უნგრეთში შეჭრის გამო. თავად უნგრეთის ნაკრებმა კი უარი თქვა ოლიმპიადაზე ოფიციალური დროით გამოსვლაზე – ამის ნაცვლად, სპორტსმენებს მიჰქონდათ 1918 წლის უნგრული დროშა. თამაშების შემდეგ, უნგრელი სპორტსმენების ჯგუფმა უარი განაცხადა სამშობლოში დაბრუნებაზე.

დაბოლოს, ჩინეთმა თამაშების გახსნამდე ორი კვირით ადრე გამოაცხადა თავისი ბოიკოტის შესახებ. ამის მიზეზი იყო ოლიმპიადაზე არაღიარებული ტაივანის მიწვევა, რომელიც "ფორმოზას" სახელით გამოდიოდა.

### ზაფხულის XXI თამაშები
(1976 წელი, მონრეალი)

მონრეალის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადა აფრიკის ერთბაშად ექვსმა ქვეყანამ. ინიციატორებად გამოვიდნენ კონგოს რესპუბლიკა და ტანზანია, მიზეზი კი გახდა სარაგბო შეხვედრა ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკას შორის. ეს უკანასკნელი, აპარტეიდის რეჟიმის გამო, საერთაშორისო სანქციის ქვეშ იყო და მას ბოიკოტი ჰქონდა მიღებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან (ეს ქვეყანა ოლიმპიურ ოჯახში ხელმეორედ 1992 წელს მიიღეს). შესაბამისად, აფრიკული ქვეყნები მოითხოვდნენ ახალი ზელანდიის ოლიმპიადიდან მოკვეთას, რომელმაც დაუშვა სამხრეთ აფრიკასთან მატჩი და ამით დაარღვია



აპარტეიდის რეჟიმის იზოლაცია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავს იმით იმართლებდა, რომ რაგბი არ შედიოდა ოლიმპიურ პროგრამაში.

გუნდების ნაწილი, რომლებიც ბოიკოტს შეუერთდნენ, იმ დროისთვის უკვე ჩასულები იყვნენ კანადაში და თამაშები ვარჯიშების დაწყების შემდეგ დატოვეს (მაგალითად, მაროკო, კამერუნი და ეგვიპტე). აფრიკული ქვეყნებიდან ოლიმპიადაზე მხოლოდ სენეგალი და სპილოს ძვლის ნაპირი გამოვიდნენ. აგრეთვე ბოიკოტს შეუერთდნენ არააფრიკული ქვეყნები: ერაყი (აზია) და გაიანა (სამხრეთ ამერიკა).

### ზაფხულის XXII თამაშები
(1980 წელი, მოსკოვი)

ყველაზე ცნობილი ოლიმპიური ბოიკოტი. ამის მიზეზი იყო 1979 წლის დეკემბერში საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეყვანა. იდეის მთავარი ინიციატორები იყვნენ ბრიტანეთი, კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები.

მოსკოვის თამაშებზე არ გაემგზავრნენ 64 ქვეყნის სპორტსმენები. ამ ქვეყნების რამდენიმე წარმომადგენელი მაინც ჩავიდა საბჭოთა კავშირში, ოღონდ ინდივიდუალური წესით და შედეგად, გახსნისა და დახურვის ცერემონიაზე 15 ნაკრები – ავსტრალია, ანდორა, ბელგია, ბრიტანეთი, ჰოლანდია, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ახალი ზელანდია, პორტუგალია, პუერტო რიკო, სან მარინო, საფრანგეთი და შვეიცარია – არა ეროვნული, არამედ ოლიმპიურ დროშით გამოვიდა, დაჯილდოების ცერემონიაზე კი მათი ჰიმნების ნაცვლად, ოლიმპიური ჰიმნი ჟღერდა. დასავლეთ ევროპიდან ოლიმპიადაზე საკუთარი დროშით მხოლოდ ავსტრია, საბერძნეთი, მალტა, ფინეთი და შვედეთი გამოვიდნენ.

დახურვის ცერემონიაზე, არსებული ტრადიციის თანახმად, უნდა აღემართათ მომავალი ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის დროშა, ამ შემთხვევაში – ამერიკის შეერთებული შტატების. მაგრამ ეს ქვეყანა ბოიკოტის ინიციატორი იყო და ამიტომაც, მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე ლოს ანჯელესის დროშა აღმართეს. სწორედ ეს ქალაქი იყო 1984 წლის ოლიმპიადის მასპინძელი.

ამერიკელებს ჰქონდათ "ალტერნატიული ოლიმპიადის" ჩატარების იდეა სპილოს ძვლის ნაპირში, მაგრამ, ბოლოს, 29 ქვეყნის სპორტსმენებმა აშშ-ის მიერ სპეციალურად ორგანიზებულ ალტერნატიულ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა. მისი სახელი იყო "თავისუფლების ზარები" (Liberty Bell Classic) და ის ქალაქ ფილადელფიაში ჩატარდა.

### ზაფხულის XXIII თამაშები
(1984 წელი, ლოს ანჯელესი)

ლოს ანჯელესის ზაფხულის თამაშებს ბოიკოტი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანამ გამოუცხადა (რუმინეთის, იუგოსლავიისა და ჩინეთის გარდა). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა ფორმალურად ასევე შეუერთდა ბოიკოტს, მაგრამ თავის სპორტსმენებს აშშ-ში კერძოდ გამგზავრების უფლება მისცა.

საპასუხო ბოიკოტის ოფიციალური მიზეზი გახდა 1984 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორთა უარი - უსაფრთხოების გარანტიები მიეცათ სსრკ-ისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნების სპორტსმენებისთვის. თუმცა ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ეს იყო სოციალისტების პასუხი 1980 წლის ბოიკოტზე.

პარალელურად გამოცხადდა საერთაშორისო შეჯიბრების – "მეგობრობა 84"-ის ჩატარების შესახებ, ამასთან, ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს ფორუმი არ იყო ოლიმპიური თამაშების ალტერნატივა. საერთო ჯამში, "მეგობრობაში" მონაწილეობა 50-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო.

სოციალისტური ბლოკის ქვეყნების გარდა, ლოს ანჯელესის თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადეს ლიბიამ და ირანმა.

აშშ-ისა და სსრკ-ის მხრიდან ამ ორი ოლიმპიადის ბოიკოტის შედეგად, ტედ ტერნერის ინიციატივით შეიქმნა "კეთილი ნების თამაშები", რომელიც დღეს აღარ არსებობს. გარდა ამისა, სოკ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ხუან-ანტონიო სამარანჩის წინადადებით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებაში შეიტანეს დამატებითი მუხლი სერიოზული სანქციების შესახებ იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ბოიკოტის მოწყობას შეეცდებიან. სანქცია შეიძლება იყოს შესაბამისი ნაკრების ერთი ან რამდენიმე ოლიმპიადიდან მოკვეთა, წევრობის შეჩერება ან საერთოდ მოკვეთა ოლიმპიური მოძრაობიდან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# მარია მკვდარი იპოვეს

ფორმულა 1-ის რუსული საჯინიბოს „მარუსიას" ყოფილი ტესტ-პილოტი **მარია დე ვილიოტა** ქალაქ სევილიის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი იპოვეს. სამედიცინო სამსახურმა გამოძახება ადგილობრივი დროით დილის შვიდ საათზე მიიღო, მაგრამ 33 წლის პილოტის რეანიმირება ვერ მოხერხდა. დე ვილიოტა სევილიაში კონფერენციაზე გამოსასვლელად ჩავიდა. გასული კვირის ბოლოს, ესპანელმა საკუთარი ცხოვრების შესახებ წიგნის პრეზენტაცია მოაწყო.

*„ამ მომენტისთვის ერთადერთი რამ არის ცნობილი: მისი თანაშემწე არანჩა ოთახში შევიდა და მარიას გაღვიძება სცადა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ის არ სუნთქავდა. როგორც ჩანს, ეს არ ყოფილა ძალადობრივი სიკვდილი ან თვითმკვლელობა"*, - განაცხადა ესპანეთის ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **კარლოს გარსიამ**.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის ივლისში, ბრიტანეთის ქალაქ დაქსფორდში მარია დე ვილიოტა „მარუსიას" ტესტებისას უმძიმეს ავარიაში მოხვდა. ექიმებმა შეძლეს პილოტის სიცოცხლის შენარჩუნება, თუმცა მარიამ თვალი დაკარგა, რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა და იძულებული გახდა ავტოსპორტიდან წასულიყო. ინციდენტის შემდეგ, დე ვილიოტამ კომენტატორობა სცადა, აგრეთვე მუშაობდა ფორმულა 1-ში უსაფრთხოების საკითხებზე.


მარია დე ვილიოტა

გთავაზობთ დე ვილიოტას იმ ინტერვიუს ნაწყვეტს, რომელიც მან ამა წლის აპრილში „გაძეტა დელო სპორტს" მისცა: *„მთლიანად შემეცვალა წარმოდგენა ცხოვრებაზე, შეიცვალა ფასეულობების სკალა. ახლა მე ვიცი, რომ ყველა პრობლემა ფარდობითია და ცხოვრებას ოპტიმიზმით ვუყურებ. თავიდან გავბრაზდი ექიმზე იმის გამო, რომ თვალი ვერ გადამირჩინა, მაგრამ შემდეგ თანდათან გავაცნობიერე, რომ ამ დანაკარგის სიმძიმე ისეთი დიდი არ არის, რადგან მე სიცოცხლე დამიბრუნეს. ეს არის მთავარი".*

# ალონსო მაკლარენს მოურიგდა?



ესპანური გამოცემა f1aldia იტყობინება იმის შესახებ, რომ "ფერარის" პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** ზეპირ შეთანხმებას მიაღწია "მაკლარენთან" და კონტრაქტს გააფორმებს ბრიტანულ საჯინიბოსთან, რომელიც 2015 წლის სეზონის დასაწყისიდან შევა ძალაში.

ამასთან, "მაკლარენის" ხელმძღვანელობა ცდილობს გააკეთოს ისე, რომ ტრანსფერი უკვე 2014 წელს განხორციელდეს. ვარაუდობენ, რომ ალონსოს მიწვევა საშუალებას მისცემს "მაკლარენს" გააუმჯობესოს სიტუაცია სპონსორებთან დაკავშირებით.

ამასობაში, ალონსომ იაპონიის გრანპრის წინ განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუ უახლოეს ეტაპზე დაამხობს **მიხაელ შუმახერის** რეკორდს კარიერაში მოპოვებული ქულების რაოდენობით - ამისთვის, "ფერარის" პილოტს იაპონიაში მეექვსე ადგილზე გასვლა სჭირდება.

*"დიახ, ეს მნიშვნელოვანია. მე ფორმულა 1-ის რამდენიმე რეკორდის გაუმჯობესების შანსი მაქვს, რადგან მიხაელის გასწრება ტიტულებისა და გამარჯვებების რაოდენობით ძალიან რთული იქნება. იმედია, იაპონიაში გავაუმჯობესებ ქულების რეკორდს და შემდეგ ვიზეიმებ ამ მოვლენას"*, - განაცხადა ალონსომ.

სნუკერი

# ო'სალივანი: თამაშის ჩაწყობა შემეძლო

სნუკერში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **რონი ო'სალივანმა** ავტობიოგრაფიული წიგნი წარმოადგინა, რომელშიც აღიარებს, რომ ერთხელ ჩაწყობილ მატჩში მონაწილეობის წინადადება მიიღო. შეთავაზება ათი წლის წინ გაკეთდა ადამიანის მიერ, რომელსაც ო'სალივანი კარგად იცნობს.

*„ვიღაცამ დამირეკა და მითხრა, რომ ჩემთან შეხვედრა და ტყეში გასეირნება სურდა. ის ფული, რომელიც მან შემომთავაზა ფიქსირებული ანგარიშისთვის, 20 ათას ფუნტს შეადგენდა. მე ამ თანხის გამომუშავება რამდენიმე დღეში შემეძლო"*, - მოჰყავს BBC-ის ო'სალივანის წიგნიდან ნაწყვეტი.

რონი ო'სალივანის წიგნის შეძენა უკვე შესაძლებელია ინტერნეტმაღაზიაში. წიგნს თან ერთვის თავად ავტორის ანოტაცია:

*„ამ წიგნში მე განვიხილე ყველაფერი, რამაც არ მომკლა და პირიქით, დადებითი როლი ითამაშა - ჩემი პიროვნება, დეპრესია, მამაჩემის მკვლელობაში დადანაშაულება, მტკივნეული განქორწინება ჩემი შვილების დედასთან, სპორტისა და ოჯახის შეთავსების სირთულეები. მაგრამ წიგნში კარგ ამბებზეც წერია - ჩემს შვილებზე, სნუკერზე, მამის ციხიდან განთავისუფლებაზე, მეგობრებსა და ფსიქიატრ სტივ პიტერსზე, რომელმაც მასწავლა, რომ არ უნდა გავქცეოდი პრობლემებს".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


რონი ო'სალივანი

ამბები

კრივი

## კლიჩკო მოსაწყენების სიაში

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი ვლადიმერ კლიჩკო მსოფლიოში ყველაზე მოსაწყენი მოკრივეების სიაში შევიდა. ეს ჩამონათვალი ბრიტანულმა გაზეთმა „გარდიანმა" წარმოადგინა.

უმცროსი კლიჩკოს გარდა, სიაში ვხედავთ **ფლოიდ მეივეზერს**, **ანსელმო მორენოს**, **ანდრე უორდსა** და **ბერნარდ ჰოპკინსს**.

ჩოგბურთი

## ბრძანება მთავრობისგან

ტუნისის მთავრობამ ამ ქვეყნის ჩოგბურთელს **მალეკ ჯაზირის** ტაშკენტის „ჩელენჯერის" სერიის ტურნირის მეოთხედფინალში ისრაელის წარმომადგენელ **ამირ ვაინტრაუბის** წინააღმდეგ თამაში აუკრძალა.

ჩოგბურთელის ძმამ და მენეჯერმა **ამირ ჯაზირიმ** განაცხადა, რომ ტუნისის ჩოგბურთის ფედერაციისგან მიიღო ფაქსი, რომელშიც მალეკს მოუწოდებდნენ, რომ არ გასულიყო ამ მატჩის სათამაშოდ. ასეთი გადაწყვეტილება ტუნისის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეების სამინისტროს სხდომაზე მიიღეს. ამასთან, ამირ ჯაზირიმ განაცხადა, რომ ახლა მისი ძმის მიმართ, შესაძლოა, გარკვეული სანქციები დააწესონ.

ტუნისს, ისევე როგორც არაბული ქვეყნების უმრავლესობას, არ გააჩნია ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა არაბულ-ებრაული კონფლიქტის გამო.

კალათბურთი. NBA საკონტროლო მატჩები

**დეტროიტი-მაიამი 107:112**

19:23, 27:32, 33:34, 28:23

**დ:** ბაინუმი (28+6 პასი), დრამონდი (21+11 მოხსნა), მონრო (13+8 მოხსნა), სმიტი (12), ჟერებკო (10+12 მოხსნა).

**მ:** ბოში (28), ჯონსი (12), ჯეიმსი (9+7 პასი).

**მინესოტა-მილუოკი 98:89**

25:29, 21:17, 29:25, 23:18

**მინ:** ჯეფერსი (13+6 მოხსნა), მუჰამადი (11), პეკოვიჩი (10), პრაისი (10), ჰუმელი (10).

**მილ:** ჰენსონი (16+5 მოხსნა), ბატლერი (13), მიდლტონი (12), უოლტერსი (10).

**ლეიკერსი-საკრამენტო 86:104**

24:30, 26:18, 19:25, 17:31

**ლ:** მიქსი (19), იანგი (17+5 მოხსნა), გასოლი (13+5 მოხსნა+5 პასი), კამანი (12+6 მოხსნა).

**ს:** აუთლო (18+6 მოხსნა), კაზინსი (16+12 მოხსნა), მაკლემორი (12+5 მოხსნა), ტომასი (10+9 პასი), ტომპსონი (10), მაკალუმი (10).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს თასი 2014**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| ხორვატია-ბელგია | 1:2 |
| უელსი-მაკედონია | 1:0 |
| სომხეთი-ბულგარეთი | 2:1 |
| მალტა-ჩეხეთი | 1:4 |
| დანია-იტალია | 2:2 |
| ფარერები-ყაზახეთი | 1:1 |
| გერმანია-ირლანდია | 3:0 |
| შვედეთი-ავსტრია | 2:1 |
| ანდორა-რუმინეთი | 0:4 |
| ესტონეთი-თურქეთი | 0:2 |
| ჰოლანდია-უნგრეთი | 8:1 |
| ალბანეთი-შვეიცარია | 1:2 |
| ისლანდია-კვიპროსი | 2:0 |
| სლოვენია-ნორვეგია | 3:0 |
| აზერბაიჯანი-ჩრ. ირლანდია | 2:0 |
| ლუქსემბურგი-რუსეთი | 0:4 |
| ლიტვა-ლატვია | 2:0 |
| ბოსნია-ლიხტენშტაინი | 4:1 |
| საბერძნეთი-სლოვაკეთი | 1:0 |
| მოლდოვა-სან მარინო | 3:0 |
| უკრაინა-პოლონეთი | 1:0 |
| ინგლისი-ჩერნოგორია | 4:1 |
| ესპანეთი-ბელარუსი | 2:1 |
| პორტუგალია-ისრაელი | 1:1 |

**სამხრეთ ამერიკა**

| | |
|---|---|
| კოლუმბია-ჩილე | 3:3 |
| ეკვადორი-ურუგვაი | 1:0 |
| ვენესუელა-პარაგვაი | 1:1 |

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| ჰონდურასი-კოსტა რიკა | 1:0 |

**ევრო 2014**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| უელსი-ლიტვა | 2:0 |
| ბულგარეთი-რუსეთი | 3:3 |
| დანია-სლოვენია | 2:2 |
| გერმანია-ჩერნოგორია | 2:0 |
| რუმინეთი-ირლანდია | 0:0 |
| თურქეთი-საბერძნეთი | 1:0 |
| ჩრ. ირლანდია-ბელგია | 0:1 |
| კვიპროსი-სერბეთი | 2:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-იაპონია | 2:0 |
| საფრანგეთი-ავსტრალია | 6:0 |
| მაროკო-ს. აფრიკა | 1:1 |

**დანიის თასი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰვიდოვრე-ვეილე | 0:4 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| სლოვაცკო-ბოლესლავი | 0:2 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| სიდნეი-ნიუკასლი | 2:0 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლე მანი-გრაველინი | 69:63 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ვარდარი-ლავრიკი | 27:27 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ამური | 0:1 (ბ) |
| სევერსტალი-ადმირალი | 5:4 (ბ) |
| ცსკა-მეტალურგი (მ) | 2:1 (ბ) |
| ატლანტი-სიბირი | 1:2 (ო) |
| სკა-მეტალურგი (ნ) | 4:1 |
| დინამო (მნ)-სპარტაკი | 3:1 |
| დონბასი-ზაგრები | 2:5 |
| დინამო (რ)-ნეფტიხიმიკი | 2:1 |
| სლოვანი-ს. იულიაევი | 2:1 (ბ) |
| ლევი-ტრაქტორი | 7:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალბა-ლინცი | 4:2 |
| ვენა-ოლიმპია | 4:2 |
| ვილახი-ბოლცანო | 4:2 |
| დორნბირნი-გრაცი | 4:2 |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 7:0 |
| ინსბრუკი-ზნოიმო | 2:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-აისბარენი | 3:4 (ბ) |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 3:2 |
| ჰამბურგი-შვენინგერი | 2:1 |
| იზერლონი-კრეფელდი | 2:6 |
| კიოლნი-ინგოლშტადტი | 6:0 |
| მანჰაიმი-მიუნხენი | 9:0 |
| სტრაუბინგი-დიუსელდორფი | 2:6 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ჰერლევი-ესბერგი | 2:0 |
| ჰერნინგი-სონდერიისკი | 5:0 |
| როდოვრე-რუნგსტედი | 1:3 |
| ოლბორგი-ფრედრიკშავნი | 5:7 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-ტრენჩინი | 3:5 |
| მარტინი-სკალიცა | 5:4 (ბ) |
| ნიტრა-ზვოლენი | 4:1 |
| ბისტრიცა-პიეშტანი | 1:2 (ბ) |
| კოშიცე-პოპრადი | 2:1 (ო) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| პელიკანსი-ესეტი | 2:3 |
| საიპა-ტაპარა | 2:4 |
| ჰპკ-ილვესი | 1:5 |
| იუვიასკიულა-კაიპა | 1:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ხომუტოვი-კრალოვე | 2:3 (ო) |
| კლადნო-ლიტვინოვი | 3:2 |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 4:2 |
| სლავია-სპარტა | 0:6 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ლოზანა | 2:1 |
| ბილი-დავოსი | 2:0 |
| კლოტენი-ცუგი | 7:5 |
| სერვეტი-ბერნი | 4:2 |
| ფრიბურგი-ლუგანო | 3:2 |
| ციურიხი-რაპერსვილი | 5:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. შანხაი**

| | |
|---|---|
| ფ. მაიერი-ცონგა | 2:6, 3:6 |
| დელ პოტრო-ალმაგრო | 6:3, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-მონფილსი | 6:7, 6:2, 6:4 |
| ნადალი-ვავრინკა | 7:6, 6:1 |

**WTA. ლინცი**

| | |
|---|---|
| ფლიპკენსი-ს. ნავარო | 1:6, 3:6 |
| სტივენსი-ფოგელი | 7:6, 4:6, 5:7 |
| მეირი-კერბერი | 3:6, 1:6 |
| ივანოვიჩი-ციბულკოვა | 6:2, 6:4 |

**WTA. ოსაკა**

| | |
|---|---|
| ბუშარი-ბ. ზახვალოვა | 2:6, 6:4, 6:1 |
| ჟენგი-კისი | 3:6, 1:6 |
| სტოსური-დოი | 6:1, 3:6, 6:3 |
| ნარა-ჰერცოგი | 7:6, 2:6, 6:1 |

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-კოლორადო 0:2**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 რ. ო'რაილი-2 (ბენუა-1, დუშენი-2), 0:2 დუშენი-2.

**ბაფალო-კოლამბუსი 1:4**

1:3, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ატკინსონი-1 (გაბორიკი-2, ვიშნიევსკი-2), 1:1 ვანეკი-2 (ოტი-1, პოვლსონი-3), 1:2 ფოლინო-2 (იოჰანსენი-1, უმბერგერი-2), 1:3 გაბორიკი-2 (ატკინსონი-2, რ. მურეი-1), 1:4 დუბინსკი-1 (დ. სავარი-2, გაბორიკი-3).

**ვაშინგტონი-კაროლინა 2:3**

1:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ჩიმერა-1 (ფერი-1, ჯ. კარლსონი-1), 1:1 ლინდჰოლმი-1 (სკინერი-4, მერფი-2), 2:1 ოვეჩკინი-5 (ოლევკსი-1, ბექსტრიომი-4), 2:2 სიომინი-1 (ე. სტაალი-1, სკინერი-5), 2:3 გერბე-3 (ჯ. სტაალი-1, ფოლკი-4).

**დეტროიტი-ფინიქსი 2:4**

0:1, 2:1, 0:2

**გოლები:** 0:1 მორისი-1 (ვერმეტი-2), 1:1 ანდერსონი-1 (კინდლი-1, ბერტუცი-1), 2:1 ერიქსონი-1, 2:2 ბოდკერი-1 (მორისი-2), 2:3 სტოუნი-1 (რიბეირო-1, ჰანძალი-3), 2:4 ვერმეტი-1 (ბოდკერი-2).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 7:2**

2:0, 2:1, 3:1

**გოლები:** 1:0 სან ლუი-2 (სტემკოსი-3, პურსელი-1), 2:0 სტემკოსი-1 (სან ლუი-3, ჰედმანი-2), 2:1 ბ. ბოიესი-2 (ბ. კემპბელი-4, ფლიშმანი-2), 3:1 სტემკოსი-2 (მეტიუ კარლი-2, მელოუნი-2), 4:1 პალატი-1 (კილორნი-2, ბიშოპი-1), 4:2 იუბერდო-1 (გომესი-1, ვერსტიგი-1), 5:2 ფილპულა-2 (მეტიუ კარლი-3, კილორნი-3), 6:2 ფილპულა-3 (პურსელი-2, სალო-1), 7:2 სტემკოსი-3 (სალო-2, პურსელი-3).

**ნეშვილი-ტორონტო 0:4**

0:0, 0:2, 0:2

**გოლები:** 0:1 კესელი-2 (ვან რიმსდიკი-1), 0:2 ვან რიმსდიკი-3 (კესელი-3, გუნარსონი-1), 0:3 ბოჟაკი-2 (კესელი-4, რაილი-1), 0:4 ლუპული-3 (გარდინერი-1, კადრი-3).

**მინესოტა-ვინიპეგი 2:1**

1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ბროდინი-2 (კუკი-1, ბროძიაკი-2), 1:1 ლიტლი-3 (ენსტრიომი-5, ბაფლინი-5), 2:1 კუკი-2 (ტ. მიტჩელი-1, სტოუნერი-1).

**ედმონტონი-მონრეალი 1:4**

0:0, 1:2, 0:2

**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-1 (ტ. ჰოლი-2, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-1), 1:1 გალაჰერი-3 (გალჩენიუკი-6, საბენი-3), 1:2 პრუსტი-1 (მოენი-1, საბენი-4), 1:3 გალჩენიუკი-1 (გალაჰერი-2), 1:4 პასიორეტი-1 (ბრიერი-1, საბენი-5).

**ვანკუვერი-სან ხოსე 1:4**

0:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ვლასიჩი-2 (ბერნსი-2, ჯ. ტორნტონი-3), 0:2 პელეჩი-1 (შეპარდი-1), 1:2 სანტორელი-4 (სტენტონი-3, ტანევი-2), 1:3 მარლო-3 (ტაილერ კენედი-2, კუტური-3), 1:4 ბერნსი-2 (ჯ. ტორნტონი-4, კუტური-4).

**ანაჰაიმი-რეინჯერსი 6:0**

3:0, 3:0, 0:0

**გოლები:** 1:0 გეტცლაფი-1 (პერი-2, პენერი-2), 2:0 სილფვერბერგი-3 (სელიანე-1, მ. პერო-2), 3:0 ვინიკი-1 (ვატანენი-1), 4:0 სილფვერბერგი-4 (სელიანე-2, მ. პერო-3), 5:0 ს. კოივუ-2 (ვინიკი-2, კოლიანო-2), 6:0 პენერი-1 (პერი-3, ალენი-1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ისევ ნადალი–ჯოკოვიჩი გველოდება?

შანხაის მასტერსზე გუშინ მეოთხედფინალების დღე იყო. ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ **რაფაელ ნადალი** და **სტანისლას ვავრინკა**. ეს იყო ერთადერთი მეოთხედფინალი, რომელშიც რეიტინგის პირველი ათეულის წევრები თამაშობდნენ. შვეიცარიელმა ორშაბათს თავის რეკორდს მიაღწია - მერვე ჩოგანი გახდა, მაგრამ მას არასოდეს გამოსდიოდა ნადალთან თამაში - წააგო ათიდან ათი მატჩი ისე, რომ ერთი სეტიც ვერ მოიგო.



რაფა ნადალი

გუშინდელი მატჩის პირველ სეტში ვავრინკამ კარგად ითამაშა და ძალიან ახლოს იყო მოგებასთან. მას სამი სეტბოლი ჰქონდა, აქედან ერთხელ ტაიბრეიკის დროს საკუთარ მოწოდებაზე, მაგრამ ნადალმა სამივე საფრთხე მოიგერია, თავად კი მეოთხე სეტბოლზე აიღო სეტი.

მეორე პარტიის პირველ გეიმში ვავრინკამ ორმაგი ბრეიკ-პოინტი გაუშვა ხელიდან, შემდეგ კი პირველად წააგო მატჩში საკუთარი მოწოდება. შვეიცარიელი გონს გვიან მოეგო და 0:5-ზე აიღო პირველი და ერთადერთი გეიმი - 6:7(10), 1:6.

უფრო ადრე კორტზე გავიდნენ **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **გაელ მონფილსი**, რომელმაც წინადღეს **როჯერ ფედერერი** დაამარცხა. ეს იყო მათი რიგით მეათე მატჩი. წინა ცხრა შეხვედრა სერბს ჰქონდა მოგებული.

მატჩი მოულოდნელად ოთხი ბრეიკით დაიწყო, თუმცა შემდეგ, თანდათან დაუბრუნდა ჩვეულ კალაპოტს. სეტის ნაადრევად მოგების შანსი ორივეს ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ტაი-ბრეიკამდე მივიდა. იქ ერთ-ერთ ეპიზოდში ჯოკოვიჩი მსაჯს შეეკამათა, კონცენტრაცია დაკარგა და მეტოქეს მინიბრეიკი მისცა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მეორე სეტში სერბმა მაშინვე წაიყვანა ანგარიში ბრეიკით და თამაშითაც უკეთ გამოიყურებოდა. მონფილსს კი პრობლემები შეექმნა, რადგან სამედიცინო ტაიმ-აუტი მოითხოვა. მან თითქმის უბრძოლველად დათმო მეორე სეტი, სამაგიეროდ, მესამეში ისევ დაიწყო ბრძოლა, დიდი ხანი თანაბარი თამაში მიდიოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მოწოდებამ უღალატა - 7:6(4), 2:6, 4:6.

## ფედერერი მაინც ოპტიმისტია

ხუთშაბათს, მონფილსთან წაგების შემდეგ, ფედერერმა კომენტარი გაუკეთა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის პერსპექტივას.

*„მაინც მიმაჩნია, რომ სწორ გზას ვადგავარ. ჩემთვის მნიშვნელოვანია კარგად ჩავატარო ბაზელისა და პარიზის ტურნირები. და თუ ლონდონის საგზურს მოვიპოვებ, სიხარულით ვითამაშებ იქაურ ტურნირზე.*

*პრობლემებმა, რომელსაც ამ სეზონში განვიცდიდი, დაარღვია ჩემი საწვრთნელი რეჟიმი. რამდენიმე კვირა ვარჯიში მჭირდება, თან დღეში მინიმუმ სამი საათი – ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უვარჯიშებლობის გამო ვაგებ ტურნირებს ნაადრევ ეტაპებზე.*

*მე ჯერ კიდევ მაქვს წლის კარგად დასრულების შანსი. დიახ, დრო ცოტა დარჩა, მაგრამ თუ ლონდონში თამაშის უფლებას მოვიპოვებ, იქ მექნება წარმატების მიღწევის კიდევ ერთი შესაძლებლობა. ჩვეულებრივ, დარბაზებში კარგად ვთამაშობ. იმედია, წელსაც ასე იქნება.*

*მე ხომ კარგ ჩოგბურთელებთან ვაგებ და საკმაოდ მაღალი დონის თამაშსაც ვაჩვენებ. თუ სწორად ვითამაშებ, სწორი მიმართულებით ვიმოძრავებ, დავიბრუნებ იმ თამაშს, რომელიც დღეს არ მაქვს.*

*ძალიან მნიშვნელოვანია თავიდან ავიცილო დეპრესია ამ წაგებების გამო. უბრალოდ უნდა გავაგრძელო მუშაობა. ცხადია, რომ ტოპ-ოთხეულის დატოვების შემდეგ, რთული სატურნირო ბადე მხვდება. მაგრამ ეს ნორმალურია... ჩემთვის უბრალოდ მნიშვნელოვანია სიამოვნება მივიღო იმისგან, რასაც ვაკეთებ",* - მოჰყავს ჩოგბურთელის სიტყვები ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდს.

საინტერესოა, რომ იმ ჩოგბურთელთა საშუალო რეიტინგი, რომლებმაც წელს როჯერ ფედერერის დამარცხება შეძლეს, 33-ს შეადგენს, - იტყობინება კომენტატორი **ნიკ ლესტერი** შანხაის მასტერსზე შვეიცარიელის გაელ მონფილსთან წაგების შემდეგ.

შედარებისთვის, გასულ სეზონში, რომელიც ფედერერმა მეორე ნომრად დაასრულა, ის აგებდა მეტოქეებთან საშუალო 16 რეიტინგით, ორი წლის წინ კი ეს მაჩვენებელი შვიდს შეადგენდა.

### 1/4 ფინალი

**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:2, 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 15) 6:3, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-გაელ მონფილსი (საფ) 6:7(4), 6:2, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 8) 7:6(10), 6:1.

### 1/2 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-ცონგა (7); დელ პოტრო (6)-ნადალი (2).

**გია თვალაბეიშვილი**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**, **გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)**, **ერემო მახათაძე (1952-53)**, **ირაკლი უგულავა (1953-64)**, **ანზორ ბასილაია (1976-83)**, **არჩილ გოგელია (1984-85)**, **თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:40. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ტელ: **238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44;** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608